ლელო

№306 (12 376) **31** დეკემბერი ორშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მილოცავთ ახალ წელს!

ლელოს მომდევნო ნომერი გამოვა 4 იანვარს





წლის ოქროსბიჭები: რამაზ ნოზაძე, დავით გელინაძე და ირაკლი ცირეკიძე

ვამაყობ, რომ ქართველი ვარ!

ქართულმა რაგბიმ მსოფლიო აალაპარაკა



საქართველო-ბოზლანდია, ჩვენი იმედის გამარჯვება

იწყება ოლიმპიური წელიწადი!

www.kazbegi.com

გახსენი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

2007 რა დაგვიტოვა გასულმა წელმა

ფაქტები, მოვლენები

იანვარი

1. ფეხბურთი: **გოგა გახოკიძემ** და ჰოლანდიურმა „ტვენტემ“ ორმხრივი შეთანხმებით განაყვიტეს კონტრაქტი. ქართველმა ფეხბურთელმა ქრონიკული ტრავმის გამო სპორტიდან წასვლა გამოაცხადა.

3. ხელბურთი: საქართველოს ნაკრებმა ოთხწლიანი პაუზის შემდეგ პირველად ითამაშა. გუნდმა ლატვიაში ევრო 2008-ის III შესარჩევ ჯგუფში 20:38 წააგო.

4. ფეხბურთი: **კლიმენტი წიტაიშვილი** კვიპროსულ გუნდს იცვლის, აელ-იდან აეკ-ში გადადის.

5. ჭადრაკი: **მერაბ გაგუნაშვილმა** ინგლისურ ჰასტინგსში მასტერსის ტურნირი მოიგო. 6-ათას ფუნტიანი საპრიზო ფონდით.

6. კალათბურთი: **ნიკოლოზ ცქიტიშვილი** სეზონის ბოლომდე სევილიის „კახა სან ფერნანდოში“ გადავიდა.

7. ხელბურთი: საქართველოს ნაკრებმა ევრო 2008-ის მორიგი შესარჩევი მატჩი დათმო, ამჯერად, შინ ლატვიასთან 29:32.

7. სუმო: ტოკიოში დაიწყო წლის პირველი ბაშო. სადაც მეხუთე მაეგაშირას რანგში წარდგა **ლევან ცაგურია** (კოკი).

11. ფეხბურთი: **ლევან ცქიტიშვილი** ჰოლანდიურ „ალკმაარში“ სინჯებზე ჩავიდა.

12. ხელბურთი: ევრო-2008-ის შესარჩევ ჯგუფში საქართველოს ნაკრებმა შინ რუმინეთის ნაკრებთან 24:34 წააგო.

14. ხელბურთი: საქართველოს ნაკრებმა სტუმრადაც წააგო რუმინეთთან - 24:30.

14. კალათბურთი: **ნიკოლოზ ცქიტიშვილის** დებიუტი ესპანურ ACB ლიგაში, „კახა სან ფერნანდოს“ მაისურით“ პირველ მატჩში მან სამი წუთი ითამაშა.

16. ფეხბურთი: „ალკმაარმა“ სინჯებზე მყოფი **ლევან ცქიტიშვილი** დაწუნა.

19. ხელბურთი: საქართველოს ნაკრებმა პირველი გამარჯვება მოიპოვა. ბულგარეთი შინ 22:21 დაამარცხა.

19-20. ანტიკური ჭიდაობა: ბათუმში გაიმართა საქართველოს ჩემპიონატი. ჩემპიონები გახდნენ: **ირაკლი ჭოჭუა** (55 კგ.). **რევაზ ლაშხი** (60). **მუხრან მაჭუტაძე** (66). **შმაგი სახლთხუციშვილი** (74). **ბადრი ხასაია** (84). **რამაზ ნოზაძე** (96) და **რევაზ ჭელიძე** (120).

20. ფეხბურთი: დსთ-ის თასის პირველ ტურში საქართველოს ჩემპიონი „სიონი“ ლიტვის ჩემპიონ „კაუნასთან“ 1:2 დამარცხდა.

21. ფეხბურთი: დსთ-ის თასის მეორე ტურში „სიონმა“ თურქმენეთის ჩემპიონი დაამარცხა 2:1.

21. სუმო: დასავლეთის მეხუთე მაეგაშირა **კოკიმ** (ლევან ცაგურია) იანვრის ბაშო უარყოფითი ბალანსით (7-8) დაასრულა.

21. ხელბურთი: საქართველოს ნაკრებმა ბულგარეთში 21:24 წაგო და ქვეჯგუფში ბოლო ადგილი დაიკავა.

21-22. თავისუფალი ჭიდაობა: ბათუმში გაიმართა საქართველოს ჩემპიონატი. ჩემპიონები გახდნენ: **ბესარიონ გოჩაშვილი** (55 კგ.). **გიორგი ბალიაშვილი** (60 კგ.). **კობა კაკალაძე** (66). **გელა საღირაშვილი** (74). **ლერი ქეთიშვილი** (84). **გიორგი გოგშელიძე** (96) და **დავით მოძმანაშვილი** (120).

23. ფეხბურთი: დსთ-ის თასზე „სიონმა“ 2:1 დაამარცხა ბელგრადის ოფკ. თუმცა ეს ჯგუფიდან გასვლისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა.

26-27. ფიგურული ციგურაობა: ევროპის ჩემპიონატზე ვარშავაში **ელენე გედევანიშვილმა** მერვე ადგილი დაიკავა.

იანვარი

წელიწადის პირველ თვეს საქართველოს ჩემპიონმა ბოლნისის „სიონმა“ თანამეგობრობის თასზე ითამაშა და პირველი ეტაპს ვერ გასცდა.

გოგიტა გოგუა ედინბურგის „ჰარტსში“ ჩავიდა. თითქოს, ყველაფერი კარგად იყო, მაგრამ ტრანსფერი ჩაიშალა. საქართველო ფიფას 70 საუკეთესო გუნდში არ იყო და ბრიტანეთის კანონით ასეთი არაევროკავშირული ქვეყნიდან ფეხბურთელს არ შეუძლია იქ თამაში.

გოგა გახოკიძე ქრონიკულ ტრავმასთან ბრძოლაში დამარცხდა და ფეხბურთელის კარიერა დაასრულა.

თებერვალი

ქართული ფეხბურთში ყველაზე სახელიანი უცხოელი გამოჩნდა - ავსტრალიელმა ნედ ზელიჩმა „დინამოსთან“ წლინახევრიანი კონტრაქტი გააფორმა.

2006 წლის დასაწყისში საქართველოს სხვადასხვა ნაკრების სათავეში მოსულ გერმანელ მწვრთნელთა შტაბში ცვლილება განხორციელდა - მინგე ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელის პოსტზე ხორვატმა პეტარ სეგრტმა შეცვალა.

ურუგვაის დამარცხების შემდეგ, საქართველოს ნაკრებმა ზედიზედ მეორე ამხანაგური მატჩი მოიგო, დავით სირაძის გოლმა ამჯერად თურქებზე გაგვამარჯვებინა.

მარტი

დიდი წვალების მერე გოგიტა გოგუამ „სატურნთან“ 3-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. საქართველოს ნაკრები ევროშესარჩევის მატჩში სტუმრად დამარცხდა შოტლანდიასთან 1:2, სამი დღის მერე კი ფარერებს მოუგო - 3:1.

აპრილი

კახა ცხადაძე წავიდა „სიონიდან“ „ამერთან“ თასზე 3:0 მარცხის შემდეგ, თუმცა ორ კვირაში ისევ მიბრუნდა გუნდში.

დადგინდა ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნების თარიღი.

მაისი

ყველაზე ცხელი თვე გამოდგა. ფეხბურთის ფედერაციის არჩევნებში გიორგი ნემსაძემ იმარჯვა, მაგრამ ნემსაძის პრეზიდენტობამ ერთ საათსაც ვერ გასტანა - „რუსთავი 2“-ზე გამოვიდა და თქვა, პრეზიდენტობა ჩემი თვითმიზანი არ იყოო. სახელისუფლებო კლანებს შორის დაპირისპირებაში ახალკაცის მომხრეებმა გაიმარჯვეს - არჩევნები ხელახლა გაიმართა და ახალკაცი ხელმეორედ გააპრეზიდენტეს.

ეროვნულ ჩემპიონატში ყველაფერი ორი ტურით ადრე გადწყდა - „ოლიმპი“-“დინამო“ 0:0 დასრულდა და რუსთაველებმა პირველ ადგილზე ჩაამთავრეს ჩემპიონატი. საქართველოს თასის ფინალში კი „ამერმა“ გიორგი ჩიხრაძის „კატენაჩოთი“ სძლია „ზესტაფონს“ და თასი მეორედ ასწია.

კახა კალაძემაც მეორედ ასწია თასი, ოღონდ ჩემპიონთა ლიგის.

თემურ ქეცბაიამ ფეხბურთის თამაშს თავი დაანება.

გასულ წელს ყველაზე დიდი ხმაური ფეხბურთის ფედერაციის არჩევნებს მოჰყვა

ივნისი

ევროშესარჩევში საქართველოს ნაკრებმა მიჯრით ორი მატჩი წააგო და ორივე 0:1 - ლიტვასთან და საფრანგეთთან. ალექსანდრე იაშვილმა ცხრაწლიანი ფრაიბურგული კარიერა დაასრულა - ბუნდესლიგის „კარლსრუესთან“ სამწლიანი კონტრაქტი გააფომა.

ცუდი ამბავი დაემართა „ზესტაფონს“. ინტერტოტოზე ყაზახურ „ტობოლს“ ავიაშეფერხების გამო თამაშამდე რამდენიმე საათით ადრე ესტუმრა და 0:3 წააგო.

ჟურნალისტთა და სპეციალიტთა გამოკითხვით საქართველოს 2006-07 სეზონის საუკეთესო ფეხბურთელი შოთა არველაძე გახდა, რომელმაც ყოყმანის შემდეგ გადაწყვიტა ნაკრებიდან წასვლა.

ივლისი

შოთა არველაძე „ალკმაარიდან“ ვალენსიურ „ლევანტეში“ გადავიდა. გიორგი ონიანი და გიორგი სეთურიძე კი „ოლიმპიდან“ „კარლ ცაისში“ წავიდნენ.

ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე რუსთავის „ოლიმპმა“ ყაზახურ „ასტანასთან“ ორი მატჩის ჯამში 0:3წააგო.

ამერმა სუპერთასი მეორედ მოიგო

ეროვნულმა გუნდმა ამხანაგური მატჩი ითამაშა სტუმრად ლუქსემბურგთან და 0:0. ამის შემდეგ ნაკრების და ფედერაციის ხელმძღვანელობა ალაპარაკდა, რამდენიმე ფეხბურთელი ნაკრებში თამაშს ზერელედ ეკიდება და

ნაკრებმა გასული შესარჩევის საუკეთესო მატჩი თბილისში შოტლანდიასთან ჩაატარა

აგვისტო

ეროვნული ჩემპიონატის პირველ ტურში „ლოკომოტივმა“ „ამერს“ 2:1 მოუგო. მეორე ტაიმში ლევან ყენიამ ტრიუკების კასკადი მოაწყო და როგორც კულუარებში ითქვა, სწორედ ამ მატჩის შემდეგ გადაწყვიტა ტოპიმ, რომ ყენია ევროშესარჩევის რომელიმე მატჩში ეთამაშებინა.

სექტემბერი

საქართველომ პირველი არაფარერული ქულა მოიპოვა - შინ უკრაინასთან 1:1 ითამაშა. ტოპის გუნდმა ანგარიში 89-ე წუთზე გაათანაბრა - გიორგი დემეტრაძის კუთხურს დავით სირაძემ დიდებული თავური მიაყოლა. დარჩენილ დროში ჩვენი ნაკრები ანგარიშის შენარჩუნებას ცდილობდა. ეროვნულ გუნში დებიუტი ჰქონდა ლევან ყენიას - მან შეცვლაზე ითამაშა.

იგივე ანგარიშით დასრულდა ამხანაგური მატჩი აზერბაიჯანში - გამთანაბრებელი მაშინ ამერელმა დიმიტრი ტატანაშვილმა გაიტანა.

ეროვნულ ჩემპიონატში თვის უმთავრესი მოულოდნელობა „ამერის“ მარცხი იყო სტუმრად „ბორჯომთან“ - 0:3.

ოქტომბერი

საქართველომ იტალიასთან 0:2 წააგო. ეროვნულ ნაკრებში დებიუტი ჰქონდა 17 წლის ლევან მჭედლიძეს. პირველი გოლი იტალიელებმა ანდრეა პირლოს ჯარიმით და გიორგი ლომაიას კურიოზული შეცდომით გაიტანეს. ტოპმიოლერმა ხელი ურცხვად შეაწმინდა ლომაიას - სანაკრებო შეკრებიდან გაუშვა. მწვრთნელმა უთამაშებელი, უგუნდო მეკარე დააყენა იტალიასთან, მაგრამ საკუთარ პასუხისმგებლობაზე არაფერი უფქვამს.

იტალიის შემდეგ საქართველომ გასულ შესარჩევში საუკეთესო მატჩი ითამაშა - შოტლანდიას 2:0 მოუგო. გიორგი მაკარიძე, ლევან ყენია, ლევან მჭედლიძე - თერთმეტეულში სამი ისეთი ფეხბურთელი გვყავდა, 17 წელზე უფროსი არც ერთი რომ არ იყო - ქართველებმა სქოთებს თინეიჯერებით მოუგეს.

ჩვენმა 19-წლამდელებმა ევროშესარჩევის ელიტრაუნდში თბილისში სამივე მატჩი წააგეს.

ნოემბერი

საქართველოს ნაკრებმა ლიტვასთან 0:2 წააგო და ევროშესარჩევის ჯგუფში ბოლოდან მეორე ადგილზე გავიდა. ტოპიმ ოთხი მცვლელით და ერთი ფორვარდით ათამაშა გუნდი. თამაშამდე ორი დღით ადრე კი სანაკრებო შეკრებიდან ზურაბ ხიზანიშვილი წავიდა და მიზეზად ტრავმა დაასახელა. მერე კი განაცხადა, სანამ ტოპმიოლერი იქნება ჩვენი მწვრთნელი, ნაკრებში არ ვითამაშებო.

ლიტვასთან მატჩში ტვინის მძიმე შერყევა მიიღო დავით სირაძემ - პირველი სამედიცინო დახმარება მას ლევან მჭედლიძემ აღმოუჩინა - სირაძე ბენზზე გადარჩა.

დეკემბერი

თბილისის „ამერმა“ გორში სუპერთასი მოიგო - თასის მფლობელმა ჩემპიონი რუსთავის „ოლიმპი“ ნაცარტუტად აქცია - ანატოლი პისკოვეცმა ისედაც უუნაროდ გაწვრთნილ გუნდს გაუგებარი, არაფრისმომმემი დავალება და ტაქტიკა შეურჩია და 1:4 დამარცხდა.

თვის მეორე ნახევარში კი თბილისში კლაუს ტოპმიოლერი ჩამოვიდა და ფედერაციის პრეზიდენტ ნოდარ ახალკაცთან ერთად პრესკონფერენციაც გამართა, მაგრამ ყველაზე მთავარი - კონტრაქტს ხელი არ მოეწერა - ვნახოთ, 5 იანვარს რა მოხდება...

დეკემბერში გაიმართა ეროვნული ჩემპიონატის გადმოტანილი ტურის მატჩები - „დინამო თბილისმა“ „ზესტაფონს“ 2:0 მოუგო და ლიდერობა დაიბრუნა - დუშან უპრინის გუნდი შემოდგომის ჩემპიონი გახდა.

არბიტრ ლევან კვარაცხელიაზე განაწყენებულმა „ამერმა“ კი „ვიტ ჯორჯიასთან“ მატჩი ჩაშალა - მოედანი დატოვა და ტექნიკური 0:3 ჩაეთვალა. „ამერს“ ფინანსური სანქციებიც გამოუწერეს.

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ინტერვიუ ლევან მჭედლიძესთან

მთავარია, თავად შევძლოთ ქვეყნის აშენება

ლევან მჭედლიძეს სჯერა: ამ ნაკრებით მსოფლიოზე მოვხვდებით

ლევან მჭედლიზე შოტლანდიასთან მატჩში

ქართულ ფეხბურთში ნიჭიერი ბიჭების ახალი ტალღა შემოიჭრა. მათში ბევრი რამ ახალი და უცხოა. ევროპელებივით ლაღებსა და გახსნილებს ძველი თაობის აზიური ჩაკეტილობის კომპლექსები არ აწუხებთ, იციან რა სურთ და მიზანს როგორ მიაღწიონ, სჯერათ საკუთარი თავის, ნაკრების, ქვეყნის და მომავლის.
ისინი ხაზს უსვამენ სიტყვას „ჩვენ“-ს და არა „მე“-ს. კოლექტივში ინდივიდუალისტებად რჩებიან და პირიქით, ინდივიდუალიზმში გუნდის ინტერესები არ ავიწყდებათ.
ეს არაა საახალწლო დითირამბები. პირველი, ყველაზე შთამბეჭდავი და სასიამოვნო შთაბეჭდილებაა. ასე მგონია, რომ „მოსეს თაობის“ მაგივრად, ჩვენს ცხოვრებაში ახალი ტალღა ამ ბიჭების სახითაც შემოიჭრა, რომლებსაც კომუნისტურ-პიონერული წარსულის დამღა არ თრგუნავთ. ეს მათ თავისუფალ და ლაღ აზროვნებაში გამოიხატება.
ამ თაობას ლიდერები ჰყავს და მათ შორის, ერთ-ერთი გამორჩეული ან უკვე საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და „ემპოლის“ 17 წლის თავდამსხმელი ლევან მჭედლიძეა. ლევან ყენიასთან ერთად, 2007 წლის აღმოჩენა ახალ, 2008 წელსაც დიდი იმედებით ელოდება.

- ლევან, როგორ ხარ?

- ახლა კი ვარ ჯანზე. მაშინ კი ჯანზე და ხასიათზე ნაღდად არ ვიყავი.

- როდის მაშინ?

- ერთი თვის წინათ.

- რატომ?

- (იცინის) იტალიაში პატარა საჩუქარი მომიძღვნეს, სახლში დამაძინეს და გამქურდეს.

- ვიფიქრე, ტრავმას გულისხმობდი, ეს ამბავი კი გვახსოვს. პოლიციამ მძარცველები ვერ დაიჭირა?

- იტალიელები ეჭვობენ, რომ ალბანელები ან რუმინელები იყვნენ. მათ მთელ ევროპაში მოხეტიალე მძარცველების სახელით იცნობენ და ერთ ადგილას არ ჩერდებიან. ასე დადიან ქვეყნიდან ქვეყანაში, ყაჩაღობენ და შემდეგ იმ ქვეყანას ტოვებენ. ასე რომ, მათი დაჭერის შანსი თითქმის ნულის ტოლია.

- ყაჩაღებს იოლად გადაურჩი? გაზის კვალი ორგანიზმში საკმაოდ დიდხანს რჩება.

- მეორე დილით თავბრუ მეხვეოდა, მაგრამ ავდექი და ვივარჯიშე. ორი დღე მტკიოდა თავი, მერე მოვმჯობინდი.

- გახსოვს, რა და როგორ მოხდა?

- საღამო ხანი იყო, როდესაც სახლში მივედი და ვერც ვიგრძენი, გაზი როგორ შემოუშვეს. ჩვეულებრივი გაზი აღმოჩნდა. მერე არაფერი მახსენდება. თურმე კარი გახვრიტეს, მე უკვე მეძინა და რაც ხელში მოხვდათ, ყველაფერი წაიღეს.

- მოდი 2007 წელი გავიხსენოთ. მთლიანობაში, მან სასიამოვნო მოგონებები დაგიტოვა. პირადად შენთვის რა იყო ყველაზე დასამახსოვრებელი?

- რა თქმა უნდა, საქართველოს ეროვნულ ნაკრებში მიწვევა და შოტლანდიასთან გოლი. მთლიანობაშიც ნარმატებული წელი იყო კარიერასა და ცხოვრებაში, რადგან ფეხბურთი ჩემი ცხოვრებაა. ყველაფერი უკეთესობისკენ წავიდა, ხალხმა გამიცნო, აქაც, იტალიაშიც.

- თუმცა, დღემდე „ემპოლიში“ თამაშის საშუალება ტრავმებმა არ მოგცა.

- სულ რაღაც მიშლიდა ხელს. ბოლოს, თასზე „იუვენტუსის“ წინააღმდეგ შეცვლაზე უნდა მეთამაშა, მაგრამ წინა დღეს ვარჯიშზე წელი ვიტკინე და ეს შანსი ხელიდან გავუშვი. ამის მიუხედავად მწვრთნელი მოედანზე შეშვებას მეორე ტამში მაინც მიპირებდა, მაგრამ ექიმმა ურჩია, არ გაერისკა.

- წელი ახლაც გაწუხებს?

- არა, უკვე კარგად ვარ და ვვარჯიშობ. იტალიაში სამედიცინო მომსახურება ხუთიანზეა. ფეხბურთელის მენიუს, დატვირთვების რაოდენობას და სიხშირეს, ტრავმის შემდეგ ინდივიდუალურ პროგრამას და კიდევ ბევრ რამეს ექიმი აკონტროლებს. თუ არ დაუჯერებ, დარჩები თამაშგარეში.

- ალბათ, საგაზაფხულო ეტაპზე მაინც მოგეცემა თავის გამოჩენის საშუალება.

- რაც შეიძლება მალე უნდა ვითამაშო. 15 იანვარს სეზონი განახლდება და „იუვენტუსთან“ თასზე განმეორებითი შეხვედრა გველის. პირველი 2:1 მოვიგეთ და იმედია, ახლა უკვე ვითამაშებ.

- ახალ წელს როგორი განწყობით ელი?

- ძალიან კარგი განწყობით. წინა წელს სასიამოვნო ჩემს ცხოვრებაში ამბები მოხდა და დარწმუნებული ვარ, 2008 გაცილებით უკეთესი იქნება. უფრო სწორედ, მე თვითონ უნდა გავხადო უკეთესი. საამისო მონდომება არ მაკლია.

- გახსოვს, ვინ იყო წელს შენი მეკვლე?

- ვინ იყო და... ვინ? მე თვითონ ვიყავი. დედაჩემმა მთხოვა და ასე გავხდი საკუთარი ოჯახის მეკვლე.

- მე კიდევ იმის თქმას ვაპირებდი, ფეხბედნიერი მეკვლე გყოლია, ნაკრებში მოგახვედრა, გოლი გაგატანინა, ბოლოს და ბოლოს, სერია „ა“-ს გუნდში გადაგიყვანა და მაგ კაცის პატივისცემა არ დაგავიწყდეს-მეთქი...

- (იცინის) დედაჩემი მეუბნება, მეკვლე წელსაც შენ ხარო და ასეც ვაპირებ.

- ეტყობა, უკვე ავტერიტეტული მეკვლე გახდი, შენზე დიდი ტაციაობა იქნება. ბედნიერი ახალი წელი ყველას უნდა, ნაცნობ-მეგობრებსა და ნათესავებს კი საქართველოში რა დალევს.

- შარშან ხიზანიშვილების მეკვლე ვიყავი, ჩვენ ხომ კარის მეზობლები ვართ. ზურა ჩემი უფროსი ძმაა, ყველანაირად მისაბაძია.

- გულშემატკივრებს, ქვეყანას და ჩვენს გაზეთს რას უსურვებდი?

- ყველას მსურს ახალი წელი მივუღოცო და საუკეთესო სურვილებით დავლოცო.

გულშემატკივარს ვუსურვებდი, 2008-ში მაინც მიიღონ ის სიხარული, რასაც ჩვენგან ელიან, ანუ დიდ გამარჯვებებს საკუთარ თავსაც ვუსურვებ და მათაც. სხვათაAშორის, მე სერიოზულად მჯერა, რომ მსოფლიო ჩემპიონატზე მოხვედრა და დიდი წარმატებების მიღწევა შეგვიძლია.

იმედია, საქართველო მომავალ წელს მაინც დამშვიდდება და ადრე თუ გვიან, ყველაფერი მაინც ისე იქნება, როგორც ხალხს გვსურს.

მართლა მჯერა, რომ საქართველოში ნელ-ნელა ყველაფერი გამოსწორდება, ეს კი ჯერ ჩვენ შეგვიძლია და მერე პოლიტიკოსებს. თავად უნდა შევძლოთ ქვეყნის აშენება და ერთმანეთის პატივისცემა. ქვეყნის ძალა უბრალო ხალხშია და შემდეგ მოდიან პოლიტიკოსები.

გაზეთს ვუსურვებ დიდი ტირაჟს. ჟურნალისტები ჩვენს წარმატებას ასახავთ. ეს საჭირო და მნიშვნელოვანი პროფესიაა. გისურვებდით, რომ „გაძეტა დელა სპორტს“, იმ წელს თუ არა, მომავალში მაინც „გადაუჯოკროთ“. (იცინის) მგონი, არაა ცუდი სურვილი.

მერაბ მამულაშვილი

თეორია

ავთანდილ ჭკუასელი: დაიბადა 31.12. 1931, თბილისი - 12.09. 1994, იქვე. ფეხბურთი, თავდამსხმელი. თამაშობდა თბილისის „დინამოსა“ (1849-54, 56-59) და თბილისის „ლოკომოტივში (19955). სსრკ ნაკრებში ჩაატარა 1 მატჩი, სსრკ უმაღლეს ლიგაში 84 მატჩი (29 გოლი). სსრკ ჩემპიონატების ორგზის მეორე პრიზიორი (1951, 53). 1952 წლის ჰელსინკის ოლიმპიური თამაშების მონაწილე. იყო საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამართველოს უფროსი (1976-84, 1987-88).

GEO FM 95.1
ავტორადიო თბილისი

27-28. ქიუდო. გაიმართა თბილისის საერთაშორისო ტურნირი (მსოფლიო თასი). ქართველმა სპორტსმენებმა ოქროს ოთხი მედალი მოიპოვეს: **ზაზა კედელაშვილი, გრიგოლ მამრიკიშვილი, ლომერ ყორჟოლიანი** და **ზვიად ხანჯალიაშვილი** ჩემპიონები გახდნენ. მეორე პრიზიორები გახდნენ: **გიორგი ბაინდურაშვილი, ირაკლი ცირეკიძე** და **ლევან რაზმაძე**, ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს **დავით ასუმბანმა, მინდია ხომიზურმა, საბა გავაშელიშვილმა, ნოდარ მეტრეველმა, გიორგი ყიზილაშვილმა** და **ადამ ოქრუაშვილმა.**

28. ფეხბურთი: „ფრაიბურგის“ მაისურით კარიერაში პირველი გოლი გაიტანა **ოთარ ხიზანეიშვილმა.**

28. ანტიკური ჭიდაობა: ფრანგულ კრეტეიში საქართველოს ნაკრებმა გუნდური პირველი ადგილი დაიკავა. ჩვენებმა ოქროს ერთი (**ნოზაძე**), ვერცხლის ორი (**ბედინაძე. გოგიშვილი**) და ბრინჯაოს მედალი (**ჭელიძე**) მოიპოვეს.

29. კალათბურთი: საქართველოს თასის ფინალში „ავიამშენმა“ 83:79 დაამარცხა რუსთავის „აზოტი“ და ტიტულს დაეუფლა.

31. ჩოგბურთი: საქართველოს ნაკრების კაპიტანმა „დევისის თასის“ მატჩისთვის შემადგენლობა დაასახელა: **ირაკლი ლაბაძე, ლადო ჩიხლაძე, გიორგი ჭანტურია** და **გიორგი ხრიკაძე.**

31. ფეხბურთი: **გოგიტა გოგუას** ბრიტანეთში თამაშის უფლება არ მისცეს. „ჰართსში“ ტრანსფერი ჩაიშალა. სამაგიეროდ, იენის „კარლ ცეისთან“ სეზონის ბოლომდე ხანგრძლივობით კონტრაქტები გააფორმეს **მიხეილ აშვეთიამ** და **გიორგი ლომაიამ.**

თებერვალი

1. ფეხბურთი: ავსტრალიელმა მცველმა **ნედ ზელიჩმა** თბილისის „დინამოსთან“ წელინადნახევრიანი კონტრაქტი გააფორმა.

3. რაბბი: ერთა თასის პირველი ტურის მატჩში საქართველოს ნაკრებმა სტუმრად დაამარცხა რუმინეთის ნაკრები 20:17 და ანთიმოზ ივერიელის თასს დაეუფლა.

6. ფეხბურთი: საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების თავკაცად გერმანელი რალფ მინგეს ნაცვლად ხორვატი **პეტარ სეგრტი** დაინიშნა.

7. ფეხბურთი: საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა 1:2 წააგო ამხანაგური მატჩი თურქეთის გუნდთან. ქართველთაგან ერთადერთი გოლი **აკაკი ხუბუტიამ** გაიტანა.

7. ფეხბურთი: საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ამხანაგურ მატჩში თურქეთის გუნდი დაამარცხა - 1:0. გამარჯვების გოლი **დავით სირაძემ** გაიტანა.

8. ფეხბურთი: ქართველმა ლეგიონერმა **გიორგი დემეტრაძემ** უცხოელებზე ლიმიტის შემოღებისთვის უკრაინის ფეხბურთის ფედერაციას და საფეხბურთო ლიგას უჩივლა.

8. სამბო: სამბოს ფედერაციის ყრილობაზე პრეზიდენტად „სახალხო ბანკის“ გენერალური დირექტორი **გიორგი გოგუაძე** აირჩიეს.

7-9. ჩოგბურთი: დევისის თასზე საქართველოს ნაკრებმა 3:2 დაამარცხა პორტუგალიის ნაკრები და სულ მცირე პირველ ევრო-აფრიკულ ჯგუფში ადგილი შეინარჩუნა. მატჩები მოიგეს: **ირაკლი ლაბაძემ, ლადო ჩიხლაძემ** და **ლაბაძე-ჩიხლაძის** წყვილმა, წააგეს: გიორგი ჭანტურიამ და გიორგი ხრიკაძემ.

8-9. ქიუდო: ძალზე წარუმატებლად იასპარეზა პარიზის მსოფლიო თასზე საქართველოს ნაკრებმა, შოთა ხაბარელის შეგირდებმა ერთი მედალიც კი ვერ მოიპოვეს „ბერსიში“.

9. ფეხბურთი: იენის „კარლ ცაისის“ შემადგენლობაში პირველი გოლი გაიტანა **მიხეილ აშვეთიამ.**

13. ფეხბურთი: გაირკვა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მეტოქეები: ესპანეთი, რუსეთი, პოლონეთი და ყაზახეთი.

15. კრივი: დასრულდა საქართველოს ჩემპიონატი.

18. ფეხბურთი: საფეხბურთო სეზონი საქართველოში თასის მეოთხედფინალური მატჩებით განახლდა.

17-20. ჭიდაობა: გაიმართა საქართველოს ახალგაზრდული ჩემპიონატი ანტიკურ და თავისუფალ ჭიდაობაში.

19-23. ზამთრის სახეობები: ხაკაში (ესპანეთი) ახალგაზრდობის ოლიმპიურ დღეებში ქართველმა სამთომოთხილამურეებმა და ბიათლონისტებმაც იმონაწილეეს.

23. ფეხბურთი: ზამთრის პაუზის შემდეგ განახლდა საქართველოს ჩემპიონატი.

23. ჭადრაკი: „აეროფლოტ ოუფენზე" შარშანდელმა გამარჯვებულმა **ბაადურ ჯობავამ** მხოლოდ მეშვიდე ადგილი დაიკავა.

25. ძიუდო: ჰამბურგის მსოფლიო თასზე **ლაშა გუჯეჯიანმა** (მძიმე) ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

26. სუმო: გამოქვეყნდა ახალი რეიტინგი, რომლის მიხედვითაც **ლევან ცაგურია** (კოკაი) მეშვიდე მაეგაშირაა.

მარტი

1. ფეხბურთი: **გოგიტა გოგუამ** „სატურნთან" სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

1. ფეხბურთი: გაიმართა ნილისყრა ევროპის 17 და 19 წლამდელთა საკვალიფიკაციო ტურნირებისთვის. გაირკვა საქართველოს ნაკრებთა მეტოქეები.

2. ჭადრაკი: დაიწყო საქართველოს ჩემპიონატი ქალთა შორის.

4. ძიუდო: პოლონეთში მსოფლიოს თასის ტურნირი მოიგო **ირაკლი ცირეკიძემ**.

4. ჩოგბურთი: **ლადო ჩიხლაძემ** შვეიცარიაში ტურნირი მოიგო

5. თავისუფალი ჭიდაობა: უზბეკეთში „ოქროს გრან-პრის" ფინალში **გიორგი გოგშელიძემ ლუკა კურტანიძე** დაამარცხა.

11. ჩოგბურთი: **ლადო ჩიხლაძემ** ლიხტენშტაინის ტურნირი მოიგო.

11. სუმო: დაიწყო მარტის ბაშო, პირველ დღეს კოკაის გამოსვლას საქართველოს პრეზიდენტი დაესწრო.

14. ჭადრაკი: საქართველოს ჩემპიონატი **ლელა ჯავახიშვილმა** მოიგო.

16. ფეხბურთი: გერმანიაში მენისკის ოპერაცია გაიკეთა „ფრაიბურგის" მცველმა **ოთარ ხიზანეიშვილმა**.

17. რაგბი: საქართველოს ნაკრებმა ესპანეთში ერთა თასის მატჩი ნააგო - 17:31.

23-24. ფიგურული ციგურაობა: მსოფლიო ჩემპიონატზე ტოკიოში **ელენე გედევანიშვილმა** მე-17 ადგილი დაიკავა.

24. რაგბი: ერთა თასის მატჩში საქართველოს ნაკრებმა რუსეთს 31:12 მოუგო.

24. ფეხბურთი: ევრო 2008 წლის შესარჩევ ციკლში საქართველოს ნაკრები გლაზგოში 1:2 დამარცხდა.

25. სუმო: მარტის ბაშოზე **ლევან ცაგურიამ** (კოკაი) პირადი რეკორდი გაიმეორა (10 მოგება).

25. ჭადრაკი: საქართველოს ჩემპიონი **ბაადურ ჯობავა** გახდა 8,5 ქულით.

28. ფეხბურთი: საქართველოს ნაკრებმა ფაერერის კუნძულების ნაკრები 3:1 დაამარცხა.

ლელოსა და სპეციალისტთა რჩეული

მიხეილ ხუციშვილი აღიარებას დინამოელებს უნაწილებს

მშვიდობა და გამარჯვება საქართველოს!

რამდენიმე დღის წინათ, "ლელომ" საქართველოს ჩემპიონატის პირველი წრის საუკეთესო ფეხბურთელად მიხეილ ხუციშვილი დაასახელა. ამის პარალელურად, უმაღლესი ლიგის გუნდების მწვრთნელთა გამოკითხვასაც ვატარებდით და მათი საერთო აზრი ჩვენს შეხედულებას დაემთხვა. ასე რომ, ჩვენი არჩევანი საგრძნობლად გამყარდა.
ხუციშვილი, რომელსაც საფეხბურთო კარიერის განმავლობაში არაერთი კლუბი გამოუვლია, "დინამოში" დაბრუნების შემდეგ, მეორე სეზონს ატარებს. წინა ჩემპიონატში მას საქმეები არცთუ სახარბიელოდ მისდიოდა, ამ ზაფხულიდან მოყოლებული კი დუშან უჭრინი მისთვის ჩვეულ ადგილზე, შეტევაში ათამაშებს და მიშაც სრულად ამართლებს მწვრთნელის ნდობას.
იგი დღევანდელი "დინამოს" ერთ-ერთი წამყვანი ფიგურაა, პირველ წრეში ყველა, ცამეტივე მატჩში ითამაშა (აქედან 11 ძირითადში) და 10 გოლი გაიტანა. ხუციშვილმა თავი პრინციპულ შეხვედრებშიც გამოიჩინა, "ამერისა" და "ზესტაფონის" ძლევაში მან თავისი გოლებითა და სასარგებლო ქმედებით ლომის წილი დაიდო.
მოკლედ, მიხეილ ხუციშვილი 2007 წელს მაჟორულ ნოტზე ასრულებს და ახალ წელს შესანიშნავი განწყობით ხვდება. პირველი წრის რჩეულს შინ ვეწვიეთ და საფეხბურთო თემების გარდა, საახალწლო ამბებზეც გავესაუბრეთ.

დიდი მადლობა, ეს ჩემთვის დიდი პატივია. ძალიან მიხარია, რომ ჩემი შრომა ასე დაფასდა. ვერ ვიტყვი, რომ ამ აღიარებას ველოდი, რადგანაც აქამდე რამდენიმე გამოცემამ საუკეთესოდ სხვა ფეხბურთელი დაასახელა. რაკი ჩემმა საყვარელმა გაზეთმა "ლელომ" და მწვრთნელებმა გამომარჩიეს, ესე იგი, მართლაც არ მითამაშია ურიგოდ. ისე კი, ჩემთან ერთად, თითოეული დინამოელი ბოლომდე დაიხარჯა, გუნდი ერთ მუშტადაა შეკრული და პირველი წრე ამიტომ მოვიგეთ. მხოლოდ ჩემი ან რომელიმე ჩემი თანაგუნდელის კარგი თამაშით შორს ვერ წავიდოდით. კიდევ ერთხელ გმადლობთ.

- მიშა, მოდი მკითხველს მოკლედ უამბე საკუთარ თავზე, შენს მიერ აქამდე განვლილი გზის შესახებ.

- დავიბადე თბილისში, ბავშვობაც გლდანში გავატარე და ახლაც აქ ვცხოვრობ მშობლებთან, სამ ძმასთან, მეუღლესა და პატარა ქალიშვილთან ერთად. მალე ჩვენს ოჯახს ახალი წევრი შემოემატება, მეორე შვილს ველოდები. მოკლედ, პირად ცხოვრებაში ყველაფერი შესანიშნავად მაქვს.

მიხეილ ხუციშვილი მეუღლესა და ქალიშვილთან ერთად

მწვრთნელთა გამოკითხვის შედეგები

1	მიხეილ ხუციშვილი (დინამო)	23
2	გიორგი მერებაშვილი (დინამო)	20
3-4	რევაზ ჯიქია (ოლიმპი)	10
	შოთა გრიგალაშვილი (გორგჯომი)	10
5	გრიგოლ დოლიძე (ამერი)	6

ნესტორ მუმლაძე (ვიტ ჯორჯია)
1. მიხეილ ხუციშვილი (დინამო)
2. გრიგოლ დოლიძე (ამერი)
3. ალექსანდრე კვახაძე (ვიტ ჯორჯია)

კობა თედიაშვილი (მესხეთი)
1. მიხეილ ხუციშვილი (დინამო)
2. რევაზ გენაძე (ოლიმპი)
3. შოთა გრიგალაშვილი (გორგჯომი)

დავით ეჯიბაშვილი (მერანი)
1. შოთა გრიგალაშვილი (ოლიმპი)
2. დიდიე ოვონო (დინამო)
3. დავით დევდარიანი (ოლიმპი)

კობა ჟორჟიკაშვილი (სპარტაკი)
1. გიორგი ნავალოვსკი (ოლიმპი)
2. მიხეილ ხუციშვილი (დინამო)
3. გოგი ფიფია (ზესტაფონი)

ვარლამ კილასონია (ოლიმპი)
1. გიორგი მერებაშვილი (დინამო)
2. შოთა გრიგალაშვილი (გორგჯომი)
3. დავით დევდარიანი (ოლიმპი)

ბესიკ შერაზია (მგლები)
1. რევაზ ჯიქია (ოლიმპი)
2. გიორგი მერებაშვილი (დინამო)
3. ედიკ საჯაია (ზესტაფონი)

მამუკა ვარლოსანიძე (დილა)
1. რევაზ ჯიქია (ოლიმპი)
2. გრიგოლ დოლიძე (ამერი)
3. გიორგი ნოდ. ძელიძე (ზესტაფონი)

ელადიმერ ხაჩიძე (გორგჯომი)
1. მიხეილ ხუციშვილი (დინამო)
2. დავით დევდარიანი (ოლიმპი)

გიორგი ყიფშიძე (სიონი)
1. მიხეილ ხუციშვილი (დინამო)
2. ერიკ რომეო ჩასემი (სიონი)
3. გიორგი მერებაშვილი (დინამო)

გიორგი კიკნაძე (ლოკომოტივი)
1. ლევან ყენია (ლოკომოტივი)
2. გიორგი მერებაშვილი (დინამო)
3. დავით გოლუბაძე (ამერი)

ათანადილ კუნჭულია (ბათუმი)
1. გრიგოლ ჭანტურია (ბათუმი)
2. გიორგი მერებაშვილი (დინამო)
3. მიხეილ მახვილაძე (ოლიმპი)

გიორგი ჩიხრაძე (ამერი)
1. გიორგი მერებაშვილი (დინამო)
2. ირაკლი კლიმიაშვილი (ვიტ ჯორჯია)
3. შოთა გრიგალაშვილი (გორგჯომი)

მიზეზთა გამო, დინამოსა და ზესტაფონის მწვრთნელთა რჩეულების დადგენა ვერ მოხერხდა.
პირველ ადგილზე დასახელებულს ენიჭება 5 ქულა, მეორეზე - 3, მესამეზე - 1.

საფეხბურთო კარიერას რაც შეეხება, ფეხბურთზე სიარული "მთვარის გლობუსში" დავიწყე, სადაც ჩემი პირველი მწვრთნელი გია მაისურაძე იყო. ამ ადამიანს დღემდე ვემადლიერები, მას ჩემს ფეხბურთელად ჩამოყალიბებაში უდიდესი დამსახურება მიუძღვის. მაშინ "მთვარის გლობუსი" ძალიან წარმატებული სკოლა იყო, მისი აღზრდილები არიან გიორგი შაშიაშვილი, გიორგი ლომაია, გივი კვარაცხელია, ლევან ბაჯელიძე, დავით ოდიკაძე და სხვა ცნობილი მოთამაშეები.

"მთვარის გლობუსიდან" "დინამოში" მოვხვდი, სადაც ჩვენი მწვრთნელები დავით ყიფიანი და თემურ მახარაძე იყვნენ. 17 წლისა ვიყავი, ძირითად გუნდში ხუთი მატჩი ჩავატარე, შემდეგ კი მოლდოვაში, ტირასპოლის "შერიფში" ვცადე ბედი. ერთი წლის შემდეგ "დინამოში" დავბრუნდი, მაგრამ კლუბი ყველა თვალსაზრისით, ძალიან ცუდ მდგომარეობაში იყო და დარჩენა აღარ ღირდა. ვითამაშე მინსკის "დინამოში", თბილისის "მერანი 91"-ში. ყველაზე კარგად საბერძნეთი მახსენდება, სადაც მეორე ლიგაში "კალამატასა" და "იანინას" შემადგენლობაში წარმატებული სეზონები ჩავატარე. აზერბაიჯანში, განჯის "ქიაფაზშიც" რიგიანად ვითამაშე, შემდეგ კი საქართველოში დავბრუნდი და "სიონთან" ერთად ჩემპიონი გახდი. ახლა "დინამოში" ვარ და კიდევ ერთი ოქროს მედლისთვის ვიბრძვი.

- "დინამოში" ადაპტაცია რატომ გაგიჭიანურდა?

- მიზეზი მარტივია, ჩემს პოზიციაზე არ მათამაშებდნენ. საყრდენობა ნამდვილად არაა ჩემი საქმე. საბედნიეროდ, დუშან უჭრინი მიხვდა, რომ ნინ უნდა გავემწესებინე. მას შემდეგ ყველაფერი კარგადაა, ძირითადშიც ვხვდები და გუნდისთვისაც გაცილებით მეტი სარგებლობა მომაქვს. სეზონის პირველი ნახევრით კმაყოფილი ვარ, გული "ვიტ ჯორჯიასთან" განცდილმა მარცხმა დამწყვიტა. "რაპიდის" გახსენება კი აღარც მინდა, კი, იყო ეს გუნდი ჩვენზე ძლიერი, მაგრამ ასე არ უნდა გავნადგურებულიყავით...

- "დინამოში" თამაშს კიდევ რამდენ ხანს გეგმავ?

- კლუბთან კონტრაქტი ამ სეზონის ბოლოს მეწურება, შემდეგ კი ვნახოთ, როგორი ვითარება იქნება. "დინამოში" მფლობელის საკითხია გასარკვევი და ჯერ არ ვიცით, რა მოხდება უახლოეს პერიოდში. ისე კი, უცხოეთიდან საკმაო საინტერესო შეთავაზებები მაქვს და ჩემს გზას ნებისმიერ შემთხვევაში მოვნახავ.

- ეროვნულ ნაკრებში მიწვევის იმედი თუ გაქვს?

- რატომაც არა, ბოლო დროს საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელებს ენდობიან და ეგებ მათ რიცხვში მეც მოვხვდე.

- ფეხბურთიდან საახალწლო თემაზე გადავერთოთ. არის თუ არა ეს დღე შენი საყვარელი დღესასწაული?

- ახალი წელი და შობა ყველაზე მეტად მიყვარს, რაც მამა გავხდი, საახალწლო დღეებს კიდევ უფრო დიდი სიხარულით ველი. ახალ წელს ჩემს გოგონასაც ძალიან უყვარს, ერთი სული აქვს, თოვლის ბაბუა როდის ესტუმრება. კერძებს დედაჩემი და ჩემი მეუღლე ამზადებენ, მე კი ბაზარში დავდივარ საყიდლებზე. ეს პროცესი სულაც არ მეზარება, პირიქით, პროდუქტებსა და საჩუქრებს დიდი მონდომებით ვარჩევ. დიდი ოჯახი გვაქვს და ყოველთვის კარგად ვილხენთ.

- ტრადიციული მეკვლე თუ გყავს?

- ფეხბურთელები ცრუმორწმუნე ხალხი ვართ, ასე რომ, მეკვლეებს არ ვცვლი. ახალ წელს ჩემი პირველი სტუმრები დისშვილები არიან, მათი მეკვლეობით აბსოლუტურად კმაყოფილები ვართ (იცინის). მე კი ბებიაჩემის ტრადიციული მეკვლე ვარ.

- რომელ კერძებს ეტანები?

- ქართულ სამზარეულოს ძალიან ვაფასებ, ყველა ქართული საჭმელი მიყვარს. საახალწლო სუფრაზე კი ყველაზე დიდი სიამოვნებით გოჭის ხორცსა და შემწვარ ქათამს გეახლებით.

- ფეხბურთელთა უმრავლესობის მსგავსად, დალევას ალბათ, შენც ერიდები.

- რა თქმა უნდა. ბევრს არასდროს ვსვამ, თუმცა ცოტა შავი ღვინო ყოველთვის სასარგებლოა. ისე კახელი ვარ და ოჯახში ღვინო არასდროს მაკლია (იცინის). ქართულ ტრადიციებს უდიდეს პატივს ვცემ, ძალიან მიყვარს ტრადიციული ქართული სუფრა და კარგი სადღეგრძელოები.

- ახალი წლის ღამეს მხოლოდ ოჯახში გაატარებ?

- ჰო, შინ ვიქნები. მეუღლე ორსულადაა და ხმაურიან ადგილებში წასვლა სასურველი არაა. მეგობრები მეწვევიან და ერთად მოვილხენთ. ძირითადად, ფეხბურთელებთან ვმეგობრობ, მაგრამ სხვა სპორტის მიმდევრებთანაც მაქვს ახლო ურთიერთობა. ასე მაგალითად, მოჭიდავე ბადრი ხასაია ჩემი უახლოესი ძმაკაცია, იგი ჩემი მეჯვარეა.

- დაბოლოს, რას უსურვებ საკუთარ თავს, ოჯახს, საქართველოს...

- შესანიშნავი ოჯახი მყავს, ფეხბურთის თამაშიც კარგად გამომდის, ვისურვებდი, 2008 წელი ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვის 2007-ზე არანაკლებ წარმატებული ყოფილიყოს. ქართველ ხალხს "ლელოს" საშუალებით დამდეგ ახალ წელს მივულოცავ, მჯერა, რომ ყველაფერი კარგად იქნება, საქართველოს კი ბედნიერ მომავალს, მშვიდობასა და გამარჯვებას ვუსურვებ.

ლევან ჯანელიძაშვილი

ნუგზარ სუარიძის ფოტოები

აპრილი

3. რაგბი: მსოფლიოს 19-წლამდელთა ჩემპიონატის პირველ მატჩში საქართველომ რუმინეთს 28:0 მოუგო.

6-8. ძიუდო: ქართველებმა ევროპის ჩემპიონატზე ხუთი მედალი მოიპოვეს (1 ოქრო, 3 ვერცხლი, 1 ბრინჯაო). **ზაზა კედელაშვილი** ევროპის ორგზის ჩემპიონია. ვერცხლი - **ირაკლი ცირეკიძე, ლაშა გუჯეჯიანი, დავით ქევხიშვილი**, ბრინჯაო - **ნესტორ ხერგიანი**.

6-8. ჩოგბურთი: დევისის თასზე საქართველოს ნაკრებმა ბელგრადში სერბეთის წინააღმდეგ 0:5 ნააგო.

7. რაგბი: ერთა თასის მატჩში საქართველოს ნაკრებმა რეკორდი დაამყარა, ჩეხეთს 98:3 მოუგო.

15. ჭადრაკი: დრეზდენში ევროპის ჩემპიონატზე ქართველ მოჭადრაკეთაგან ათეულში მხოლოდ **ნინო ხურციძე** გავიდა. მსოფლიო ჩემპიონატის საგზურები გაინაწილდეს: ხურციძემ, **სოფიკო ხუხაშვილმა** და **ლელა ჯავახიშვილმა**.

17-20. ჩოგბურთი: საქართველოს ქალთა ნაკრებმა (**მაკა ჩახნაშვილი, ოქსანა კალაშნიკოვა, ეკატერინე გორგოძე, სოფიო ქვაცაბაია**) წარმატებით ითამაშა ფედერაციის თასზე და საგაისოდ ევროპა-აფრიკის პირველი ზონის საგზური მოიპოვა.

20. ანტიკური ჭიდაობა: **მანუჩარ კვირკველიამ** და **რამაზ ნოზაძემ** სოფიაში ევროპის ჩემპიონობა მოიპოვეს.

21-22. თავისუფალი ჭიდაობა: ევროპის ჩემპიონატზე ერთი ვერცხლის (**გელა საღირაშვილი**) და ორი ბრინჯაოს (**გიორგი გოგშელიძე** და **ალექსი მოდებაძე**) მედალი მოიპოვეს.

25. სუმო: გამოქვეყნდა ახალი რეიტინ-ლისტი, **კოკაი** ხუთი საფეხურით დაწინაურდა და აღმოსავლეთის მეორე მაეგაშირა გახდა.

28-29. სამბო: ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებმა 7 მედალი მოიპოვა (3 ოქრო და 4 ბრინჯაო). ჩემპიონები გახდნენ: **უშანგი კუზანაშვილი, დავით სვიმონიშვილი და მინდია ბოდაველი**.

მაისი

4. ხელბურთი: დასრულდა რეგულარული ჩემპიონატი. პირველ ადგილზე გავიდა „თბილისი“.

5. ძიუდო: **ლევან რაზმაძემ** მოსკოვის მსოფლიოს სუპერთასი მოიგო.

5. ფეხბურთი: ჩემპიონატის ცენტრალურ მატჩში რუსთავის „ოლიმპი“ თბილისის „დინამოს“ დაუზავდა და სამქულიანი უპირატესობა შეინარჩუნა.

5. კალათბურთი: დაიწყო ფლეიოფი - აზოტი-დინამო და ავიამშენი-თასუ.

5. რაგბი: დაიწყო საქართველოს მორიგი ჩემპიონატი.

6. ფეხბურთი: კარიერაში უკანასკნელად ითამაშა საქართველოს ნაკრების ყოფილმა ლიდერმა **თემურ ქეცბაიამ**.

13. ფეხბურთი: ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტად **გიორგი ნემსაძე** აირჩიეს. ერთ საათში ნემსაძემ თანამდებობა დატოვა.

13. ფეხბურთი: **თემურ ქეცბაიას** „ანორთოსისმა“ კვიპროსის თასი მოიგო.

17. ფეხბურთი: სფფ-ის პრეზიდენტის ხელახალ არჩევნებში **ნოდარ ახალკაცმა** გაიმარჯვა 25 ხმით.

18. კალათბურთი: ფინალურ სერიაში რუსთავის „აზოტმა“ 3:0 მოუგო თბილისის „ავიამშენს“ და ისტორიაში პირველად გახდა ჩემპიონი.

19. ხელბურთი: საქართველოს ჩემპიონი გახდა სტუ-თელავი.

20. ფეხბურთი: საქართველოს ჩემპიონი რუსთავის „ოლიმპი“ გახდა 63 ქულით.

23. ფეხბურთი: საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა ელიტ რაუნდის პირველ მატჩში პორტუგალიასთან 0:0 ითამაშა.

23. კალათბურთი: საქართველოს ჩეპიონატის საუკეთესო კალათბურთელად „ლელოს“ გამოკითხვამ **კოტე ტულუში** დაასახელა.

23. ფეხბურთი: ჩემპიონთა თასს მეორედ დაეუფლა ქართველი ფეხბურთელი **კახა კალაძე**

26. ფეხბურთი: საქართველოს თასის ფინალში „ამერმა“ 1:0 დაამარცხა „ზესტაფონი“ და ტიტულს ზედიზედ მეორედ დაეუფლა.

26. კალათბურთი: საქართველოს სუპერთასი რუსთავის „აზოტმა“ მოიგო.

28. ფეხბურთი: საქართველოს 19 წლამდელთა ნაკრებმა ელიტ-რაუნდში ორი თამაში ფრედ დაამთავრა, ერთი წააგო და ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ვერ მოხვდა.

29. ჭადრაკი: მსოფლიოს გუნდურ ჩემპიონატში საქართველოს ქალთა ნაკრებმა წარუმატებლად ითამაშა და მეოთხე ადგილი დაიკავა.

ივნისი

2. ფეხბურთი: ევრო-2008-ის შესარჩევ მატჩში საქართველოს ნაკრებმა კაუნასში ლიტვასთან 0:1 წააგო.

5. ფეხბურთი: საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრებმა შესარჩევ ციკლში შინ ესპანეთთან 0:1 წააგო.

5 რაგბი: საქართველოს ნაკრებმა ირბ-ის ერთა თასზე ნამიბია 26:18 დაამარცხა.

6. ფეხბურთი: საქართველოს ნაკრებმა საფრანგეთში 0:1 წააგო ევრო-2008-ის შესარჩევი მატჩი.

10. რაგბი: საქართველოს ნაკრებმა სამხრეთ აფრიკის A ნაკრებთან 7:24 წააგო.

12. ფეხბურთი: **ალექსანდრე იაშვილმა** ბუნდესლიგის „კარლსრუესთან“ სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

16. რაგბი: საქართველოს ნაკრებმა იტალიის A ნაკრები დაამარცხა 22:20 და ირბ-ის ერთა თასზე მესამე ადგილი დაიკავა.

17. კალათბურთი: **ვლადიმერ ბოისა** იტალიის ჩემპიონი გახდა.

23-30. ფეხბურთი: „ზესტაფონი“ ორი მატჩის ჯამში დამარცხდა ყაზახურ „ტობოლთან“ (0:3, 2:0) და ინტერტოტოს თასის გათამაშებას დაემშვიდობა.

27. ფეხბურთი: საქართველოს ნაკრებიც მცველმა **გიორგი შაშიაშვილმა** ავსტრიულ „შტურმთან“ ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

27-28. თავისუფალი ჭიდაობა: საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა ბელგრადში ბრინჯაოს ორი მედალი მოიპოვა.

29. ფეხბურთი: შვეიცარიულ ნიონში ევროთასებზე ქართული კლუბების მეტოქეთა ვინაობა გაირკვა.

30. კალათბურთი: **ვლადიმერ ბოისა** ევროპის ნაკრებში მიიწვიეს. მან საბერძნეთის ნაკრების წინააღმდეგ მატჩში 4 ქულა ჩააგდო.

ივლისი

1. ჩოგბურთი: **მაკა ჩახნაშვილმა** პადოვის (იტალია) საერთაშორისო ტურნირში გაიმარჯვა, რომლის საპრიზო ფონდი 25 ათასი დოლარია.

2. ფეხბურთი: **სანდრო იაშვილმა** (დინამო) შვეიცარიულ „თუნთან“ სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

3. ოლიმპიზმი: ტრაბზონში (თურქეთი) დაიწყო შავი ზღვის ქვეყნების პირველი თამაშები

4. ფეხბურთი: **გიორგი ონიანმა** (ოლიმპი) გერმანულ „კარლ ცაისთან“ სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

6. ჩოგბურთი: **ოქსანა კალაშნიკოვამ** უიმბლდონის ახალგაზრდულ ტურნირში მერვედფინალში გააღწია.

7. ოლიმპიზმი: საქართველოს დელეგაციამ შავი ზღვის ქვეყნების თამაშებზე 34 მედალი მოიპოვა (6 ოქრო) და გუნდური მეშვიდე ადგილი დაიკავა.

ღია წერილი სანტა კლაუსს

ძვირფასო სანტა,

მიუხედავად იმისა, მჯერა თუ არ მჯერა თქვენი არსებობის, მაინც გადავწყვიტე, რომ თქვენთვის წერილი მომეწერა. ამის მიზეზი ჩემი და კიდევ უამრავი ჩემნაირის ოპტიმისტური განწყობაა და კიდევ ის, რომ რაღაცის მაინც უნდა სჯეროდეს ადამიანს. მე მკაფიოდ მაქვს გადაწყვეტილი, რომ ჩემს შვილს, რომელიც ჯერ არ მყავს, მაგრამ იმედია, მეყოლება, როგორც კი ენას აიდგამს, არ დავუნყო მოტყუება და ვუთხრა, რომ ის საჩუქრები, რაც საახალწლო ნაძვის ხის ქვეშ დახვდა, ჩემი ფულითაა ნაყიდი და ჩემი ხელითაა მოტანილი. ჰო, რეალობა მკაცრი და ულამაზოა, ზღაპარი კი ლამაზი, მაგრამ გამოგონილი. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ზღაპარი ვერასდროს იქცევა რეალობად - არავინ იცის, რა და როგორ იქნება და იმიტომ. აი, ესეც ჩემი ოპტიმიზმი და ამ წერილის მიზეზი. და კიდევ ერთი: სურვილების ტრადიციული სიმრავლე.

რა მოუტანეთ თქვენ საქართველოს საფეხბურთო ნაკრებს 2007 წელს? ამ წელიწადში ჩვენი ქვეყნის პირველმა გუნდმა 12 მატჩი გამართა. აქედან 4 მოიგო, 3 ფრედ დაასრულა და 5-ში დამარცხდა. ვერ ვიტყვით, რომ ძალიან კარგი შედეგია, ბატონო სანტა. თუმცა აქვე გავიხსენოთ 2006 წელიც: 10 თამაში, 3 მოგება, 1 ფრე და 6 მარცხი. პროგრესი ჩანს: ორით მეტი მატჩი, ერთით მეტი მოგება, ორით მეტი ფრე და ერთით ნაკლები მარცხი. 2006 წლის სამი გამარჯვებიდან ერთი მალტასთან იყო (2:0), მეორე ფარერებთან (6:0), მესამე კი ურუგვაისთან (2:0). ახლა 2007-ის გამარჯვებებსაც გადავხედოთ: თურქეთთან 1:0, ფარერებთან 3:1, შოტლანდიასთან 2:0 და ყატართან 2:1. ყატართან და ფარერებთან მოგებულ მატჩებს მხოლოდ სტატისტიკისთვის თუ აქვთ მნიშვნელობა, აი, თურქეთთან და შოტლანდიასთან უმძიმესი ბრძოლების მოგება კი ძალიან ტკბილი იყო, ძალიან გემრიელი. მაგრამ ნოდარ დუმბაძის ერთი გმირისა არ იყოს, იმისთვის კატლეტი, ჩვენთვის კი ეს ორი მოგება, ძალიან გემრიელი კია, მაგრამ ერთი ნაკლი აქვს: ცოტაა!

ბევრ კატლეტს ბევრი ხორცი უნდა, ბევრ ხორცს კი ბევრი ფული – ეს ვიცით! მაგრამ რა უნდა ბევრ გამარჯვებას? ბევრი შრომა? არ კმარა, თორემ ჩინელებზე მშრომელი ხალხი არ არსებობს... ბევრი ფული? სისულელეა, ფულით ნაკრები გოლებს ვერ გაიტანს... დიდი ნიჭი? ნიჭიერები თითქოს ვართ, მაგრამ ეს რომ არ კმარა, აგერ უკვე 16 წელიწადია, საკუთარ თავზე ვცდით და ვცდით... იქნებ სამივე ერთად და კიდევ სხვა რაღაცეებიც? არ ვიცი, ეს თქვენ უნდა იცოდეთ, ბატონო სანტა!

რა იქნება 2008 წელს? თქვენი ჩვენდამი კეთილგანწყობა დიდადაა დამოკიდებული 5 და 6 ივნისზე (ვინიცობაა, 7-ზე და 8-ზეც იყოს) – ასე არ უნდა იყოს, მაგრამ ეს საქართველოა და აქ კიდევ ძალიან ბევრი რამ არ არის ისე, როგორც უნდა იყოს. ამიტომაც, პირველ რიგში იმ დღეების ისე ჩავლა უნდა ვისურვოთ, როგორც საჭიროა და ისევ და ისევ ჩემი ოპტიმიზმიდან გამომდინარე მჯერა, რომ ასეც იქნება. ამის შემდეგ კი უნდა ვთქვათ: ძვირფასო სანტა, 2008 წელს ჩვენ კიდევ უფრო მეტი მოგება და ნაკლები მარცხი გვსურს. და რა თქმა უნდა, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის ხეირიანად დაწყება. გათვლების გაკეთება და ყველა საჭირო დეტალის მოხერხება თქვენს მარიფათზეა დამოკიდებული. 2008 წელიწადი ხომ ვირთხის წელიწადია, შრომის წელიწადი და მოდით, ჩვენც ვიშრომოთ, ბატონო სანტა! მოვემზადოთ მომავალი ციკლისთვის და კიდევ განვიცადოთ პროგრესი.

მე რომ თქვენი ოპოზიციონერი ვიყო (ეს სიტყვა ჩვენთან ბოლო დროს ძალიან მოდაში იყო, მაგრამ ნელ-ნელა მოდიდან გადადის), აი, ასეთ რამეს დავაბრეხვებდი: სანტა კლაუსი ეშმაკისეულია! გაგეცინათ, არა? ჰე, ჰე, ჰე, ჩემო სანტა, აბა რისი ოპოზიციონერი ხარ, თუ ასეთი რამ არ დააბრეხვე? თანაც, ნახეთ: კლაუსს თავი დავანებოთ და სიტყვა სანტას დავაკვირდეთ, მხოლოდ და მხოლოდ ერთი ასო, აი, მაგალითად ასო ნ, გადავიტანოთ ბოლოში და რას მივიღებთ? სანტა-სატან!

ნუ მიიღეთ ასეთი სერიოზული სახე, ვიხუმრე. ხომ ხედავთ, გეხუმრებით კიდეც, ერთობ თავხედი გამოვდექი. ეს ჩვენი ოპოზიციონერების ერთგვარი სტილია და მეც რომ მათ შორის ვიყო, ასეთ რამეს დავაბრეხვებდი-თქო. ლოგიკა აქვთ ასეთი. მე კი, მართალია, წავუათეისტებ, მაგრამ ეშმაკის სახელით სპეკულირება და მერე ხით-ხითი ან სულაც ხორხოცი, იცოცხლეთ, მიყვარს.

მაგრამ მგონი, თემას გადავუხვიე, თქვენ კი კიდევ ალბათ მილიარდობით ჩემნაირის წერილი გაქვთ წასაკითხი.

პირველი და უმთავრესი თხოვნა გამარჯვებები იყო და პრინციპში, ყველა სხვა დანარჩენი ამ ერთიდან გამომდინარეობს. ძვირფასო სანტა, ძალიან მინდა, რომ ყველაფერს უფრო უკეთ აუღოთ ალღო – რომ იტყვიან, 100 პროცენტით. და როცა გამოჩნდება, რომ ყველაფერს აუღეთ ალღო, აი, მერე დავინახავთ, რაც შეგიძლიათ. ამ ორი წლის მანძილზე ძალიან ბევრ რამეში რომ გაერკვიეთ, ფაქტია. არადა, თავიდან ყველაფერი ძალიან ლამაზი იყო, არა, ბატონო სანტა? თქვენ გიკვირდათ, **ასათიანების**, **კობიაშვილების**, **არველაძეების**, **კალაძეების**, **ხიზანიშვილების** და **იაშვილების** გუნდი წარმატებას როგორ ვერ უნდა აღწევდესო. მინდა გითხრათ, რომ ჩვენ ეს დიდი ხანია, აღარ გვიკვირს, მაგრამ თქვენ თქვენი ოპტიმიზმი ყველას გადაგვდეთ და თქვენვე ამბობდით, სიკდვილის ჯგუფში კი მოვხვდით, მაგრამ ბრძოლა შეიძლებაო. ეს ჩავლილი ამბავია და ბევრი რამ შეიცვალა, შეიცვალეთ თქვენც და უკვე ისე იქცევით, როგორც საჭიროა. მე გთხოვთ, ბატონო სანტა: დადექით კიდევ უფრო მედგრად, იყავით კიდევ უფრო მკაცრი! ლაპლანდიური ენა არ ვიცი, გერმანულად კი იცოცხლეთ, ვსხლავ და ამიტომ გერმანულად გეტყვით: Schlagen Sie kraftvoll zu! Hauen Sie mal drauf! რადგან დიპლომატია კარგია დიპლომატებთან, ტოლერანტობა კარგია ტოლერანტებთან...

ასე რომ, ძვირფასო სანტა, ორი წლის წინათ თქვენი ჩვენთან დამოყვრებით ლამაზი ზღაპარი დაიწყო და ჩვენ ყველანი ამ ზღაპარში აღმოვჩნდით ჩათრეულები. ამიტომაც საჭიროა, რომ ეს ზღაპარი გაგრძელდეს და ზუსტად ისე დასრულდეს, როგორც საერთოდ ზღაპრებში ხდება: ჰეფი ენდით. და იქცეს რეალობად, რასაც 2010 წლის მუნდიალი ჰქვია და სამხრეთ აფრიკაში გამგზავრებას ნიშნავს. ამ ზღაპარზე, თუკი ის რეალობად გადაიქცევა, მე სიამოვნებით მოვუყვები შვილს, რომელიც ჯერ არ მყავს, მაგრამ აუცილებლად მეყოლება...

გოტფრიდ ლენცი

CDN კავკასიის სიფხიერი ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
ბიზნესისთვის სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრული პაკეტი:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 755 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGA LINE ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
• უსაფრთხო მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადასვლა სხვისგან გაუჭკვლელად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, ‘ცალ ფეხზე’, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 350 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

გიორგი ცინცაძე

ორი წაგება

ევროპულ კალათბურთში ზამთრის არდადაგები ჯერ ყველგან არ დამდგარა და ზოგიერთ ქვეყანაში ჯერ ისევ აგორებენ ბურთს. ორმა ქართველმა ლეგიონერმა წინასაახალწლოდ ითამაშა და სამწუხაროდ, ორივემ თავჩაღუნულმა დატოვა მოედანი.

გიორგი ცინცაძით დავიწყოთ, რომლის ესტონური „ტარტუ როკი" ბალტიის ლიგის მორიგ ტურში, ლიტვურ „შაულიაის" ესტუმრა. დაძაბულ ორთაბრძოლაში, ყველაფერი ბოლო წამებზე გადაწყდა - 93:91 ლიტველთა სასარგებლოდ.

გიორგი ცინცაძემ მეხუთე ფოლის გამო, მხოლოდ 18 წუთი დაჰყო მოედანზე და 2 ქულის მეტი ვერ მოაგროვა. მან 1 ორქულიანი ჩააგდო, სამი სამქულიანი კი ააცილა. ამას გარდა, ქართველი გამთამაშებლის ანგარიშზეა 3 მოხსნა და 5 პასი. „ტარტუ როკი" ბალტიურ ლიგაში საახალწლო არდადეგებს მეექვსე პოზიციაზე შეეგებება.

ესპანეთში კი „ტაუ კერამიკასთან" განადგურდა საქართველოს ნაკრების ამერიკელი გამთამაშებლის - **ტაირონ ელისის** „კახასოლი" (56:77). ელისმა 34 წუთი დაჰყო მოედანზე და საკმაოდ ცუდად შეასრულა „ცოცხალი სროლები". მან 4-დან 1 ორქულიანი გამოიყენა, ხუთი სამქულიანიდან კი ვერცერთი ვერ უწია სამიზნეს. სამაგიეროდ, საჯარიმოს ხაზზე მდგარმა, 6-დან 5 სროლა გამოიყენა და საბოლოოდ, 7 ქულით დაამთავრა თამაში. რაც შეეხება სხვა მაჩვენებლებს, ელისის ანგარიშზეა 3 მოხსნა, 4 პასი და 1 ჩაჭრა.

„კახასოლი" კი 14 ტურის შემდეგ დაგროვილი 18 ქულით, მე-15 ადგილზე იმყოფება და თუკი ზამთრის არდადეგებზე არ გაძლიერდა, ასეთი თამაშით ფლეიოფში გასვლის შანსი არა აქვს.

კობა ხატისაშვილი

ლიუბეკის საახალწლო გამოწვევა

გერმანიის სახელბურთო ბუნდესლიგაში, საშემოდგომო ეტაპი დამთავრდა. **სერგო დათუკაშვილის** მაჩანჩალა „ლიუბეკმა" მეოთხეადგილოსან „ნორდჰორნს" უმასპინძლა და ყველასთვის მოულოდნელად, სტუმარი უქულოდ გაუშვა უკან. მართალია, „ნორდჰორნმა" პირველი ტაიმი 15:12 მოიგო, მაგრამ ბოლო 30 წუთში „ლიუბეკი" უფრო ძლიერი იყო, რომელმაც საბოლოოდ, 31:30 იმარჯვა და ახალ წელს კარგი განწყობით შეხვდება. მატჩის მიმოხილვაში ვკითხულობთ, რომ ყველაფერი მატჩის დამთავრებამდე 9 წამით ადრე გადაწყდა, როდესაც რემერმა 31:29 დაანინაურა თანაგუნდელები. ბოლო შეტევაში ნორდჰორნელი გლენდორფის გატანილმა გოლმა კი მხოლოდ საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

რაც შეეხება დათუკაშვილს, მან 6 გოლი შეაგდო. ამას გარდა, ზედმეტი თავგამოდებისთვის ორჯერ იქნა მოედნიდან გაძევებული 2 წუთით.

19 ტურის შემდეგ, „ლიუბეკი" 16-17-ე ადგილებს იყოფს „ბინდენთან" ერთად, ხოლო 15-ე ადგილოსან „ვილჰელმსჰავენერამდე" ერთი მოგება აშორებს. სეზონის ბოლოს, მეორე ბუნდესლიგაში 17-18-ე ადგილებზე გასულები ვარდებიან, ხოლო 16-ე ადგილოსანი ფლეიოფში ხვდება ქვედა ლიგის მესამეადგილოსანს.

დასასრულ კი ბუნდესლიგის ბომბარდირთა დავას გადავხედოთ, სადაც წინა ტურის ჩაგდებამ და კონკურენტთა ჩუბინობამ, დათუკაშვილი მეცხრე ადგილამდე დააქვეითა. ქართველ გამთამაშებელს 19 მატჩში 112 გოლი აქვს დაგროვილი. ერთპიროვნული ლიდერობა დაკარგა თითქმის მთელი სეზონის განმავლობაში პირველ ადგილზე მყოფმა **არნე ნაიმაიერმა** („მინდენი", 120 გოლი), რომელიც მეოთხე ადგილამდე ჩამოქვეითდა. ამასობაში, ბომბარდირთა დავის სათავეში მოექცა „ფუქსეს" ხელბურთელი **კონრად ვილჩინსკი**, რომელსაც 127-ჯერ აქვს შერხეული მეტოქეთა კარის ბადე. მეორე-მესამე ადგილებს კი **ჟან ფილიპი** („ნორდჰორნი") და **ნიკოლა კარაბატიჩი** („კილი") იყოფენ, რომელთან 123-123 გოლი აქვთ შეგდებული.

კობა ხატისაშვილი

სერგო დათუკაშვილი

7-8. რაგბი: ევროპის ჩემპიონატზე შვიდკაცაში ქართველ ნაკრებმა მეშვიდე ადგილი დაიკავა.

7-8. ძიუდო: ახალგაზრდულ ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებმა თითო ოქრო-ვერცხლის და 3 ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

10. კალათბურთი: **მანუჩარ მარკოიშვილი** ლუბლიანის „ოლიმპიადან" უკრაინულ „კიევში" გადავიდა.

12. კალათბურთი: საქართველოს ნაკრების მწვრთნელი **კენ შილდსი** გახდა.

12. მშვილდოსნობა: მსოფლიო ჩემპიონატზე ორმა ქართველმა მოიპოვა ოლიმპიური ლიცენზია: **ხათუნა ნარიმანიძემ** და **ქრისტინე ესებუამ**.

14-15. ჭიდაობა: გაიმართა კარტოზიას და ბალავაძის სახელობის ტურნირები.

15. კალათბურთი: 20-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებმა მე-12 ადგილი დაიკავა და ელიტაში ადგილი შეინარჩუნა.

17. ფეხბურთი: ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე რუსთავის „ოლიმპი" ყაზახეთის ჩემპიონ „ასტანას" 0:0 დაუზავდა.

18. ფეხბურთი: **შოთა არველაძემ** 1+1 სისტემით კონტრაქტი გააფორმა ესპანურ „ლევანტესთან".

22. სუმო: **კოკაიმ** ნაგოიას ბაშო უარყოფითი ბალანსით დასრულა

22. ოლიმპიზმი: ბელგრადში ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშები დაიწყო.

26. ოლიმპიზმი: ბელგრადში დასრულდა ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალი, სადაც ქართულმა დელეგაციამ იასპარეზა.

27. ჩოგბურთი: **ოქსანა კალაშნიკოვამ** ევროპის 18 წლამდეთა ჩემპიონატში ფინალში გააღწია, წყვილთა თანრიგში კი ევროპის ჩემპიონი გახდა.

28. ჭიდაობა: ევროპის ჭაბუკთა ჩემპიონატში ქართველებმა ოქრო (**ვასილ იმერლიშვილი**) და სამი ვერცხლი მოიპოვეს.

29. ფეხბურთი: რუსთავის ოლიმპი საპასუხო მატჩში ყაზახეთში 0:3 დამარცხდა და ჩემპიონთა ლიგის პირველივე საკვალიფიკაციო ეტაპიდან გავარდა.

30. კალათბურთი: **ვლადიმერ ბოისა** რუსულ „სპარტაკ-პრიმორიეში" გადავიდა.

31. რაგბი: ლოკომოტივის სტადიონზე საფრანგეთის მსოფლიო თასზე საზეიმოდ გააცილეს საქართველოს ეროვნული ნაკრები.

აგვისტო

1. ფეხბურთი: **შოთა არველაძემ** ჰოლანდიაში მუხლის ოპერაცია გაიკეთა.

1. ფეხბურთი: **გიორგი ლომაიამ** 6-თვიანი კონტრაქტი ლვოვის „კარპატისთან" გააფორმა.

2. ფეხბურთი: უეფას თასის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე „ამერმა" პენალტების სერიაში (2:4) წააგო პოლონეთის „ბელხატოვთან".

2. ფეხბურთი: უეფას თასის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე თბილისის „დინამომ" 0:0 ითამაშა „ვადუცთან" და შემდეგ ეტაპზე გავიდა.

3-5. კალათბურთი: საქართველოს ნაკრებმა პორტუგალიის ოთხთა ტურნირზე მესამე ადგილი დაიკავა.

4. ფეხბურთი: ფინანსური პრობლემების გამო ჰფლ-მა სამგზის ჩემპიონი ქუთაისის „ტორპედო" უმაღლესი ლიგიდან მოკვეთა. „ტორპედოს" ნაცვლად ლიგაში „დილა" ითამაშებს.

4-5. ძიუდო: საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა ჩეხეთის საერთაშორისო ტურნირში ბიჭებში გუნდური პირველი ადგილი დაიკავა.

5. ჩოგბურთი: **ლადო ჩიხლაძემ** თბილისის საერთაშორისო ტურნირი მოიგო.

10. ფეხბურთი: დაიწყო საქართველოს მე-19 ჩემპიონატი ფეხბურთში.

13. კალათბურთი: **ნიკოლოზ ცქიტიშვილმა** „ტერამოსთან" (იტალია) ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

26. რაგბი: საქართველოს ნაკრებმა მსოფლიო თასზე ისტორიული გამარჯვება მოიპოვა, ნამიბია 30:0 დაამარცხა.

30. რაგბი: საქართველოს ნაკრებმა მსოფლიო თასზე ასპარეზობა საფრანგეთთან 7:64 მარცხით დასრულა.

ნელინაღი ბავშვებმა დაასრულეს

გუშინ თბილისის ჭადრაკის სასახლეში დასრულდა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის **თეიმურაზ ლომაიას** ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი. ეს წლის ბოლო ასპარეზობა იყო და ერთ-ერთი ყველაზე დაძაბული და საინტერესო გამოდგა. ერთმანეთს 8-დან 14 წლამდე გოგო-ბიჭები ეჯიბრებოდნენ. ამ ასაკის ბავშვებს კი ემოციურობა, უკომპრომისობა ახასიათებთ, რაზეც არაერთხელ მივანიშნეთ ჩვენ რეპორტაჟებში.

ტურნირი შვეიცარიული სისტემით, 7 ტურად ჩატარდა ოთხ ასაკობრივ ჯგუფში. 8, 10, 12 და 14 წლამდე. შეჯიბრების ფორმატიდან გამომდინარე (8 და 12-წლიანები დილით თამაშობდნენ, 10 და 14-წლიანები - შუადღით) უმცროსებს ორ ტურნირში თამაში შეეძლოთ. რამდენიმე მონაწილემ ისარგებლა მოცემული პირობებით და ზოგიერთმა - წარმატებითაც.

უპირველესად, აღნიშვნის ღირსია 12 წლის **ნანი უნაფქოშვილი**. მან თავის ასაკში ყველა გოგონას აჯობა და პირველი ადგილი დაიკავა, ასეთივე შედეგი აჩვენა 14-წლიანებშიც. აქვე შევნიშნავთ: მიუხედავად იმისა, რომ გოგონები ბიჭებთან ერთად თამაშობდნენ, მათი შედეგი ცალკე გამოიყოფოდა. თუკი კარგად ჩავხედავთ ცხრილს, ასეთი დაყოფა ეგებ არც იყოს სამართლიანი, რადგან გოგონებმა ბიჭებს საერთო ჩათვლაშიც კი ბევრი არაფერი დაუთმეს და საპრიზოებში შეეცილნენ. ასე მაგალითად, იმავე უნაფქოშვილმა ორივე ასაკში მეორე ადგილი დაიკავა; 12-წლიანებში 6 ქულა დააგროვა და მხოლოდ კოეფიციენტით ჩამორჩა **ალექსანდრე უბრალიძეს**, 14-წლიანებში კი 5 ქულას მოუყარა თავი და თავად გაუსწრო კოეფიციენტით სამ კონკურენტს. აქ უპირობო გამარჭვებული გახდა **გიორგი ნიკოლაშვილი**, რომელმაც შვიდიდან 7 ქულის დაგროვება შეძლო.

გოგონებში ორ ფრონტზე წარმატებას მიაღწია **ანა კუჭავამაც** - 12-წლამდელებში მეორე ადგილზე გავიდა 5.5 ქულით, 14-წლამდელებში კი 5 ქულით მესამე იყო. არადა, ანას შეეძლო 12-წლამდელებში არა მხოლოდ გოგონებში გაემარჯვა, არამედ ყველა ბიჭისთვისაც გადაესწრო. ბოლო ტურში მას ნანი უნაფქოშვილთან უდიდესი უპირატესობა ჰქონდა, ზედმეტი ფიგურა ჰქონდა, მაგრამ მოეშვა, ფიგურა წააგო და პარტიაც.

ორი ჯილდო ერგო 7 წლის **ნინო ხომერიკასაც**: 10-წლამდე ყველა გოგონას აჯობა და 5 ქულით პირველ ადგილზე გავიდა, 12-წლიანებში კი, ასევე 5 ქულით, მესამე ადგილი დაიკავა.

ორ ფრონტზე ბრძლაში გოგონებმა აშკარად დაჯაბნეს ბიჭები: ამ მხრივ მხოლოდ 9 წლის **მამუკა ანთაძემ** მოახერხა თავის გამოჩენა. 10-წლამდელებში პირველ ადგილზე გავიდა 6 ქულით, ხოლო 12-წლამდელებში 5 ქულით მეორე ადგილი ირგუნა. მამუკას პირველობა იოლად არ რგებია - **ირაკლი კელაპტრიშვილთან** ერთად დააგროვა 6 ქულა, დამატებითი მაჩვენებლებიც ერთნაირი აღმოაჩნდათ და დებულების თანახმად დაინიშნა ორი ხუთწუთიანი პარტია. ბლიცში ანთაძემ გაიმარჯვა.

ასეთივე გზა გაიარა **ირაკლი ტულუშმა**, რომელიც 8-წლამდელთა ტურნირში თამაშობდა. მისი მეტოქე იყო **რატი პერტია** - მთავარი ტურნირი ორივემ 6.5 ქულით დასრულა, ბლიცი კი ტულუშმა მოიგო.

საერთო ჯამში, ყველა ასაკში ბიჭებმა იმარჯვეს. სამეულები ასეთია: **8-წლიანები. ბიჭები.** 1. ირაკლი ტულუში - 6.5, 2. რატი პერტია - 6.5, 3. სანდრო ურდულაშვილი - 6. **გოგონები.** 1. ქეთი ცერცვაძე - 5, 2. მარი თვალავაძე - 5, 3. მარიამ შუბითიძე 4. **10-წლამდელები.** ბიჭები. 1. მამუკა ანთაძე - 6, 2. ირაკლი კელაპტრიშვილი - 6, 3. უჩა მღვდელაძე. **გოგონები.** 1. ნინო ხომერიკი - 5.5 2. ელენე საპანაძე - 5, 3. ეკა ურდულაშვილი - 4.5. **12-წლამდელები. ბიჭები.** 1. ალექსანდრე ებრალიძე - 6, 2. მამუკა ანთაძე - 5, 3. რეზო კვერღელიძე - 5. **გოგონები.** 1. ნანი უნაფქოშვილი - 6, 2. ანა კუჭავა - 5.5, 3. ნინო ხომერიკი - 5. **14-წლამდელები. ბიჭები.** 1. გიორგი ნიკოლაშვილი - 7, 2. არჩილ მაღრაძე - 5, 3. რეზო ჭკუასელი - 5. **გოგონები.** 1. ნანი უნაფქოშვილი - 5, 2. ნათია ჯალაბაძე - 5, 3. ანა კუჭავა - 5.

გარდა მოჭადრაკეებისა, ჯილდოები მწვრთნელებსაც გადაეცათ. დებულების თანახმად, პირველ 10 ადგილზე გასულები თავიანთ მწვრთნელებს ჩასათვლელ ქულებს აძლევდენ. ამ მაჩვენებლით გაიმარჯვა **სოსო კვირიაშვილმა**, მეორეზე **გოგი მაჭარაშვილი** გავიდა, მესამეზე - **ზაზა ჭკუასელი**, მეოთხე **გოგი ხომერიკია**, მეხუთე - **გივი გოგიჩაიშვილი**.

და ბოლოს: ტურნირი უკვე 11 წელია, იმართება. იდეის ავტორი, **თეიმურაზ ლომაიას** მონაფე **ზაზა ჭკუასელი** აქამდე 147-ე საჯარო სკოლაში ანყობდა შეჯიბრებას, ნლეულს კი მასშტაბის გაზრდა თბილისის ჭადრაკის ფედერაციასთან თანამშრომლობით გახდა შესაძლებელი. გამოითქვა სურვილი, რომ გაისად ტურნირი სარეიტინგო გახდეს, რაც უთუოდ აამაღლებს მის ავტორიტეტს.

ზვიად შათირიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

15. ფეხბურთი: თბილისის „დინამო“ შინ ავსტრიულ „რაპიდთან“ წააგო - 0:3.

19. ძალოსნობა: დასრულდა საქართველოს ჩემპიონატი. ძალოსნობას დაუბრუნდა ოლიმპიური ჩემპიონი **გიორგი ასანიძე**.

19. ჩოგბურთი: **ლადო ჩიხლაძემ** მიუნხენის საერთაშორისო ტურნირი მოიგო.

22. ფეხბურთი: საქართველოს ნაკრებმა ამხანაგურ მატჩში ლუქსემბურგში 0:0 ითამაშა.

22-26. ჭიდაობა: მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატში ქართველებმა 4 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს, აქედან სამი თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ანგარიშზეა.

25. კალათბურთი: საქართველოს ნაკრებმა ავსტრია 85:74 დაამარცხა.

25. რაგბი: საქართველოს ნაკრებმა დაასრულა მსოფლიოს თასისთვის სანვრთნელი მატჩების გამართვა და ინტენსიურ მზადებაზე გადავიდა.

29. კალათბურთი: საქართველოს ნაკრებმა ისლანდიის ნაკრებთან წააგო 75:76 და A დივიზიონის საგზური დაკარგა.

სექტემბერი

1. ჩოგბურთი: **ოქსანა კალაშნიკოვამ** ნყვილებში კანადის ახალგაზრდული ღია პირველობა მოიგო.

2. კალათბურთი: საქართველოს ნაკრებმა B დივიზიონის ბოლო ჯგუფური მატჩი 77:76 მოიგო ფინეთის ნაკრების წინააღმდეგ და მეორე ადგილი დაიკავა.

6. ტანვარჯიში: მსოფლიოს ჩემპიონატზე **ილია გიორგაძემ** 42-ე ადგილი დაიკავა და პეკინის ოლიმპიადის ლიცენზია მოიპოვა.

7. ფეხბურთი: საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა 2:1 დაამარცხა ყაზახეთის ნაკრები.

8. ფეხბურთი: საქართველოს ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მატჩი უკრაინის ნაკრებთან შინ 1:1 დაასრულა.

8. ჩოგბურთი: **ოქსანა კალაშნიკოვამ** ამერიკის ღია პირველობის ახალგაზრდულ ტურნირში ერთეულებში ნახევარფინალში, წყვილებში კი ფინალში, წაგო.

9. სუმო: აკი ბაშო გამარჯვებით დაიწყო **ლევან ცაგურიამ** (კოკაი).

11. რაგბი: მსოფლიოს თასის პირველ მატჩში საქართველოს ნაკრები არგენტინასთან 3:33 დამარცხდა.

11. ფეხბურთი: საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა ესპანეთში 0:4 წააგო.

12. ფეხბურთი: საქართველოს ნაკრები ბაქოში აზერბაიჯანის ნაკრებს 1:1 დაუზავდა.

13. ძიუდო: **ლაშა გუჯეჯიანმა** მსოფლიო ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. **ლომერ ჟორჟოლიანმა** კი მეხუთე ადგილი დაიკავა. ოლიმპიადის ლიცენზია ორივემ მოიპოვა.

14. ძიუდო: **ირაკლი ცირეკიძე** გახდა პირველი მსოფლიო ჩემპიონი ძიუდოისტი დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში.

15. რაგბი: საქართველოს ნაკრები ტოლ-სწორად ეთამაშა ირლანდიის ნაკრებს - 10:14.

17. ძიუდო: **ნესტორ ხერგიანმა** ვერცხლის მედალი მოიპოვა.

17. ანტიკური ჭიდაობა: **დავით ბედინაძემ** ბაქოში მსოფლიო ჩემპიონატზე გაიმარჯვა.

18. ანტიკური ჭიდაობა: **რამაზ ნოზაძე** მსოფლიო ჩემპიონი გახდა, ხოლო **ბადრი ხასაიამ** ბრინჯაოს მედალი მოიგო.

19. მხატვრული ტანვარჯიში: ქართველებმა საბერძნეთში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატზე წარუმატებლად იასპარეზეს და ოლიმპიადის საგზურები ვერ მოიპოვეს.

20. თავისუფალი ჭიდაობა: **ოთარ თუშიშვილი** ბრინჯაოს პრიზიორი გახდა, ხოლო **გელა საღირაშვილმა** ოლიმპიადის ლიცენზია მოიპოვა.

22. ძალოსნობა: ქართველმა ძალოსნებმა ტაილანდში მსოფლიო ჩემპიონატზე სამი ოლიმპიური ლიცენზია მოიპოვეს.

23. ფეხბურთი: 17-წლამდელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის პირველი შესარჩევი მატჩი ბულგარეთში ხორვატიასთან 0:4 წააგო.

23. სუმო: **კოკაიმ** სექტემბრის ბაშო უარყოფითი ბალანსით 7-8 დასრულა.

წლის საუკეთესო სპორტსმენი რამაზ ნოზაძე და სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ნამგალაური

ვამაყობ, რომ ქართველი ვარ!

გუშინ რესტორან „მონოპოლში“ სპორტის და ახალგაზრდობის დეპარტამენტმა წლის საუკეთესო სპორტსმენთა დაჯილდოვება მოაწყო. თბილისის ჭიშკართან მდებარე რესტორანი გუშინ ქართული სპორტის ნაღებს მასპინძლობდა, სპორტსმენებს, მწვრთნელებს, სპორტის ფუნქციონერებს, ექიმებს, ჟურნალისტებს... საღამო გაამხიარულეს „კომედი შოუს“ არტისტებმა, სხვა ჯგუფებმა.

ჩვენთვის 2007 წელიწადი წინანდელზე ბევრად მოსავლიანი გამოდგა, სპორტის ოლიმპიურ სახეობებში, შარშან თუ ჩემპიონი არ გვყავდა, წლეულს მსოფლიოს ჩემპიონობა მოიპოვეს ანტიკური სტილით მოჭიდავეებმა **რამაზ ნოზაძემ** და **დავით ბედინაძემ**, ძიუდოისტმა **ირაკლი ცირეკიძემ** და ფეხბურთელმა **კახა კალაძემ** (საკლუბო მსოფლიო ჩემპიონატზე).

საღამოს მრავალ სტუმართან ერთად იყო საქარველოს პრემიერ-მინისტრი **ლადო გურგენიძე**, რომელმაც საუკეთესო გუნდი დააჯილოდვა. წლის საუკეთესო გუნდად სათამაშო სახეობებში მსოფლიო თასზე ფურორის მომხდენი სარაგბო ნაკრები დასახელდა, სპეციალური სიგელი მორაგბეთა მომზადებისთვის მათ მწვრთნელ **მალხაზ ჭეიშვილს** გადაეცა. პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ ის თავად ესწრებოდა ბორდოში საქართველოს ნაკრების მატჩს მსოფლიო თასზე და ამაყობდა, რომ ქართველია. საუკეთესო გუნდად ინდივიდუალურ სახეობებში საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები დასახელდა, ასევე სპეციალური სიგელი გადაეცა მათ მთავარ მწვრთნელს, წლეულს ძიუდოში მსოფლიოს საუკეთესო მწვრთნელად აღიარებულ **შოთა ხაბარელს**.

წლის საუკეთესო სპორტსმენი გოგონა ბატუტზე მხტომელი **ლუბოვ გოლოვინა** გახდა, ბიჭი კი - ძიუდოისტი **ზებედა რეხვიაშვილი**. წლის აღმოჩენა 17 წლის ფეხბურთელი **ლევან ყენია** გახდა.

წლის საუკეთესო მწვრთნელი დამსახურებულად გახდა ანტიკურ ჭიდაობაში საქართველოს ნაკრების თავკაცი **ბეგი დარჩია**. სპორტის რაინდის ორდენი მიიღო **ოთარ ტატიშვილმა**.

დაბოლოს საღამოს აპოგეა, ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენის დასახელება იყო, როგორც მოსალდნელი იყო, საუკეთესოდ ანტიკური სტილით მოჭიდავე **რამაზ ნოზაძე** აღიარეს, რომელმაც მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. ნოზაძეს გაისად დიდი მიზანი აქვს დასალაშქრავი - პეკინის ოლიმპიადა. ბოლოს მადლობის სიგელით მედიის წარმომადგენლები დაჯილდოვდნენ, სპეციალური სიგელი ჩვენ, გაზეთმა „ლელომ“ მივიღეთ..

ნიკოლოზ ნეფარიძე

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

ლუბა გოლოვინა

წლის აღმოჩენა ლევან ყენია

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ლადო გურგენიძე აჯილდოებს მალხაზ ჭეიშვილს

შოთა ხაბარელი

ბეგი დარჩიას აჯილდოებს გიორგი ბარამიძე

სამი გოლიათი: ზაურ ცხადაძე, ოლიმპიური ჩემპიონი რაფიელ ჩიმიშკიანი და ლევან ცაგურია

ოთარ ტატიშვილი

ოქტომბერი

6-7. ძიუდო: ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე ბალერინებმა ოქროს ერთი (**ვალერი ლიპარტელიანი**) და ვერცხლის ორი მედალი (**ზვიად ბაზანდარაშვილი, ლევან მუქერია**).

9. ოლიმპიური: საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომმა პრეზიდენტ **ბადრი პატარკაციშვილს** უფლებამოსილება შეუჩერა.

9. ჭადრაკი: ევროპის საკლუბო ჩემპიონატში „ინტერპლასტ-თბილისმა" მერვე ადგილი დაიკავა.

13. ფეხბურთი: ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში საქართველოს ნაკრებმა იტალიასთან სტუმრად 0:2 წააგო.

17. ფეხბურთი: საქართველოს ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში შოტლანდიის ნაკრები 2:0 დაამარცხა.

18. ფეხბურთი: 19-წლამდელთა შესარჩევ მატჩში, საქართველოს ნაკრებმა ჰოლანდიასთან 1:2 დათმო.

21. ფეხბურთი: 19-წლამდელთა შესარჩევ მატჩში საქართველოს ნაკრებმა ნორვეგიასთან 0:1 დათმო.

21. კალათბურთი: დაიწყო საქართველოს ჩემპიონატი

23. ფეხბურთი: საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელ **კლაუს ტოპმიოლერს** „კაიზერსლაუტერნის" კონსულტანტობა შესთავაზეს.

23. ფეხბურთი: 19-წლამდელთა შესარჩევ მატჩში საქართველოს ნაკრებმა ლატვიასთან 0:1 დათმო.

24. ოლიმპიზმი: სეოკ-ის სხდომაზე პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლად ვიცე-პრეზიდენტი **გოგი თოფაძე** აირჩიეს.

25-31. კრიკეტი: მსოფლიო ჩემპიონატზე ჩიკაგოში ჩვენმა მოკრივეებმა ოლიმპიადის ლიცენზიის მოპოვება ვერ შეძლეს.

26. ფეხბურთი, რაგბი: ეროვნული ნაკრების ბაზაზე მიხეილ სააკაშვილმა ფეხბურთის და რაგბის სახელმწიფო პროგრამები წარადგინა.

27. ძიუდო: ევროპის გუნდურ ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებმა გაიმარჯვა.

27. ხელბურთი: საქართველოს ნაკრებმა თბილისში სამი მატჩი მოიგო და ჩელენჯ ტროფის ფინალში გავიდა.

27. რაგბი: საქართველოს თასის ფინალში, რომელიც ქუთაისში გაიმართა, „ყორჩებმა" „ლოკომოტივი" დაამარცხა. მოგვიანებით „ყორჩებმა" საქართველოს ჩემპიონის ტიტულიც მოიპოვა.

27-28. ფიგურული ციგურაობა: **ელენე გედევანიშვილმა** „სკეიტ ამერიკაზე" მეექვსე ადგილი დაიკავა.

30. კალათბურთი: „აზოტი" ფიბა-ს თასზე შინ 77:87 დამარცხდა „ამსტერდამთან".

ნოემბერი

1. ბატუტზე ხტომა: კვებეკში მსოფლიო ჩემპიონატზე **ლუბა გოლოვინამ** ოლიმპიადის ლიცენზია მოიპოვა.

6 კალათბურთი: რუსთავის „ენერჯი-ინვესტმა" ევროთასის მეორე მატჩიც წააგო ჰოლანდიის „მაიგაიდთან" - 63:101 და ტურნირს დაეშვიდობა.

16. ფეხბურთი: ყატარში საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ამხანაგურ მატჩში 2:1 დაამარცხა მასპინძელთა გუნდი.

20. ფეხბურთი: საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა რუსეთი 2:0 დაამარცხა.

21. ფეხბურთი: საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ევრო 2008-ის საკვალიფიკაციო ეტაპზე ასპარეზობა მარცხით დაასრულა, საქართველომ შინ ლიტვასთან 0:2 წააგო.

24. ფეხბურთი: გაიმართა 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის წილისყრა, საქართველოს ნაკრებს იტალია, ბულგარეთი, ირლანდია, კვიპროსი და ჩერნოგორია ერგო.

29. ფეხბურთი: გადაწყდა, რომ საქართველოს ნაკრები 2008 წლის 20 აგვისტოს ამხანაგურ მატჩს გამართავს უელსის ნაკრებთან.

დეკემბერი

1-2. ფიგურული ციგურაობა: ტოკიოში მსოფლიო თასზე ცუდად იასპარეზა **ელენე გედევანიშვილმა** და ფინალური ტურნირის საგზური ვერ მოიპოვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მილანი

შევჩენკოც იანვარში?

რონალდინიო ახლოვდება. ბრონცეტი ბარსელონაშიც ჩავა

"მილანი" გადაირია. მას შემდეგ, რაც "როსონერიმ" ღიად განაცხადა, რომ **რონალდინიოს** ყიდვას აპირებს და უკვე 1 იანვრისთვის, შეიძლება, "მილანელოშიც" უკრას თავი, ახლა საუბარია **ანდრეი შევჩენკოზეც**. ორიენტირები სრულიად ლოგიკურია. სეზონის გასულმა ნაწილმა აჩვენა, რომ **კარლო ანჩელოტის** ყველაზე მეტად თავდასხმაში უჭირს. ადვილი წარმოსადგენია, რა ძალას შეიძენს "მილანის" წინა ხაზი **რონალდინიო-შევჩენკოს** ტანდემით. მართალია, ვერც ერთი მათგანი ანჩელოტის ჩემპიონთა ლიგაში ვერ დაეხმარება, რაკი ორივეს "ბარსელონისა" და "ჩელსის" შემადგენლობაში ევროტურნირზე უკვე ნათამაშები აქვთ, მაგრამ წინ არის სერია A-ს მეორე ნახევარი და ბოლობოლო, მომავალი სეზონი, რომელსაც **სილვიო ბერლუსკონი** და **ადრიანო გალიანი** აქედანვე უმზადებენ ნიადაგს.

გუშინ ინგლისურმა ტაბლოიდმა "სანმა" გვაუწყა, რომ სუპერ-აგენტი **ერნესტო ბრონცეტი**, რომლის მომსახურებითაც არაერთი მოწინავე კლუბი თუ ფეხბურთელი სარგებლობს, ამ დღეებში ლონდონში ჩავა და "ჩელსის" ბოსებს შევჩენკოს საიანვრო ტრანსფერზე დაელაპარაკება. ბევრს ეგონა, რომ **აბრაამ გრანტის** მოსვლით, უკრაინელი ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრდებოდა, მაგრამ... შევჩენკოს ლონდონური პოზიციები მაინც არამყარია. წლინახევრის წინ, "ჩელსიმ" ის 31 მილიონ გირვანქად იყიდა. რაც შეეხება თანხას, რაც შევას უკან დასაბრუნებლადაა გათვალისწინებული, სადღაც 14 მილიონ გირვანქას უტოლდება. მაგრამ ამით "ჩელსი" დიდ წაგებაში რჩება. ეს არის ერთადერთი მიზეზი, რამაც ამ ზაფხულს თითქმის გაჩარხული ტრანსფერი ჩაშალა. ეს პრობლემა დღის წესრიგიდან ჯერ არ მოხსნილა. შესაბამისად, "ჩელსი" კიდევ ერთხელ დაბლოკავს ტრანსფერს, თუ რაიმე სარგებელი ვერ ნახა. ბუნებრივია, აქ სრულ სარგებელზე არ იქნება საუბარი, უბრალოდ, "არისტოკრატებმა" ან მეტი უნდა მოითხოვონ, ან თანხასთან ერთად ოპერაციაში რომელიმე მილანელიც ჩართონ.

მოკლედ, ფაქტია, რომ შევჩენკომ "სტემფორდ ბრიჯზე" ვერ გაამართლა. "მილანში" ის 1999-დან 2006 წლამდე თამაშობდა. ამ ხნის განმავლობაში მან 208 მატჩი ჩაატარა და 127 გოლი გაიტანა. შევასა და "როსონერის" შორის ურთიერთობა დღემდე არ გაციებულა. ამას ხელს უწყობს ის ფაქტიც, რომ ბერლუსკონი ანდრეისა და **კირსტენ პაზიკის** ვაჟის, **ჯორდანის** ნათლია გახლავთ. შევჩენკოს წასვლის ერთ-ერთი წინაპირობაა აბრაამ გრანტის ამასწინანდელი თხოვნა **რომან აბრამოვიჩისადმი**, "ბოლტონის" ფორვარდ **ნიკოლა ანელკას** შეძენის თაობაზე. ექსპერტების აზრით, ამით გრანტმა მიანიშნა ბოსს, რომ უკრაინელს არ ენდობა.

ანდრეი შევჩენკო შეიძლება მილანში დაბრუნდეს

ბრონცეტიმ იცის, რომ რონალდინიო მილანს აირჩევს

ერნესტო ბრონცეტი აგრძელებს მუშაობას **რონალდინიოს** ფრონტზეც. "სქაი სპორტ იტალიასთან" ინტერვიუში აგენტი აცხადებს, რომ "მილანი" სანუკვარ ტრანსფერთან ისე ახლოსაა, როგორც არასდროს. რონალდინიო **სილვიო ბერლუსკონის** დიდი ხნის ოცნებაა. ბოლო ხანებში ტრანსფერისთვის ნოყიერი ნიადაგი შეიქმნა. გაუჩოს პერმანენტული კონფლიქტი აქვს "ბარსასა" მწვრთნელ **ფრანკ რიიკაარდთან**. სიტუაცია უკვე იმდენად რთულია, რომ თუკი ორი-სამი თვის წინ კატალონიელებისთვის ფლეიმეიქერის შესაძლო წასვლა ხუმრობად აღიქმებოდა, დღეს ამას სრულიად დასაშვებად მიიჩნევენ და მოლაპარაკებებისთვის მზადყოფნას აცხადებენ. "მილანს" კონკურენტიც ჰყავს "ჩელსის" სახით, თუმცა ბრონცეტი, რომელიც ამ საქმეში ღრმადაა ჩახედული, აცხადებს, რომ იტალიური გრანდის შანსები გაცილებით მაღალია:

"ბერლუსკონიმ აბსოლუტურად გარკვევით თქვა, რომ რონალდინიოს ყიდვა უნდა. დღევანდელი სიტუაციით, "მილანის" პოზიციები საკმაოდ მყარია. რონალდინიო და "მილანი" იმ წყვილს ჰგავს, რომელიც ქორწინებას ელოდება და ყველამ იცის, რომ ეს ქორწინება მალე მოხდება. მე ისიც ვიცი, რომ რონალდინიო "მილანს" აირჩევს, ვიდრე ინგლისს, რადგან ხედავს ბერლუსკონის მონდომებასა და იმ სიყვარულს, რითიც მას იტალიაში ელიან".

ინტერვიუს მიწურულს ბრონცეტმა **რონალდოს** ირგვლივ არსებულ გაუგებრობასაც მოჰფინა ნათელი. როგორც იცით, ბოლოხანს მას "მილანიდან" ნასვლას და "ფლამენგოში" ჩარიცხვას უწინასწარმეტყველებდნენ: *"გალიანიმ მართალი თქვა და მეც შემიძლია დავადასტურო, რომ "ფლამენგოსა" და "მილანს" შორის არანაირი მოლაპარაკება არ ყოფილა".*

ტრაგედიანრონალდინელი

მორიგი სიკვდილი მინდორზე

მოზერველის კაპიტანი ფილ ოდონელი შაბათის მატჩისას გარდაიცვალა

შაბათს, შოტლანდიის ჩემპიონატში, "მოზერველისა" და "დანდი იუნაიტედის" კალენდარული მატჩისას ტრაგედია დატრიალდა. 78-ე წუთზე, როცა "მოზერველის" კაპიტან **ფილ ოდონელს** ცვლიდნენ, ის მინდორზე უგონოდ დაეცა. ორივე გუნდის ექიმები საშველად გავარდნენ. თამაში დაახლოებით ხუთი წუთი შეწყდა. ოდონელი საკაცეზე დაწვინეს და საავადმყოფოში გადაიყვანეს. 35 წლის ნახევარმცველს გული გაუჩერდა. მისი გადარჩენა ვერ მოახერხეს. მატჩი არ შეწყვეტილა. "მოზერველმა" 5:3 გაიმარჯვა. ფეხბურთელებმა და ტრიბუნაზე შეკრებილმა გულშემატკივრებმა, როგორც ჩანს, არაფერი იცოდნენ. "მოზერველის" მფლობელმა ჯონ ბოილმა ფეხბურთელის გარდაცვალებას ენით გამოუთქმელი ტრაგედია უწოდა: *"ფილის დაღუპვამ სულის სიღრმემდე შეგვძრა. გონს ვერ მოვსულვართ. დარწმუნებული ვარ, ჩვენთან ერთად გლოვობს მთელი შოტლანდიური ფეხბურთი. თანაგრძნობას ვუცხადებთ ფილის მეუღლეს, ეილინსა და მის ოთხ შვილს."* "მოზერველის" თავკაც **მარკ მაკგის** საუბარი უჭირდა, განადგურებულები ვართო, ამბობდა ის. ოდონელმა პროფესიული კარიერა 1991 წელს, "მოზერველში" დაიწყო. 1993 წელს, ის პირველად და უკანასკნელად მიიწვიეს შოტლანდიის ნაკრებში. იმავე წელს ფილი სელტიკში გადავიდა. გლაზგოელებმა მის სანაცვლოდ იმხანად კლუბისათვის სარეკორდო თანხა, 1.75 მილიონი გირვანქა გადაიხადეს. 1999 წელს ოდონელმა "შეფილდ უენსდეის" მიაშურა. მაგრამ ქრონიკული ტრავმების გამო თავის გამოჩენა ვერ მოახერხა. 2004 წელს ის მშობლიურ კლუბში დაბრუნდა.

იუვენტუსი

ჰუნტელაარი გადაწყვეტილია

ქალბატონს ახალგაზრდები მოსწონს. ვინ არიან ფენინი და ბანეგა?

როგორც ჩანს, "იუვენტუსი" თავდასხმის გადახალისებას აპირებს. "ბებერი ქალბატონის" ბოსები ადასტურებენ ინტერესს "პალერმოს" ბრაზილიელი ფორვარდის **კარვალიო ამაურის** მიმართ. სიცილიელთა პრეზიდენტი **მაურიციო ძამპარინი** მზადაა, ტურინელთა წინადადება ახლავე განიხილოს. ამავე დროს, "იუვენტუსი" ჰოლანდიელი **კლაას-იან ჰუნტელაარის** მიმართულებითაც მუშაობს. ეს ორი ტრანსფერი "სინიორას" 35 მილიონი ევრო დაუჯდება, არადა, კლუბს მხოლოდ 25 მილიონი აქვს გამოყოფილი. საიდან უნდა იშოვნოს პრეზიდენტმა **ჯოვანი კობოლი ჯილიმ** კიდევ 10 მილიონი ევრო? არ დაგვავიწყდეს, რომ ტურინელთა სამიზნეშია ჰამბურგელი **რაფაელ ვან დერ ვაარტიც**, რომელიც **პაველ ნედვედის** შემცვლელად მოიაზრება.

აგენტ **ვინჩენცო მორაბიტოს** თქმით, "იუვენტუსისთვის" მთავარი არჩევანი ამაურია. ის ამტკიცებს, რომ **კლაუდიო რანიერი** პრიორიტეტს **ტრეზეგე-ამაურის** ტანდემს ანიჭებს. თუმცა მას ჰუნტელაარისკენაც მიუწევს გული. ამ მხრივ, საინტერესოა "გაძეტა დელო სპორტის" ინფორმაცია, რომელიც შაბათ საღამოს გავრცელდა: "იუვენტუსი" მოურიგდა აიაქსელი ბომბდამშენის აგენტ არნოლდ ოსტერვენს, რომ სეზონის დასრულებისთანავე, ჰუნტელაარი ტურინში 15-18 მილიონ ევროდ გადავა. ამ ინფორმაციასთან ერთად ქვეყნდება თავად ჰოლანდიელი ფორვარდის კომენტარიც, რომელიც "სქაი სპორტ იტალიისთვის" გაკეთდა: *"სეზონის ბოლოს "აიაქსს" დავტოვებ. ამისთვის, მორალურადაც მზად ვარ. შინაგანად ვხვდები, რომ რაღაც სიახლე მინდა, რაღაც უფრო დამაინტრიგებელი თავგადასავალი".*

აქვე შეგახსენებთ, რომ ჰუნტელაარზე პრეტენზიას "მანჩესტერ იუნაიტედი", "არსენალი" და "რეალიც" აცხადებენ. ვიდრე ურთიერთობა უშუალოდ "იუვენტუსსა" და "აიაქსს" შორის არ გაირკვევა, მანამდე ტურინელებს დიდი ბრძოლის გადატანა მოუწევთ. ხსენებულ კლუბებს, მეტადრე "მანჩესტერსა" და "რეალს", არაფრად უღირთ ჰუნტელაარისთვის საჭირო თანხა სულ ცოტა 5-7 მილიონი ევროთი გაზარდონ.

"გაძეტა დელო სპორტის" ინფორმაციით, "ქალბატონი" სხვა რგოლების გადახალისებასაც აპირებს. დაცვაში **ანდრეა ბარძალი** ("პალერმო") და **კრისტიან საპატა** ("უდინეზე") შეიძლება გამოჩნდნენ, ნახევარდაცვაში პარმელი **ლუკა ჩიგარინი** და ლივერპულელი **მოჰამედ სისოკო**. იანვარში გაყიდვას უპირებენ **ჟან-ალენ ბუმსონგს** ("ბეშიქთაში"), **დომენიკო კრიშიტოსა** და **რუბენ ოლივერას** (ორივე "ჯენოა").

პარალელურად "იუვენტუსი" ახალგაზრდებსაც ეძებს და იზიდავს კიდეც. უკვე გადაწყვეტილია, რომ კლუბში ჩაირიცხება ჩეხური "ტეპლიცეს" 20 წლის ფორვარდი **მარტინ ფენინი**, რომელიც ნედვედის მშობლიურ ქალაქ ხებიდანაა. "ქალბატონი" ამ ტრანსფერში 4 მილიონ ევროს გადაიხდის. თუმცა ისიც გადაწყვეტილია, რომ იმედისმომცემი ფეხბურთელი უმალ "ემპოლიში" განათხოვრდება.

ჯერ არ გადაწყვეტილა, მაგრამ ახლოსაა არგენტინელი ნახევარმცველის **ევერ ბანეგას** ტრანსფერი. 19 წლის ტალანტი, რომელსაც "ახალ გატუზოს" უწოდებენ, ჯერჯერობით "ბოკა ხუნიორსის" საკუთრებაა. ტურინელები მასზე დიდ იმედებს ამყარებენ. "ტუტოსპორტის" მტკიცებით, "იუვენტუსის" სპორტულმა დირექტორმა **ალესიო სეკომ** არგენტინულ მხარეს 10 მილიონი გირვანქა შესთავაზა. "ტუტოსპორტში" ესეც ეწერა:

"იანვარში ბანეგა დატოვებს "ბოკას", რადგან "იუვენტუსმა" ბრწყინვალე წინადადება შესთავაზა. ტურინელთა წისქვილზე ისიც ასხამს წყალს, რომ ბაირესელთა ახალი მწვრთნელი კარლოს ისკია არ აპირებს, ახალგაზრდა ფეხბურთელის წინსვლას ხელი შეუშალოს და "იუვენტუსში" ტრანსფერი დაუბლოკოს".

ცნობისთვის, ბანეგათი ესპანური და ინგლისური კლუბებიც არიან დაინტერესებულნი, თუმცა **რომელ კლუბებზეა საუბარი, ინფორმაციაში არაფერი წერია.**

კლაას-იან ჰუნტელაარი მზადაა, აიაქსი დატოვოს

ბარსელონა

ვალდესს ზურგი მოუშიშვლდა

კატალონიელებმა სასწრაფოდ უნდა გადაიბირონ ტრავმირებული ჟორკერას შემცვლელი

ბასკეთისა და კატალონიის ნაკრებების ამხანაგურ შეხვედრაში **ალბერტ ჟორკერამ** უმძიმესი ტრავმა მიიღო. "ბარსელონის" სათადარიგო მეკარეს მუხლის ჯვარედინი მყესები გაუწყდა. ექიმებმა დაადგინეს, რომ ტრავმის მოშუშებას სულ მცირე ოთხი თვე დასჭირდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ **ვიქტორ ვალდესს** ღირსეული დუბლიორი კიდევ დიდხანს არ ეყოლება. დაგვეთანხმებით, უდიდესი ამბიციების მქონე გუნდისთვის ეს სერიოზულ საფრთხეს შეიცავს. ამიტომ, **ჩიკი ბეგირისტაინმა** იანვრის სატრანსფერო ბაზრის გახსნისთანავე რომელიმე ძლიერი მეკარის გადაბირება გადაწყვიტა. აი, რა განაცხადა მან: *"ძალიან ცუდი ამბავი მოხდა. მართალია, ჟორკერას სათადარიგოთა სკამზე უწევდა ჯდომა, მაგრამ ის ჩვენი გუნდის უმნიშვნელოვანესი ფიგურაა. ახლა ვალდესი მარტოდ დარჩა. ვალდებულები ვართ, მას ზურგი გავუმაგროთ. წინასწარ გვარს ვერ დაგისახელებთ, თუმცა შემიძლია მოგახსენოთ, რომ მოლაპარაკებას ერთ-ერთ იტალიურ კლუბთან ვაწარმოებთ."*

ინგლისი. პრემიერლიგა. XX ტური

არსენალი ახალ წელს პირველი შეხვდება

კერბიშლი და ვესტ ჰემი ფერგის თავისტკივილად იქცნენ...

ევერტონი-არსენალი. არეულობა, რომელიც არტეტას უხეშობას მოჰყვა, მან ფაბრეგასს სახეში იდაყვი ჩასცხო

"მანჩესტერ იუნაიტედი" ახალ წელს ნირწამხდარი შეხვდება. "ეშმაკებმა" "ვესტ ჰემთან" ვერაფერი გააწყვეს. **კრისტიანო რონალდომ** სტუმრები მე-14 წუთზე დააწინაურა. 68-ე წუთზე პორტუგალიელმა პენალტი ვერ შეაგდო. თამაშის მიწურულს, ხუთწუთიან მონაკვეთში, "ჩაქუჩებმა" ორი გოლი გაიტანეს. თავი გამოიჩინეს მცველებმა, **ანტონ ფერდინანდმა** და **მეტიუ აპსონმა**. ანტონ ფერდინანდი მანჩესტერელი **რიო ფერდინანდის** უმცროსი ძმაა. მოგეხსენებათ, რიოს პროფესიული კარიერაც "აპტონ პარკზე" დაიწყო. აპსონი "არსენალის" ყოფილი ფეხბურთელია. შაბათის გოლით მან "მეთოფეების" წისქვილზე დაასხა წყალი.

ალან კერბიშლიმ "ვესტ ჰემი" ზუსტად ერთი წლისა და ორი კვირის წინ ჩაიბარა. სადებიუტო მატჩში, 2006 წლის 17 დეკემბერს, მისი მეტოქე "მანჩესტერ იუნაიტედი". ის თამაშიც "აპტონ პარკზე" გაიმართა. ლონდონელებმა მაშინაც გაიმარჯვეს. ერთადერთი გოლი **ნაიჯელ რეო კოკერმა** შეაგდო (ის ამჟამად "ასტონ ვილაში" ასპარეზობს). გასულ სეზონში "ვესტ ჰემი" გავარდნის კანდიდატი გახლდათ. გუნდის გადარჩენაში განსაკუთრებული როლი ითამაშა **კარლოს ტევესმა**. ამჟამად არგენტინელი თავდამსხმელი "მანჩესტერში" თამაშობს. ძველი დამსახურებების გამო ლონდონელი გულშემატკივარი მას დიდი ამბით შეხვდა. შედარებით მოკრძალებული ტაში დაიმსახურა რიო ფერდინანდმა. კრისტიანო რონალდოს კი პირველივე წუთიდან აგრესია დაატყდა თავს. ეტყობა, გული უგრძნობდათ, რომ სწორედ ეს ბიჭი გახსნიდა ანგარიშს. რონალდომ სეზონის მე-18 გოლი გაიტანა.

რამდენიმე წუთით ადრე ლონდონელებმა საუცხოო შანსი ვერ გამოიყენეს. **ჰეიდენ მულინსის** იერიშისას ბურთი ძელმა აისხლიტა. ის **მარკ ნობლს** ცარიელი კარიდან ათ იარდში მიუვიდა. ნობლმა არაზუსტად დაარტყა. "ვესტ ჰემს" მისი უსუსურობა ძვირად დაუჯდა. მე-14 წუთზე **ლუის საამ** ფლანგზე **რაიან გიგზი** მოძეძნა. გიგზმა საჯარიმოში ჩაანწოდა. რონალდომ **ჯორჯ მაკარტნის** დაასწრო და თავით გაიტანა.

"ვესტ ჰემმა" სტუმარს **ნოლბერტო სოლანოს** იერიშით უპასუხა. **რიო ფერდინანდმა** პერუელი ნახევარმცველი საჯარიმოს ხაზთან შეაჩერა. ლონდონელები ჯარიმას ითხოვდნენ. არბიტრმა **მაიკ დინმა** თამაშის გაგრძელების ნიშანი მისცა. 36-ე წუთზე სოლანომ დაახლოებით 30 მეტრიდან დასცხო. **ტომაშ კუშჩაკმა** ბურთი აკრობატულ ნახტომში მოიგერია. ტაიმის ბოლო სახიფათო მომენტიც მასპინძლებმა შექმნეს. **კარლტონ კოულმა** თავით არაზუსტად დაარტყა. კოული "ვესტ ჰემის" ერთადერთი თავდამსხმელი იყო. კერბიშლიმ მეორე ფორვარდს ნაცვლად ნახევარმცველი ნობლი გამოიყვანა. ის მრისხანე მეტოქეს ფრთხილი ტაქტიკით ეთამაშებოდა.

მეორე ტაიმის მეხუთე წუთზე მასპინძლებს სოლანო დაუშავდათ. კიდევ ხუთ წუთში კერბიშლიმ მეორე იძულებითი ცვლილება განახორციელა. მან **სკოტ პარკერის** ნაცვლად ანტონ ფერდინანდი გამოიყვანა. ფერდინანდ-უმცროსმა ოქტომბრის შემდეგ პირველად ითამაშა. ის მუხლის ტრავმას იშუშებდა. შესვენების შემდეგ "ვესტ ჰემმა" უხეშობას უმატა. **ჯონ პანტსილმა** ჯერ **პატრის ევრა** მოცელა (გააფრთხილეს), შემდეგ **ნემანია ვიდიჩი**. მულინსმა კრისტიანო რონალდოს ნაქცევისათვის დაიმსახურა გაფრთხილება. 68-ე წუთზე ლონდონელთა კარში პენალტი დაინიშნა. არბიტრმა დინმა **ჯონათან სპექტორი** საჯარიმოში ხელით თამაშისათვის დასაჯა. კრისტიანოს 11-მეტრიანი ასე ცუდად არასოდეს დაურტყამს.

ამ ეპიზოდმა "ვესტ ჰემს" ფრთები შეასხა. კერბიშლიმ თავდასხმა გააძლიერა. მან **ფრედრიკ ლიუნგბერგის** ნაცვლად **დინ ეშტონი** გამოიყვანა. ლონდონელები გააქტიურდნენ. 77-ე წუთზე ანგარიში გათანაბრდა. ფერდინანდი ნობლის კუთხურს გამოეხმაურა და თავით შეაგდო. ხუთ წუთში ნობლმა მორიგი კუთხური მოაწოდა. "მანჩესტერის" მცველებს ამჯერად აპსონმა დაასწრო და გულშემატკივრებს ენით აუწერელი სიხარული მოუტანა...

"არსენალმა" "ევერტონს" გადაუარა. "მეთოფეებმა" ოთხივე გოლი მეორე ტაიმში გაიტანეს. ლონდონელებმა მეტოქე ყველა კომპონენტში დაჩაგრეს, თვით ფიზიკურ მომზადებაშიც კი, რაც ლივერპულელთა კოზირად მიიჩნევა. ანგარიში **ტიმ კაჰილმა** გახსნა. "ევერტონის" დაწინაურება ლოგიკური იყო. შესვენების შემდეგ მინდორზე სულ სხვა "არსენალი" გამოვიდა. **ედუარდომ** დუბლი შეასრულა. მას 10 მატჩში 9 გოლი დაუგროვდა, მაგრამ შაბათამდე პრემიერლიგაში ერთხელაც არ ჰქონდა გატანილი. მასპინძლებს **მიკელ არტეტა** გაუძღვეს. მან თანამემამულე **ფრანსესკ ფაბრეგასს** სახეში იდაყვი უთავაზა. გასახდელის გზას გაუყენეს სტუმართა ახალგაზრდა თავდამსმელი **ნიკლას ბენდტნერიც**. ედუარდოს გარდა, გოლები გაიტანეს შეცვლაზე შესულმა **ემანუელ ადებაიორმა** და **ტომაშ როსიცკიმ**. "ევერტონს" შინ უკანასკნელად ოქტომბრის შუა რიცხვებში ჰქონდა წაგებული - ისიც დიდი ოთხეულის წევრ "ლივერპულთან".

წინა ტურში "ევერტონმა" "ბოლტონს" მოუგო. **დევიდ მოიესმა** გამარჯვებულ შემადგენლობაში ერთი ფეხბურთელი შეცვალა. მუხლის ტრავმის გამო ვერ ითამაშა ტომას გრავესენმა. დაცვის მარჯვენა ფლანგზე **ტონი ჰიბერტი** ვიხილეთ, ნახევარდაცვის ცენტრში, გრავესენის ადგილზე **ფილ ნევილმა** აინაცვლა. "არსენალს" "გუდისონ პარკზე" ბოლო შვიდი მატჩიდან ოთხი წაგებული ჰქონდა. არასახარბიელო სტატისტიკის მიუხედავად, **არსენ ვენგერმა** შესუსტებული შემადგენლობაში დააყენა. მან სკამზე გაამწესა ემანუელ ადებაიორი და ტომაშ როსიცკი. **ემანუელ ებუე** ლივერპულში საერთოდ არ წაიყვანა. ძირითადში ითამაშეს **აბუ დიაბიმ** და ედუარდომ, აგრეთვე ბენდტნერმა, რომელიც პრემიერლიგაში, "არსენალის" სასტარტო შემადგენლობაში პირველ მატჩს ატარებდა.

მატჩის დაწყებისას "მეთოფეებმა" უკვე იცოდნენ, რომ "მანჩესტერმა" წააგო. მაგრამ გავიდა 19 წუთი და "არსენალმაც" გოლი გაუშვა. **იაკუბუ აიეგბენიმ კოლო ტურე** აიძულა, ბურთი კუთხურზე გადაეგდო. მიკელ არტეტამ საჯარიმოში ჩაანწოდა, იქ კი უცნაური რამ მოხდა: იაკუბუმ და კაჰილმა გოლი საერთო ძალისხმევით გაიტანეს. ნიგერიელმა ბურთს თავი შეუშვირა, ავსტრალიელმა - ფეხი. გოლის ავტორის დადგენას ვიდეოგამეორება დასჭირდა. საბოლოოდ, გაირკვა, რომ კაჰილის ბუცის ქაცვი ბურთს იაკუბუს თმის ღერზე ადრე შეეხო (ინგლისელი მიმომხილველები სწორედ ასეთ განმარტებას იძლევიან). შესაბამისად, გოლი ტიმის აქტივში ჩაიწერა. შესვენებამდე საინტერესო აღარაფერი მომხდარა. 47-ე წუთიდან "არსენალი" მეტოქის რბევას შეუდგა. ყველაფერი **გაელ კლიშის** გრძელი პასით დაიწყო. მან "ევერტონის" საჯარიმოსთან ედუარდო შენიშნა და 60 იარდზე გადაუგდო ბურთი. ხორვატმა თავდამსხმელმა ის თითქოს ხელით გააჩერა. სინამდვილეში, ედუარდომ ბურთი მხარზე მიიღო, გაისწორა და **ტიმ ჰოვარდს** შანსი არ დაუტოვა. 58-ე წუთზე ედუარდომ ისევ გაიტანა: მას ამჯერადაც გრძელი პასი მიიღო და ერთი შეხედვით, ისევ ხელით ითამაშა. **ფილ ჟაგიელკამ** მეტოქის ფორვარდს ხელი ვერ შეუშალა. "არსენალი" დაწინაურდა.

74-ე წუთზე სტუმრები ათი კაცის ამარა დარჩნენ. ბენდტნერმა მეტოქესკინაღამ კოჭი მოატეხა. მას მეორე ყვითელი ბარათი აუფრიალეს, თუმცა უხეშობა იმდენად აშკარა იყო, პირველი გაფრთხილებაც რომ არა, ნიკლასს მაინც გააგდებდნენ. ხუთ წუთში ადებაიორმა მესამე გოლი გაიტანა: **მანუელ ალმუნიამ** საკუთარი საჯარიმოდან ბურთი შორს გადააგდო. **ჯოზეფ იობომ** ის ჰოვარდისაკენ გაატარა. "ევერტონის" გოლკიპერი კარიდან რატომღაც არ გამოსულა. ადებაიორმა ბურთი მოიპარა და მეტოქე დაამწუხრა. 84-ე წუთზე არტეტაც გასახდელში მიაბრძანეს. მერე ფაბრეგასი როსიცკიმ შეცვალა. თამაშს სწორედ ჩეხმა ნახევარმცველმა დაუსვა წერტილი.

"ჩელსიმ" "ნიუკასლს" დიდი გაჭირვებით მოუგო. ლონდონელმა გულშემატკივარმა **ავრამ გრანტს** სტვენა აუტეხა. ასეთი რამ არასოდეს მომხდარა. ფანებს მათი საყვარელი გუნდის თამაში არ მოსწონთ. დამნაშავედ კი მწვრთნელი მიაჩნიათ. მეორე ტაიმში განხოციელებულ ცვლილებებს სტადიონი ასეთი შეძახილებით ხვდებოდა - აზრზე არა ხარ, რას აკეთებო! ანგარიში მიკაელ ესიენმა გახსნა. **ნიკი ბატმა** მეორე ტაიმის დასაწყისში გათანაბრა. "ნიუკასლს" ეგონა, რომ ერთი ქულა ჩიბეში ჰქონდა. საფინალო სასტვენამდე სამი წუთით **სალომონ კალუმ** გადამწყვეტი გოლი შეაგდო. გოლი საკამათო გახლდათ: კალუს ბურთი კლაუდიო პისაროსაგან მიუგორდა. ისე ჩანდა, თითქოს კოტდივუარელი თავდამსხმელი თამაშგარეში იდგა. ჯორდები დიდხანს აპროტესტებდნენ, მაგრამ არბიტრი **მაიკ რაილი** შეუვალი აღმოჩნდა.

"უაით ჰართ ლეინზე" "ტოტენჰემი" და "რედინგი" კარგად გაერთნენ. გოლები ორივე კარში პენტაპუნტი გადიოდა. საბოლოოდ, "მამლებმა" გაიმარჯვეს, 6:4. "ლივერპულმა" "მანჩესტერ სიტისთან" ქულები გაიღო, ხოლო "პორტსმუთი" მოულოდნელად "მიდლსბროსთან" დამარცხდა.

მოგზაური ტური

1 იანვარი. **არსენალი-ვესტ ჰემი, ასტონ ვილა-ტოტენჰემი, ბლეკბერნი-სანდერლენდი, ბოლტონი-დერბი, ფულჰემი-ჩელსი, ლივერპული-ვიგანი, მანჩესტერ იუნ-ბირმინგემი, მიდლსბრო-ევერტონი, ნიუკასლი-მანჩესტერ სიტი, რედინგი-პორტსმუთი.**

ბირმინგემი-ფულჰემი 1:1

ბირმინგემი: მაიკ ტეილორი, ჯაიდი, კული, კუოდრო, რიჯველი, დემინ ჯონსონი (46. ნაფტი), სებასტიან ლარსონი (73. დე რიდერი), მაკშეფრი, მუამბა, ფორსელი (77. ოკონორი), ჯერომი.

ფულჰემი: ნიემი, ბოკანეგრა, კინნესკი, ობოზუსი, სტეფანოვიჩი, საიმონ დევისი, სტივ დევისი, ლემპსი, დენი მერფი (70. სმერტინი), ბუაზა, ჰილი (74. კუკი).

გოლები: 0:1 ბოკანეგრა (8), 1:1 ლარსონი (55).

გაძევება: ბუაზა (79. ფულჰემი)

გაფრთხილება: 0-3; **დარტყმა**: 18(6)-11(7); **ჯარიმა**: 13-14; **კუთხური**: 8-6; **ბურთის ფლობა**: 50%-50%.

მაყურებელი: 28 923

ჩელსი-ნიუკასლი 2:1

ჩელსი: ილარიო, ალექსი, ბელეტბი, ბენ-ჰაიმი, ბრიჯი, ბალაკი (76. სინკლერი), ჯო კოული (65. პისარო), ესიენი, ობი მიკელი, რაიტ-ფილიპსი (90. სიდველი), კალუ.

ნიუკასლი: გივენი, ბეიე, კასაპა, სტივ ტეილორი, ბატი, დაფი (89. ვიდუკა), ფაიე, მილნერი, ნზოგბია, მარტინსი (74. ოუენი), სმიტი (70. როზენალი).

გოლები: 1:0 ესიენი (29), 1:1 ბატი (56), 2:1 კალუ (87).

გაფრთხილება: 1-2; **დარტყმა**: 16(10)-3(2); **ჯარიმა**: 9-11; **კუთხური**: 12-3; **ბურთის ფლობა**: 64%-36%.

მაყურებელი: 41 751

ევერტონი-არსენალი 1:4

ევერტონი: ჰოვარდი, ჰიბერტი (71. ე.ჯონსონი), ლესკოტი, ფილ ნევილი, იობო, არტეტა, კაჰილი, კარსლი, ფაგიელკა, პიენაარი, იაკუბუ.

არსენალი: ალმუნია, კლიში, გალასი, სანია, კოლო ტურე, დიაბი, ფაბრეგასი (88. როსიცკი), ფლამინი, გლები (82. ლასანა დიარა), ბენდტნერი, ედუარდო (74. ადებაიორი).

გოლები: 1:0 კაჰილი (19), 1:1 ედუარდო (47), 1:2 ედუარდო (58), 1:3 ადებაიორი (78), 1:4 როსიცკი (90).

გაძევება: ბენდტნერი (74. არსენალი), არტეტა (84. ევერტონი).

გაფრთხილება: 0-5; **დარტყმა**: 10(3)-10(7); **ჯარიმა**: 14-13; **კუთხური**: 10-13; **ბურთის ფლობა**: 60%-40%.

მაყურებელი: 39 443

პორტსმუთი-მიდლსბრო 0:1

პორტსმუთი: ჯეიმსი, კემპბელი, დესტენი, ჰრეიდარსონი (46. მ.ტეილორი), ლორენი, დიოპი, ჰიუზი (72. მუნტარი), კრანჩარი, უტაკა (62. ნაჯენტი), კანუ, მვარუვარი.

მიდლსბრო: შვარცერი, ჰუთი, პოგატეცი, ვუდგეიტი, იანგი, არკა, დაუნინგი, ონილი (86. ადამ ჯონსონი), შოკი, ლი (75. ჰეთჩინსონი), თუნჯა.

გოლები: თუნჯა (20).

გაფრთხილება: 1-4; **დარტყმა**: 21(9)-14(7); **ჯარიმა**: 10-17; **კუთხური**: 4-4; **ბურთის ფლობა**: 54%-46%.

მაყურებელი: 20 089

სანდერლენდი-ბოლტონი 3:1

სანდერლენდი: გორდონი, კოლინსი, ჰიგინბოთემი, მაკშეინი, ეტუჰუ, მილერი, რიჩარდსონი (70. ოდონოვანი), უაითჰედი, ჩოპრა (46. ლიდბიტერი), ენდი კოული (57. დერილ მერფი), ჯოუნსი.

ბოლტონი: იაასკელაინენი, მეიტე, ჯო ობრაიენი, ენდრიუ ობრაიენი, სამუელი (57. გუტრი), გარდნერი, მაკენი, ნოლანი (87. კამპო), ანელკა, კევინ დევისი (73. იანკოპულოსი), დიუფი.

გოლები: 1:0 რიჩარდსონი (13), 2:0 ჯოუნსი (32), 2:1 დიუფი (41), 3:1 დერილ მერფი (90).

გაფრთხილება: 1-2; **დარტყმა**: 6(5)-5(3); **ჯარიმა**: 12-16; **კუთხური**: 2-6; **ბურთის ფლობა**: 41%-59%.

მაყურებელი: 42 058

ტოტენჰემი-რედინგი 6:4

ტოტენჰემი: რობინსონი, შიმბონდა, კაბული, კინგი (61. დეფო), ლი, ჰაღლსტონი, ჯენსაი, ლენონი (67. ბოატენგი), მალბრანკი, ბერბატოვი, რობი კინი (80. ტაინიო).

რედინგი: ჰანქმანი, ინგიმარსონი, მერტი (71. დელა კრუსი), შორი, სონკო, კალიფფ სისე, კონვეი (84. ლონგი), ჰარპერი, ჰანტი, დოილი, კიტსონი.

გოლები: 1:0 ბერბატოვი (7), 1:1 სისე (16), 1:2 ინგიმარსონი (53), 2:2 ბერბატოვი (63), 2:3 კიტსონი (69), 3:3 ბერბატოვი (73), 3:4 კიტსონი (74), 4:4 მალბრანკი (76), 5:4 დეფო (79), 6:4 ბერბატოვი (83).

78-ე წუთზე რობი კინმა ვერ გაიტანა პენალტი

გაფრთხილება: 0-3; **დარტყმა**: 14(12)-12(8); **ჯარიმა**: 9-12; **კუთხური**: 3-6; **ბურთის ფლობა**: 50%-50%.

მაყურებელი: 36 178

ვესტ ჰემი-მანჩესტერ იუნ 2:1

ვესტ ჰემი: გრინი, მაკარტნი, ნილი, სპექტორი, აპსონი, ლიუნგბერგი (70. ეშტონი), მულინსი, ნობლი, პარკერი (55. ა.ფერდინანდი), სოლანო (49. პანტსილი), კარლტონ კოული.

იუნაიტედი: კუშჩაკი, ვესლი ბრაუნი (89. ოში), ევრა, რიო ფერდინანდი, ვიდიჩი, ფლეტჩერი, გიგზი, ჰარგრივსი (80. ნანი), კრისტიანო რონალდო, საა, ტევესი (64. ანდერსონი).

გოლები: 0:1 რონალდო (14), 1:1 ანტონ ფერდინანდი (77), 2:1 აპსონი (82).

68-ე წუთზე კრისტიანო რონალდომ ვერ გაიტანა პენალტი.

გაფრთხილება: 2-0; **დარტყმა**: 12(5)-7(3); **ჯარიმა**: 10-13; **კუთხური**: 6-3; **ბურთის ფლობა**: 51%-49%.

მაყურებელი: 34 966

ვიგანი-ასტონ ვილა 1:2

ვიგანი: კერკლანდი, ბრემნერი, მელხიოტი, შარნერი, მაიკლ ბრაუნი, კილბეინი, ლანდზაატი (80. ოლემბე), სიბირსკი (63. აგაპოვა), ვალესნია, მარკუს ბენტი.

ასტონ ვილა: კარსონი, ბუმა, კერტის დევისი, ლაურსენი, მელბერგი, ბერი, მელონი (60. კრეიგ გარდნერი), რეო-კოკერი, აგბონლაორი, ქერიუ (11. მურრი), ეშლი იანგი (90. სტილიან პეტროვი).

გოლები: 1:0 ბრემნერი (28), 1:1 კერტის დევისი (55), 1:2 აგბონლაორი (70).

გაფრთხილება: 1-1; **დარტყმა**: 4(4)-6(4); **ჯარიმა**: 18-9; **კუთხური**: 7-5; **ბურთის ფლობა**: 47%-53%.

მაყურებელი: 18 806

დერბი-ბლეკბერნი 1:2

დერბი: პრაისი, ჯლოდ დევისი, მაიკლ ჯონსონი (59. ფეგანი), ლიკოკი (46. ფეილჰაბერი), მაკკვილი, მიერსი, ბარნესი, ლეიფსი, ოუჯლი, სტივ ჰოვარდი, მილერი (79. მაკენი).

ბლეკბერნი: ფრიდელი, ხიზანიშვილი, მოკონა, ნელსენი, უორნოკი, ბენტლი, ემერტონი, თუგაი (90. დანი), პედერსენი (84. ოლსონი), მაკარტი (88. დერბიშირი), სანტა კრუსი.

გოლები: 0:1 ოუკლი (27), 1:1 სანტა კრუსი (39), 2:1 ბენტლი (42).

38-ე წუთზე ჰოვარდმა ვერ გაიტანა პენალტი.

გაფრთხილება: 1-3; **დარტყმა**: 14(7)-24(12); **ჯარიმა**: 14-13; **კუთხური**: 9-7; **ბურთის ფლობა**: 38%-62%.

მაყურებელი: 36 074

მანჩესტერ სიტი-ლივერპული 0:0

სიტი: ჰარტი, ბოლი, კორლუკა, რიჩარდ დანი, ონუოა, რიჩარდსი, ელანო (70. ბიანკი), ჰამანი, ირლანდი (61. ჟელსონი), მარტინ პეტროვი, ვასელი (74. ჯოვანი).

ლივერპული: რეინა, არბელოა, აურელიო, კარაგერი, ფინნენი, ბენაიუნი, ჯერარდი, კიუელი (74. ბაბელი), მასკერანო, კუიტი, ტორესი.

გაფრთხილება: 0-1; **დარტყმა**: 4(3)-20(11); **ჯარიმა**: 4-7; **კუთხური**: 2-9; **ბურთის ფლობა**: 54%-46%.

მაყურებელი: 47 321

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. არსენალი	20	14	5	1	40-16	47
2. მანჩ. იუნ.	20	14	3	3	37-11	45
3. ჩელსი	20	12	5	3	31-15	41
4. ლივერპული	19	10	7	2	33-12	37
5. მანჩ. სიტი	20	10	6	4	27-22	36
6. ევერტონი	20	10	3	7	35-22	33
7. ასტონ ვილა	20	9	6	5	35-26	33
8. პორტსმუთი	20	8	7	5	29-20	31
9. ბლეკბერნი	20	8	6	6	27-28	30
10. ვესტ ჰემი	19	8	5	6	25-17	29
11. ნიუკასლი	20	7	5	8	27-31	26
12. ტოტენჰემი	20	6	6	8	41-36	24
13. რედინგი	20	6	4	10	29-42	22
14. მიდლსბრო	20	5	5	10	18-33	20
15. ბირმინგემი	20	5	4	11	22-31	19
16. ბოლტონი	20	4	5	11	22-32	17
17. სანდერლ.	20	4	5	11	20-39	17
18. ვიგანი	20	4	4	12	20-36	16
19. ფულჰემი	20	2	9	9	21-35	15
20. დერბი	20	1	4	15	10-45	7

ჩემპიონატი. XXV ტური

შეფილდი-ქრ.პალასი 0:1

გოლი: 0:1 სკოუკროფტი (38).

ბარნსლი-საუთჰემპტონი 2:2

გოლები: 1:0 ტოგველი (1), 2:0 კემბელ-რაისი (34), 2:1 ბრედლი რაიტ-ფილიპსი (61), 2:2 ბრედლი რაიტ-ფილიპსი (70).

ბარნლი-ბრისტოლი 0:1

გოლი: 0:1 ვასკო (67).

ჰოლჩესტერი-ბლეკპული 0:2

გოლები: 0:1 ვერნონი (26), 0:2 ვერნონი (36).

ლესტერი-ჩარლტონი 1:1

გოლები: 1:0 კლემენსი (78), 1:1 მაკარტი (90).

ნორვიჩი-ეფლეერეემპტონი 1:1

გოლები: 0:1 კეოგი (52), 1:1 კოუერტონი (75).

ალბუფეი-სტოკი 2:2

გოლები: 0:1 კრესველი (8), 1:1 ებანს-ბლეიკი (44), 1:2 ზოკროსი (57), 2:2 ტომარი (67).

გაძევება: ჰოულტი (82. სტოკი)

პრესტონი-ქარდიფი 1:2

გოლები: 1:0 ვეილი (5), 1:1 რ.ჯონსონი (53), 1:2 ლედლი (67).

უოტფორდი-ქუინზ პარკი 2:4

გოლები: 0:1 როულანდსი (12-პენ), 0:2 სტიუარტი (29), 0:3 როულანდსი (40), 1:3 ფრენსისი (52), 1:4 ბუზაკი (80), 2:4 მიტუ (84).

ვესტ ბრომვიჩი-სკანთორპი 5:0

გოლები: 1:0 ფილიპსი (35), 2:0 კორენი (45), 3:0 ფილიპსი (52), 4:0 გერა (77), 5:0 ბიტი (81).

59-ე წუთზე ფილიპსმა ვერ გაიტანა პენალტი

გაძევება: ვილიამსი (43. სკანთორპი)

ქოვენთრი-იფსვიჩი 2:1

გოლები: 1:0 გრეი (11), 1:1 ჰაინესი (41), 2:1 ადებოლა (64).

გაძევება: მილერი (86. იფსვიჩი)

პალი-შეფილდ უენს. 1:0

გოლი: 1:0 ვინდესი (33),

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ვესტ ბრომვიჩი	25	14	5	6	56-29	47
2. უოტფორდი	25	13	5	7	41-34	44
3. ბრისტოლი	25	12	8	5	32-30	44
4. სტოკი	25	11	9	5	41-32	42
5. ჩარლტონი	25	11	7	7	35-29	40
6. პლიმუთი	25	10	8	7	35-28	38
7. კრ.პალასი	25	9	10	6	30-26	37
8. პალი	25	10	7	8	31-28	37
9. იფსვიჩი	25	10	6	9	41-35	36
10. ვულვერჰემპტ.	25	9	9	7	24-23	36
11. ბარნლი	25	8	10	7	33-32	34
12. ქარდიფი	25	8	9	8	32-32	33
13. ბარნსლი	25	8	9	8	31-34	33
14. საუთჰემპტონი	25	9	6	10	35-41	33
15. ქოვენთრი	24	9	5	10	28-38	32
16. შეფილდ იუნ.	25	8	7	10	29-30	31
17. ბლეკპული	25	7	9	9	31-31	30
18. ლესტერი	25	5	12	8	24-24	27
19. ქუინზ პარკი	24	6	9	10	27-37	27
20. ნორვიჩი	25	7	6	12	23-33	27
21. სკანტორპი	25	6	8	11	26-38	26
22. შეფილდ უენს.	24	7	4	13	26-32	25
23. პრესტონი	25	6	6	13	24-31	24
24. ჩოლჩესტერი	25	4	10	11	36-44	22

I ლიგა

ბორნმუთი-სვინდონი 2:2, ბრისტოლი-კარლაისლი 3:0, დონკასტერი-საუთენდი 3:1, ჯილინგემი-ნოტინგემი 3:0, ჰარტლპული-ლეიტონი 1:1, ჰადერსფილდი-ნორსჰემპტონი 1:2, მილუოლი-ქრუ 2:0, ოლდჰემი-უოლსოლი 0:2, პორტ ვეილი-ლუტონი 1:2, სვონსი-ლიდსი 3:2, ტრანმერი-ჩელტენჰემი 1:0, იოვილი-ბრაიტონი 2:1.

II ლიგა

გრიმსბი-ლინკოლნი 1:0, ბარნეტი-ჩესტერფილდი 0:2, ბრედფორდი-პირფორდი 1:3, ბრენტფორდი-ჩესტერი 3:0, ბერი-დაგენჰემი 0:2, დარლინგტონი-მილტონ კეინსი 0:1, მაკლსფილდი-როჩდეილი 2:2, მანსფილდი-აქრინგტონი 1:2, მორკამბი-პიტერბორო 3:2, ნოთს ჰაუნთი-როტერჰემი 0:1, შრუსბერი-ვიკომბი 0:1, რექსჰემი-სტოკპორტი 0:1.

კონფერენსი

ალტრინჩემი-სტიუვენიჯი 1:5, კემბრიჯი-ბარტონი 0:0, ექსეტერი-პისტონი 2:1, ფარსლი-კროლი 1:5, ფორესტ გრინი-დეროილსდენი 3:2, გრეისოლდერშოტი 2:1, ოქსფორდი-კიდერმინსტერი 0:0, რაშდენი-ნორთვიჩი 1:0, სელისბერი-ჰალიფაქსი 1:0, სტეფორდი-ებსფლიტი 0:1, უოქინგი-ტორკი 0:1, იორკი-ვიმუთი 2:0.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ კარვალიო ამაურისთან

რატომ მხოლოდ კაკა და რონალდინიო? დელ პიერო და ტრეზეგე ნაკლებია?

დუნგა და დონადონი ჩუმად არიან, ამაური კი ევროპის ჩემპიონატზეც ოცნებობს

მასზე დიდი მოთხოვნაა. ის "პალერმოში" გამოჩნდა, როგორც ფორვარდი და გოლეადორი. ტიპური ცენტრალური თავდამსხმელია, მაგრამ ცოტა სისწრაფე აკლია და ამაზე ექსპერტებიც საყვედურობენ. შარშან მძიმე ტრავმა მიიღო და ნახევარი სეზონი გაუცდა. ეს რომ არა, ბომბარდირთა დავაში უდავოდ ერთ-ერთი მოწინავე იქნებოდა. "პალერმოს" წარმატებისთვის მისი ფაქტორი აუცილებელია. გრანდები ამჯერადაც გამოხატავენ ინტერესს ამაურის მიმართ ინტერესს. ცნობილი ამბავია, რომ მის გადაყვანას "იუვენტუსი" და "მილანი" ცდილობენ. ის უკვე შეეგუა იმ აზრს, რომ მომავალი წლის ივნისში "პალერმო" უნდა დატოვოს. ნაკრები? სად შეიძლება ჰქონდეს მას პერსპექტივა: მშობლიურ "სელესაოში" თუ "სკუადრა აძურაში"? დუნგა და დონადონი ჯერჯერობით არ ჩქარობენ...

გთავაზობთ პალერმოელი ფორვარდის ინტერვიუს, რომელიც "გაძეტა დელო სპორტმა" დაბეჭდა...

- ამაური, ბედნიერი ხართ იმით, რომ მომავალი წლის ივნისში ბარძალისთან ერთად "იუვენტუსში" ითამაშებთ?

- მართლა? უკვე მიაღწიეს შეთანხმებას? არ ვიცოდი...

- როგორც ჩანს, მადონა დი კომპილიოში, სადაც ახლა არდადეგებს ატარებთ, მწირი ინფორმაცია აღწევს...

- იცით, ამ მომენტში მხოლოდ კარგ დასვენებაზე ვფიქრობ. ახლა არაფერი მაინტერესებს, გარდა იმისა, რომ ძალები აღვიდგინო და ფეხბურთი ისევ მომენატროს. თანაც, ბრაზილიიდან მშობლები, მეუღლე და შვილები ჩამომივიდნენ. მადონა დი კომპილიოში ახლა გვარიანი თოვლია და მოგეხსენებათ, ბრაზილიელებისთვის ეს უცხოა. მოკლედ, კარგად ვერთობი და ტრანსფერებზე არ ვფიქრობ.

- ალბათ, უფრო "მილანში", რონალდინიოსა და კაკას გვერდით გსურს თამაში. თქვენს აგენტს მარიანო გრიმალდის უკვე აქვს კონტაქტები "როსონერისთან"...

- რატომ? განა დელ პიეროსა და ტრეზეგესთან ერთად ცუდი იქნება? რა თქმა უნდა, კაკა მაქსიმუმია. საოცარი კლასია, აბსოლუტური სრულყოფილება. მაგრამ როგორ შეიძლება, ალექსთან ერთად თამაშზე არ ოცნებობდე მოთამაშე? "იუვენტუსი" "იუვენტუსია", "მილანიც" მსოფლიო ფეხბურთის გრანდია, კაკა "ოქროს ბურთის" მფლობელია... ცხადია, ნებისმიერ ამ კომპანიაში თამაში ჩემთვის დიდი პატივია. პირველი რომელიც იქნება...

- მაგრამ ამ ეტაპზე სხვა ამოცანა გაქვთ. თქვენი მიზანია, მომავალ წელს "პალერმოს" ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრაში დაეხმაროთ...

- სხვა მიზანი არც შეიძლება მქონდეს. "პალერმო" არის კლუბი, რომელმაც ბევრი რამ გააკეთა იმისთვის, რომ დღეს აღიარებული ფეხბურთელი ვყოფილიყავი. კლუბიც დიდ პატივს მცემს და გულშემატკივარიც. ამიტომ, მე გარკვეული ვალდებულება მაქვს ამ ხალხის მიმართ. ძალიან მინდა, ეს სეზონი გუნდთან ერთად მაჟორულ ნოტზე დავასრულო. რაც შემიძლია, ყველაფერს გავაკეთებ. ვფიქრობ, ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრა ჩვენს შესაძლებლობებს არ აღემატება.

- ეს წელი თქვენთვის მაინც პოზიტიური იყო. როგორ ფიქრობთ, კარიერის რომელ ფაზაში ხართ ახლა?

- ვიტყოდი, რომ ეს ყველაზე ლამაზი პერიოდია. იყო გარკვეული იმედგაცრუება, მაგრამ ეს ეტაპი უკვე დაძლეულია. ვიცი, რომ უფრო მეტი შემიძლია. ეს იცის კლუბმაც, მწვრთნელმაც და ყველაფერი უნდა გავაკეთო, რომ ვიდრე "პალერმოში" ვარ, მისთვის ყველაფერი გავიღო.

- გვიდოლინის მოსვლით "პალერმომ" პრობლემები გადაჭრა?

- მოდით, გულახდილად ვთქვათ, რომ კოლანტუონოს არ უმართლებდა, ბევრი ტრავმირებული იყო და გუნდის დროულად შეკვრა ამიტომაც ვერ მოხერხდა. ვერ ვიტყვი, რომ "პალერმოს" წარუმატებლობაში ყველაზე დიდი დანაშაული კოლანტუონოს მიუძღვის. რაც შეეხება გვიდოლინს, ის უდავოდ დიდი მწვრთნელია. ვიტყოდი, რომ "პალერმოსთვისაა" დაბადებული. გუნდში სწორედ მან მომიყვანა და უსაზღვრო ნდობა გამომიცხადა. ამიტომაც ვალდებული ვარ, რომ ეს ნდობა და იმედი აუცილებლად გავამართლო.

- ვინ დაგეხმარათ იმაში, რომ უკეთ გაგეგოთ იტალიური ფეხბურთი?

- მწვრთნელი, რომელმაც ასევე ბევრი რამ მასწავლა. ვგულისხმობ ბეპე პილონს, რომელთან ერთადაც "კიევოში" ვიყავი. მან მაიძულა, რომ დიდი ფეხბურთი მეთამაშა. სხვათა შორის, ეს პერიოდი იყო, როცა ოჯახთან ერთად რთული პერიოდი გადავიტანე და სინიორ პილონმა ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ კვლავ ფეხბურთით მეცხოვრა. დიდი მხარდაჭერა მქონდა ჩემი მეუღლე ჩინციასგანაც...

- მეუღლე ახსენეთ და, საინტერესოა რა აჩუქეთ შობის დღესასწაულზე?

- ძალიან მინდა, რომ წაიკითხოს ეს ინტერვიუ ხვალინდელ გაზეთში. საძინებლის პატარა მაგიდის უჯრაში ლამაზ ყელსაბამს იპოვნის...

- "ნაპოლისა" და "მესინაში" თამაშის დროს რატომ არ იყო ნამდვილი ამაური?

- იმიტომ, რომ სხვა ბრაზილიელებისგან განსხვავებით, ფეხბურთელად იტალიაში ჩამოვყალიბდი. ამას ემატება ისიც, რომ ახალ გარემოსთან შეგუება მიჭირს ხოლმე...

- თქვენს თანამამემულე ადრიანოს რთული პერიოდი უდგას. რას ფიქრობთ მის პრობლემებზე?

- ის ახლა ბრაზილიაშია და დარწმუნებული ვარ, ხელახლა დაიბადება. ფაქტობრივად, ის ახლა თავიდან იწყებს. მოთმინებაა საჭირო. ამას საკუთარ მაგალითზე ვამბობ. მეც მქონდა პრობლემები, მუხლი მუდმივად მაწუხებდა, მაგრამ ვძლიე ტრავმასაც და საკუთარ თავსაც. ახლა ლომივით ვარ...

- რას ნიშნავს გოლი ამაურისთვის?

- ეს არის ადრენალინი, ჩემი ცხოვრების ნაწილი... ერთადერთი, ყველაზე ლამაზი მომენტი, რომლითაც ჩემი მუშაობის ნამდვილი შეფასება ხდება. ამ ვნებებისთვის ღმერთს მადლობას ვუხდი. მიუხედავად ადრეული პერიოდის პრობლემებისა, მიმაჩნია, რომ საკმარისად ილბლიანი ვარ.

- დიდხანს გვემახსოვრება, "ფიორენტინასთან" მატჩში მიკოლის რომ პასი მიეცით... თითქოს საკალათბურთო გუნდის გამთამაშებელი იყავით...

- ამ ილეთს ბავშვობიდა ვფლობ. კარაპიკიბაში, ვარჯიშის დროს, ამას ხალისით ვაკეთებდი და ახლაც დიდ სიამოვნებას მანიჭებს, როცა პარტნიორს ასეთ პასს ვაძლევ. ამაზე წინასწარ ვერ იფიქრებ და ვერ დაგეგმავ. ეს ჩვეულებრივი ინსტინქტია. და როცა ასე ხდება, უფრო ლამაზადაც გამოდის.

- მაინც რომელი იყო გოლი, რომელიც ყველაზე მეტად დაგამახსოვრდათ, რომელიც ნამდვილად "თქვენი" იყო?

- ...როცა სერია A-ში პირველ სეზონს ვატარებდი, "სან პაოლოზე", "ნაპოლისა" და "ვერონას" მატჩში, რომელიც 2:0 მოვიგეთ. მერე იყო ფლორენციული გოლი შარშანდელ სეზონში... ამ გოლებით ყოველთვის მემატებოდა რაღაც, მაგრამ ვიმეორებ: კიდევ მეტი მინდა.

- თქვენ ჩაწერეთ სიმღერა "კატანიის" კაპიტან ჯუზეპე კოლუჩისთან ერთად, რომელიც სიცილიურ დერბის მიუძღვენით...

- ეს იყო საქველმოქმედო აქციის ნაწილი, იმ აქციის, რომლის მიზანი იყო და მომავალშიც იქნება "მშვიდობიანი და სოლიდარული ფეხბურთი". ამით ჩვენ შეტყობინება გავუგზავნეთ იმ ტოფოზებს, რომლებიც სტადიონებზე ძალადობას ამკვიდრებენ.

- 2 თებერვლის ტრაგედიის შემდეგ სტადიონებზე ატმოსფერო არ შეიცვალა? ცხადია, შეცვლაში უკეთესობა იგულისხმება...

- რაღაც შეიცვალა, მაგრამ როგორც გამოჩნდა, ეს არ ყოფილა საკმარისი. გახსოვთ, ალბათ, რა ამბები მოჰყვა "ლაციოს" ფანის სიკვდილს. იმაში, რაც ხდება, არის ყველას პასუხისმგებლობა. რატომღაც სჯიან კლუბებს, მაგრამ ის ხალხი, ვინ წესრიგს ვერ უზრუნველყოფს, პასუხს არ აგებს.

- "სკუადრა აძურაში" თქვენი მიწვევაც ერთ-ერთი ცხელი თემაა. ხომ არ ელოდებით რაიმე სიახლეს?

- ანუ, გულისხმობთ - მოვხვდები თუ არა ევროპის ჩემპიონატის განაცხადში? რა გითხრათ... 2008 წელს, შეიძლება, მართლაც რაღაც მოხდეს. გააჩნია, პირველი ვინ დამიძახებს - ბრაზილია თუ იტალია. ეს ერთი დიდი ოცნების ასრულება იქნებოდა. მაგრამ დონადონი და დუნგა ჯერჯერობით ჩუმად არიან... მე მაინც ველოდები, ვნახოთ...

L'EQUIPE. 2007 წლის სიმბოლური ნაკრები

ინგლისელთა უპირატესობით...

სად არიან იტალიელი მცველები?

რატომღაც დამკვიდრდა ასეთი ტრადიცია, რომ წლის შემაჯამებელ გამოკითხვებში, ყველაზე ავტორიტეტულად ფრანგული გამოცემები მიიჩნევა. ერთ-ერთი მათგანია L'Equipe ("ეკიპი"), რომელმაც 2007 წლის სიმბოლური ნაკრების საკუთარი ვერსია შემოგვთავაზა. პირველ რიგში, ყურადღებას იქცევს ამ თერთმეტეულში "მანჩესტერ იუნაიტედის" სამი ფეხბურთელის მოხვედრა. ამას გარდა, დაცვის ხაზში ვერ ვხედავთ არა თუ არც ერთ იტალიელ მოთამაშეს, არამედ საერთოდ, სერია A-ს თუნდაც ერთ ფეხბურთელს. შუა ხაზში საყრდენი ნახევარმცველების სიჭარბე იგრძნობა. იმის გათვალისწინებით, რომ სტივ ჯერარდს ხშირად უწევდა მარჯვენა ფლანგზე თამაში, "ეკიპის" გუნდში ფლანგის მხოლოდ ერთი ფეხბურთელი მოხვდა: კრისტიანო რონალდო. ფორვარდთა დუეტი დიდიე დროგბამ და რუუდ ვან ნისტელროიმ შეადგინეს. ეს ორი გოლეადორი ეგრეთწოდებულ საჯარიმო მოედნის თავდამსხმელებად ითვლება, შესაბამისად, მათ იქ ერთად მოქმედება ძალიან გაუჭირდებოდათ. აქედან უნდა დავასკვნათ, რომ ამ ტიპის სიმბოლური ნაკრები მხოლოდ ქაღალდზე თუ იარსებებს. საერთოდ, 2007 წლის ფორმაციის "ეკიპისეულ" გუნდში აშკარაა ინგლისური აქცენტი. იქ პრემიერლიგის 7 წარმომადგენელია. ამათ დაემატა ორ-ორი ფეხბურთელი იტალიისა და ესპანეთის ლიგებიდან. ახლა კი მივყვეთ ჩამონთვალს და ვნახოთ, რა კრიტერიუმების მიხედვით შეადგინეს ფრანგმა ჟურნალისტებმა წლის სიმბოლური ნაკრები და რა შეიძლება იყოს კამათის საგანი...

მეკარე
ჯანლუიჯი გუფონი (იუვენტუსი)

ძნელია, იყო ორიგინალური, როცა მეკარეს ირჩევ. რა თქმა უნდა, საუკეთესო ბუფონია, რომელსაც სერია B-ში ერთწლიანმა მივლინებამ ვერაფერი დააკლო. მაგალითად, მისი ერთ-ერთი ბოლო "სეივს", როცა "ლაციოსთან" მატჩში ტომაზო როკის, ფაქტობრივად, უიმედო ბურთი აუღო, ევროპის სხვადასხვა სპორტული არხები გამუდმებით ატრიალებენ. დღესდღეობით, ბუფონი არის ლამის ყველაზე ქარიზმატული ფიგურა არა მხოლოდ "იუვენტუსში", არამედ მთლიანად იტალიურ ფეხბურთში.

მარჯვენა მცველი
დანიელ ალვეში (სევილია)

შეიძლება საკამათო ფიგურა იყოს. ამ პოზიციაზე, შეიძლება, თავისუფლად "მოგვესინჯა" სერხიო რამოსი ("რეალი") ან მაიკონი ("ინტერი"). მაგრამ არჩევანი მაინც ბრაზილიელზე შეჩერდა. პირველ რიგში, ალვეშის სასარგებლოდ მეტყველებს სტაბილურობა, ასევე, "სევილიის" ზედიზედ ორი გამარჯვება უეფას თასზე.

ცენტრალური მცველი
ნემანია ვიდიჩი (მანჩესტერ იუნაიტედი)

სიმბოლურ ნაკრებში სერბი მცველის გამოჩენა მოულოდნელი არავისთვის უნდა იყოს. მოსკოვის "სპარტაკიდან" ნისლიან ალბიონზე გადასულმა ვიდიჩმა საოცრად მოკლედ დროში იპოვნა თავისი ადგილი ისეთ დიდ კლუბში, როგორიც "მანჩესტერ იუნაიტედია". არადა, თავის დროზე, სერ ალექს ფერგიუსონს მის ყიდვას ცოტა თუ ურჩევდა. როგორც "მენიუს" ქომაგები ამბობენ, როცა ვიდიჩი დაცვაში დგას, შეგიძლია მშვიდად იყო.

ცენტრალური მცველი
უილიამ გალასი (არსენალი)

ალბათ, არც ეს გადაწყვეტილებაა უეჭველი. შეიძლება, ამ პოზიციაზე ბევრი სხვაც აცხადებდეს პრეტენზიას, ისინი, რომლებიც "მეთოფეთა" კაპიტანს კლასით ნამდვილად არ ჩამოუვარდებიან. იქნებ, სჯობდეს გამოვყოთ მისი შეუპოვრობა "ჩელსიდან" "არსენალში" გადასვლის პერიოდში. ანუ ის, რომ მან ზუსტად იცოდა თავისი ადგილი. გალასმა პროფესიონალი ფეხბურთელისთვის სამაგალითო გადაწყვეტილება მიიღო, როცა დიდ ანაზღაურებას კარიერა არ შესწირა. შეიძლება, მისი პლუსი იყოს ისიც, რომ ტიერი ანრის შემდეგ სწორედ მას ჩააბარეს კაპიტნის სამკლაური.

მარცხენა მცველი
პატრის ევრა (მანჩესტერ იუნაიტედი)

უდავოდ მაღალი კლასის ფეხბურთელია, მაგრამ საფრანგეთის ნაკრებში მასზე წინ ყოველთვის ერიკ აბიდალს აყენებენ. საინტერესოა, რომ გამოკითხვაში მათ თანაბარი ქულები დააგროვეს. ექსპერტებმა კი უპირატესობა მაინც ევრას მიანიჭეს. რატომ? ალბათ, ნახალისების მიზნით.

მარჯვენა ნახევარმცველი
სტივენ ჯერარდი (ლივერპული)

"ლივერპულის" კაპიტანი ამ პოზიციაზე პირობითად მოხვდა, რადგან ის ამპლუით ცენტრალური ნახევარმცველია. მარჯვენა ფლანგზე კი იმიტომ დააყენეს, რომ წლის განმავლობაში რაფა ბენიტესი მას ხშირად სწორედ ამ პოზიციაზე ამწესებდა. სხვათა შორის, ამ ექსპერიმენტის გამო ესპანელ სპეციალისტს ხშირად აკრიტიკებდნენ კიდეც. ბოლო ხანებში ჯერარდი კვლავ გამოჩნდა თავის საყვარელ პოზიციაზე და ძველებური პროდუქტიულობაც დაიბრუნა.

ცენტრალური ნახევარმცველი
ფრანსესკ ფაბრეგასი (არსენალი)

აი, პოზიცია, რომელსაც კამათი არ დასჭირდება. ფაბრეგასი თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო ნახევარმცველია, მოედნის ხედვის ფანტასტიკური უნარითა და დახვეწილი პასით, რაც შესანიშნავად ჩაეწერა ინგლისური ფეხბურთის რეალიებში. 20 წლის ასაკში უკვე "არსენალის" დირიჟორია. რა თქმა უნდა, შეიძლებოდა ანდრეა პირლოს გახსენებაც, მაგრამ ახალგაზრდა ესპანელი უდავოდ იმსახურებს სიმბოლურ ნაკრებს, თუნდაც ავანსის სახით.

მარცხენა ნახევარმცველი
კრისტიანო რონალდო (მანჩესტერ იუნაიტედი)

ეს პოზიციაც პირობითია ისევე, როგორც ჯერარდის შემთხვევაში. კრისტიანო რონალდო უფრო ხშირად მარჯვენა ნახევარმცველად თამაშობდა. მაგრამ ეს არ არის მთავარი, რადგან ის ნამდვილად იმსახურებს იმას, რომ ყველა სახის რეიტინგში მოიხსენიებოდეს. მან ერთ-ერთი მთავარი როლი ითამაშა "იუნაიტედის" გაჩემპიონებაში.

შემტევი ნახევარმცველი
კაკა (მილანი)

არის საჭირო ზედმეტი სიტყვები? მაგრამ მაინც: მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელმა მთავარი წვლილი შეიტანა "მილანის" საჩემპიონთალიგო ტრიუმფში. მან წელს საყოველთაო აღიარება მოიპოვა როგორც კოლეგებისგან, ასევე მწვრთნელებისა და ჟურნალისტებისგან. ანუ, აქ კონკურენცია არ შეიძლება იყოს.

თავდამსხმელი
დიდიე დროგბა (ჩელსი)

ორი არცთუ წარმატებული სეზონის შემდეგ, ამ წელს დროგბა მთელი თავისი ბრწყინვალებით გამოჩნდა, გახდა რა პრემიერლიგის საუკეთესო ბომბარდირი. ფაქტობრივად, ის მარტო ზიდავდა "ჩელსის" თავდასხმის ტვირთს.

თავდამსხმელი
რუუდ ვან ნისტელროი (რეალი)

ფეხბურთელი, რომელიც იოლად ეგუება სიტუაციების ცვლას. ის მომენტალურად გახდა "რეალის" თავდასხმის ლიდერი და პრობლემები შეუქმნა სამეფო კლუბის სიმბოლოდ წოდებულ რაულს. 25 გოლით ის პრიმერა დივიზიონის საუკეთესო ბომბარდირი გახდა და უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა "რეალის" ჩემპიონობაში.

წლის რჩეული წყვილები

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანულმა ჟურნალმა "შპორტ-ბილდმა" 2007 წლის ბოლო ნომერში ფეხბურთელების და მათი ცოლების თუ საცოლეების რეიტინგი გამოაქვეყნა. ხსენებული გამოცემა მთელი თვის მანძილზე ქომაგებს შორის გამოკითხვას ატარებდა, რის შედეგადაც შედგა რეიტინგი, რომელსაც სათავეში ტურინის "იუვენტუსისა" და იტალიის ნაკრების მეკარე ჯანლუიჯი ბუფონი და მისი მეუღლე, ალიონა სერედოვა უდგანან. ამ წყვილმა ხმების 26.34 პროცენტი მიიღო. სხვათა შორის, პარასკევს მათ ვაჟი ეყოლათ, რომელსაც ლუის ტომასი დაარქვეს. აღსანიშნავია, რომ გერმანელებმა მეორე ადგილზეც იტალიელი ფეხბურთელი და მისი მეგობარი გოგონა გაიყვანეს - "ბაიერნის" ფორვარდი ლუკა ტონი და მისი მეორე ნახევარი მარტა ჩეკეტო. მესამე ადგილი კი "ჰამბურგის" ფანების უსაყვარლეს წყვილს, ჰოლანდიელ რაფაელ ვან დერ ვაარტს და მის მეუღლე სილვის ხვდათ წილად. დანარჩენს ფოტო-კოლაჟიდან შეიტყობთ...



ჯიჯი ბუფონი და ალიონა სერედოვა



ლუკა ტონი და მარტა ჩეკეტო

რაფაელ და სილვი ვან დერ ვაარტები



პიტერ კრაუჩი და აბიგაილ კლენსი

ალესანდრო დელ პიერო და სონია ამორუზო



იკერ კასილასი და ევა გონსალესი

ეშლი კოული და შერილი



ლუიშ ფიგუ და ჰელენ სვედინი

ფრანჩესკო ტოტი და ილარია ბლაზი

ტომაშ როსიცკი და რადკა



დეკუ და ჯაკირა

სტივენ ჯერარდი და ალექსანდრა კურანი

დიეგო და ლეტიცია ბრუნა

უეინ რუნი და კოლინ მაკლუგლინი

ᲞᲝᲙᲔᲘ

ᲙᲐᲠᲝᲚᲘᲜᲐᲛ ᲛᲪᲕᲔᲚᲘ ᲓᲐᲙᲐᲠ�გᲐ

„ᲙᲐᲠᲝᲚᲘᲜᲐ ᲰᲐᲠᲘᲙᲔᲘᲜᲖᲘᲡ“ ნამყვანი მცველი ბრეტ ჰედიკანი 10-14 დღე ვერ დაეხმარება თავის გუნდს. ჰოკეისტმა ტრავმა „ბოსტონ ბრუინზთან“ მატჩის დროს მიიღო - მან მარცხენა მუხლი დაიზიანა. ამის გამო, „კაროლინას“ მწვრთნელებმა ფარმ-კლუბიდან სასწრაფოდ გამოიძახეს **უეიდ ბრუკბენკი**.

37 წლის ჰედიკანმა ამ სეზონში 2 შაიბა გაიტანა და 7 შედეგიანი პასი შეასრულა.

ᲗᲐᲛᲞᲐ ᲑᲐᲚᲐᲡᲒᲡ ᲘᲨᲝᲠᲔᲑᲡ

„ᲗᲐᲛᲞᲐ ᲑᲘ ᲚᲐᲘᲗᲜᲘᲜᲒᲛᲐ“ ტრანსფერზე დააყენა მეკარე **მარკ დენი**. თუ უახლოესი დღეების განმავლობაში 30 წლის გოლკიპერის აყვანის სურვილს NHL-ის არცერთი კლუბი არ გამოთქვამს, მაშინ დენის AHL-ში მოასპარეზე ფარმ-კლუბში მოუწევს თამაში.

ამ სეზონში დენიმ 10 თამაში ჩაატარა და საშუალოდ მატჩში 4.05 შაიბას უშვებდა. ეს გოლკიპერი კლუბში ზედმეტი მაშინ აღმოჩნდა, როცა „ტამპამ“ დებიუტანტი **კარი რამო** აიყვანა. გარდა ამისა, „ლაითნინგის“ განკარგულებაშია შვედი მეკარე **იოჰან ჰოლმსკვისტი**.

წელს დენის ხელფასი 2.8 მილიონ დოლარს შეადგენს, ხოლო გაისად მან 3 მილიონი უნდა გამოიმუშავოს.

ᲙᲘᲜᲖᲛᲐ ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜ ᲛᲪᲕᲔᲚᲡ ᲣᲮᲛᲝ

„ᲚᲝᲡ ᲐᲜᲯᲔᲚᲔᲡ ᲙᲘᲜᲒᲡ“ დაცვის ხაზში პრობლემები შეექმნა და ამის გამო, ფარმ-კლუბიდან 37 წლის მცველი **ჯონ კლემი** გამოიძახა.

კლემს ჰოკეის ეროვნულ ლიგაში 15 სეზონი აქვს გატარებული. თავის დროზე ის „ლოს ანჯელესის“, „დალასის“, „ჩიკაგოსა“ და „კოლორადოს“ შემადგენლობაში თამაშობდა. 756 მატჩში ვეტერანის ანგარიშზე 142 ქულა (42+100) მოდის.

ამ სეზონში კლემმა AHL-ში 24 მატჩის გამართვა მოასწრო და მხოლოდ ერთი შედეგიანი პასით გამოირჩა.

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ

ᲤᲘᲚᲘ ᲐᲣᲔᲠᲑᲐᲮᲡ ᲓᲐᲔᲬᲘᲜᲐ

„ᲚᲝᲡ ᲐᲜᲯᲔᲚᲔᲡ ᲚᲔᲘᲙᲔᲠᲡᲘᲡ“ მთავარი მწვრთნელისთვის, **ფილ ჯექსონისთვის** მნიშვნელოვანი იყო რეგულარული ჩემპიონატის მორიგ ტურში „იუტა ჯაზთან“ გამარჯვება. ლეგენდარულმა მწვრთნელმა კარიერაში 938-ე მატჩი მოიგო, რითაც გაუთანაბრდა „ბოსტონ სელტიქსის“ ყველა დროის საუკეთესო დამრიგებელი **რედ აუერბახს**. შესაბამისად, ეს მწვრთნელები ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციის ყველა დროის სიაში მეშვიდე ადგილს იყოფენ.

სხვათა შორის, ჯექსონი და აუერბახი NBA-ის მთავარი რეკორდის თანამფლობელები არიან. 5 წლის წინ, „ლეიკერსის“ თავკაცი დაენია აუერბახს მოპოვებული ტიტულების რაოდენობით. ორივენი მწვრთნელის რანგში 9-ჯერ გამხდარან ასოციაციის ჩემპიონები.

ᲡᲞᲣᲠᲡᲛᲐ ᲛᲪᲕᲔᲚᲘ ᲓᲐᲘᲛᲐᲯᲐ

„ᲡᲐᲜ ᲐᲜᲢᲝᲜᲘᲝ ᲡᲞᲣᲠᲡᲛᲐ“ კონტრაქტი გააფორმა მცველ **კეიტ ლენგფორდთან**. სააგენტო „როიტერის“ ცნობით, ამ კალათბურთელმა წლევანდელი სეზონი D-ლიგის კლუბ „ოსტინ ტოროსში“ დაიწყო. ხელშეკრულების ხანგრძლივობა და ფინანსური დეტალები უცნობი დარჩა.

ამავდროულად, NBA-ის ჩემპიონმა ტრანსფერზე დააყენა მცველი **დარიუს ვაშინგტონი**, რომელმაც წლევანდელ რეგულარულში 18 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 2.9 ქულა და 1.1 მოხსნა მიითვალა.

ᲤᲝᲠᲛᲣᲚᲐ 1

ᲤᲘᲖᲘᲙᲔᲚᲐ ᲤᲝᲠᲡ ᲘᲜᲓᲘᲐᲡ ᲛᲘᲣᲐᲮᲚᲝᲕᲓᲐ

ᲙᲕᲚᲐᲕᲘᲜᲓᲘᲒᲣᲠᲐᲓ გაურკვეველია, თუ ვინ იქნება მომავალ სეზონში ფორმულა 1-ის ახალი გუნდის, „ფორს ინდიას“ მეორე საპრიზო პილოტი. ვაკანტური ადგილის დასაკავებლად ერთ-ერთი ფავორიტი 35 წლის იტალიელი **ჯანკარლო ფიზიკელა** გახლავთ. მით უმეტეს, რომ „რენოს“ ყოფილმა პილოტმა სპონსორებისგან 10 მილიონი ევრო მოიზიდა საკონტრაქტო გარანტიების მისაღებად. ხელშეკრულების გაფორმებისთვის კი, ფინანსურმა ფაქტორმა შესაძლოა გადამწყვეტი როლი ითამაშოს.

„ფორს ინდიას“ პირველი საპრიზო პილოტი **ადრიან სუტილი** გახლავთ. ფიზიკელას გარდა, ინდური საჯინიბოში მოხვედრის შანსი აქვთ **ვიტანტონიო ლიუციის** და **კრისტიან კლინს**.

ᲤᲔᲠᲐᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲘᲛᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲡ

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ უკვე ვიტყობინებოდით, გასული სეზონის ტრიუმფატორი „ფერარი“ ფორმულა 1-ის მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეთაგან პირველი წარადგენს თავის ახალ ბოლიდს. ეს იანვრის დასაწყისში მოხდება. ასევე გაირკვა, რომ ახალ მანქანას პირველად მოქმედი მსოფლიო ჩემპიონი, ფინელი **კიმი რაიკონენი** გამოცდის. ტესტები იტალიის ქალაქ ფიორანოში გაიმართება.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ ᲐᲡᲝᲪᲘᲐᲪᲘᲐ

ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ ᲓᲔᲕᲘᲓ ᲠᲝᲑᲘᲜᲡᲝᲜᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲰᲐᲙᲘᲛ ᲝᲚᲐᲯᲣᲝᲜᲗᲐᲜ

ᲝᲠᲘ ᲘᲓᲔᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐ



დევიდი, ჰაკიმი და შაკი

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ საკალათბურთო ასოციაცია დღეს დიდ ინდუსტრიად არის ქცეული, სადაც 80-იანი წლების დასაწყისში გაჟღერებული სლოგანი „NBA ფანტასიკაა“ სულ უფრო ფერმკრთალდება და წინა პლანზე წმინდა მერკანტულური ღირებულებები იწევს. ძალიან ცოტანი არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც კალათბურთს პირველ რიგში, საკუთარი სიამოვნებისთვის, ყოველგვარი სნობური მოსაზრებებისა თუ მეგაკონტრაქტისთვის თამაშობს. უკანასკნელ მოჰიკანებად შეიძლება მივიჩნიოთ ისინი, ვინც ჯერ კიდევ წინა პლეადის სუპერვარსკვლავებისგან ითვისებდა ცხოვრებისეულ და სპორტულ ავკარგს. ასეთთა რიცხვში შაკილ ონილი, ტიმ დანკანი, ჯეისონ კიდი, ალენ აივერსონი და კობი ბრაიანტი უნდა შევიყვანოთ, მათთან ახლოს კი, ალბათ, კევინ გარნეტი და რაშიდ უოლასი უნდა დავაყენოთ.

80-იან წლების პირველ ნახევარში ლიგაში მეტეორივით შემოიჭრა ერთი ნიგერიელი, ჰიუსტონის კოლეჯში ნასწავლი ახალგაზრდა, რომელმაც ტეხასში მთელი ეპოქა შექმნა, ხოლო 80-იანების ბოლოს კი ამავე შტატში მისივე ამპლუის (ანუ კიდევ ერთი ცენტრი) მეორე მარგალიტიც გამოჩნდა. ამ ხალხმა კალათბურთი ფანებისთვის ნამდვილ დღესასწაულად აქცია და ისე დაასრულა კარიერა, რომ ყველასთვის სამაგალითო სპორტსმენად, სანიმუშო, თითით საჩვენებელ მოქალაქედ იქცა. თქვენს წინაშეა ჰაკიმ ოლაჯუონი და დევიდ რობინსონი.

- ᲙᲐᲠᲒᲐᲓ მოკალათდით და პირობა მომეცით, რომ ერთმანეთს საუბარს არ შეაწყვეტინებთ. დევიდ, ეხლაც არაჩვეულებრივ ფიზიკურ კონდიციებს ინარჩუნებთ, ჰაკიმი კი ცოტათი დამძიმებული მეჩვენება...

დევიდ რობინსონი: ერთი ერთზე რომ გვათამაშოთ, ჰაკიმი მაინც უშანსოდ დამტოვებს.

ჰაჯიკ ოლაჯუონი: "ჰიუსტონმა" უკვე შემომთავაზა სამწლიანი კონტრაქტი და თუ თანხმობას განვაცხადებ, დევიდს ბურთების მწმენდავად ავიყვან. ხომ წამოხვალ?

დ. რ: ისედაც ეგრე არ იყო? შენი დონის მოთამაშე რომ ვყოფილიყავი, ჩემპიონი 1999-ზე გაცილებით ადრე გავხდებოდი, თუმცა ჩემი კარიერით მაინც უზომოდ ბედნიერი ვარ და ვამაყობ, რომ დიდი ხნის განმავლობაში ჰაკიმის წინააღმდეგ თამაში მომიხდა.

- ერთმაც და მეორემაც ოთხმაგი დუბლის გაკეთება შეძელით. როგორ გგონიათ, დღევანდელი მოთამაშეებიდან ვის აქვს ამის გამეორების საუკეთესო შანსი?

ჰ. ო: რთული სათქმელია, რადგან დღევანდელი თამაში რაღაცით არნოლდ შვარცენეგერის "მორბენალ კაცს" მაგონებს, სადაც იგებს ის, ვისაც ბოლოსკენ მეტი გამძლეობა ეყოფა. ფიზიკურად ყველა მოთამაშე ისე განვითარდა, რომ შენს ინტელექტს, ღმერთისგან ბოძებულ ნიჭს იმდენად გადამწყვეტი მნიშვნელობა აღარ აქვს, როგორც ეს დევიდისა და ჩემს დროს ხდებოდა. ალბათ, მაინც ლებრონ ჯეიმსს დავასახელებ. კიდევ, შონ მერიონია გამორჩეული უნივერსალი. თუმცა, ჩვენი ეპოქის კალათბურთში მეტი იმპროვიზაცია, მეტი თავისუფლება იყო და ამის გაკეთების მეტი შანსიც ჩვენ გვქონდა.

დ. რ: მეც ლებრონს დავასახელებ. ჯეიმსი ნებისმიერ ეპოქას მოერგებოდა, ხოლო მერიონზე წინ კი (თუ ჰაკიმი არ მიწყენს) ალბათ, დუაიტ ჰოვარდს დავაყენებდი. ქულა, მოხსნა, დაფარების მხრივ ამ ბიჭს სამმაგი დუბლის გაკეთება ყოველთვის შეეძლება, ხოლო თუ მოედნის ხედვას გაიუმჯობესებს, თუ მიხვდება, რომ თანაგუნდელებზე თამაშით მეტს მიაღწევს, მისი სტატისტიკა ისტორიული გახდება.

- ჩემს წინაშეა ორი ადამიანი, რომელსაც ორი განსხვავებული ეპოქის ცენტრების წინააღმდეგ თამაში მოუხდა. როდის უფრო რთული იყო ქულების დაგროვება, 80-იანების ცენტრებთან ბრძოლაში, თუ მაშინ, როდესაც ლიგაში შაკი და ალონზო გამოჩნდნენ?

დ. რ: ამ მხრივ ჰაკიმს ჩემზე გაცილებით მეტი აქვს სათქმელიც და გასახსენებელიც. ჩემს დროს აღარ თამაშობდა ქარიმ აბდულ-ჯაბარი, მისდამი დიდი პატივისცემის მიუხედავად, მოუკლო რობერტ პერიშმა, ხოლო სხვები კი მათთან საუკეთესო წლებში ახლოსაც კი ვერ მიდიოდნენ. ხოლო მეორე ეპოქის ცენტრები, ანუ შაკილ ონილი, ალონზო მურნინგი, რიკ სმიტსი, დიკემბე მუტომბო და სხვები, სულ სხვა კალათბურთს თამაშობდნენ. შაკმა დაამსხვრია სტერეოტიპი იმისა, რომ მხოლოდ ფიზიკური კონდიციებით ნებისმიერის გადათელვა, თამაშის მხოლოდ ამის ხარჯზე მოგება შეუძლებელი იყო. ზო უფრო მოძრავი გახლდათ, მაგრამ შაკზე არანაკლებ იყო დამოკიდებული თავის ფიზიკურ მომზადებაზე. ჰაკიმის დარად, ორივე პლეადის წარმომადგენლებს ებრძოდა პატრიკ იუინგიც და ჩემთვის უდიდესი პატივია, რომ ამ დიდ ხალხთან თამაში მომიხდა.

ჰ. ო: დევიდს რომ სწავლის გაგრძელება არ აერჩია, იგი ლიგაში გაცილებით ადრე მოხვდებოდა, მაგრამ მისტერ რობინსონი ჩვენზე დახვეწილი, ჭკვიანი იყო და წინდახედულებითაც გვაჯობა. დღეს, "ადმირალს" ნებისმიერ იდეას მოუწონებენ, რადგან ნასწავლი, განათლებული პიროვნებაა, მე და პატრიკს კი მაქსიმუმ, იაო მინის პირად მწვრთნელებად თუ დაგვასაქმებენ. დევიდ რობინსონი არასოდეს ცდილობდა, კალათბურთის უმაღლეს დონეზე თამაშის გარდა, სხვისი ყურადღება რაიმე სხვა ფაქტორით მიექცია. იგი ჩუმად, მორიდებულად აგროვებდა 30 ქულასა და მეტსაც, მეორე დღეს კი ყველა მის გენიალურობაზე საუბრობდა. დევიდ, დიდი მადლობა, რომ შენ კალათბურთის თამაში გადაწყვიტე. თქვენს კითხვას რაც შეეხება, იმპროვიზაციის მეტი საშუალება 80-იანებში გვქონდა. ქარიმი სახეში იდაყვს არ ჩაგარტყამდა, პერიში შენზე განზრახ არ იუხეშებდა და ერთადერთი ცენტრი, რომელიც ყველანაირად ეცდებოდა დაუშვებელი ილეთებით შენს შეჩერებას, ბილ ლემბირი იყო. თუმცა, ბილი ქალთა კალათბურთში ყველასთვის სამაგალითო, ყველაზე განონასწორებულ მთავარ მწვრთნელად იქცა და მასში ვულკანი აღარ იფეთქებს. შაკს ყოველთვის დიდ მოთამაშედ მივიჩნევდი. იგი არა მარტო უდიდესი ძალის პატრონი იყო, არამედ სხვა კომპონენტებშიც ბევრ კონკურენტს დიდ ფორას მისცემდა. მურნინგს არ გაუმართლა, რადგან ხშირად ავადმყოფობდა, ბოლოს კი თირკმლის ტრანსპლანტაცია გაუკეთეს. ზო გულით მეომარი და ნამდვილი პროფესიონალი რომ არის, იმაშიც გამოჩნდა, რომ მან ამ ურთულესი ოპერაციის მერეც გააგრძელა კალათბურთის თამაში და "მაიამიში" ჩემპიონობა მოიპოვა. სხვათა შორის, იგივეს თქმა შემიძლია დევიდის მეგობარ, არაჩვეულებრივ მოთამაშესა და ძალიან ძლიერ ანალიტიკოსზე, მისტერ შონ ელიოტზე, ვინც კალათბურთში ასევე მსგავსი ქირურგიული ჩარევის შემდეგ დაბრუნდა.

- თუ დევიდი არ გვიწყენს, მოდით, 1995 წლის ფლეი ოფში დასავლეთის ფინალი გავიხსენოთ.

დ. რ: მოდით, მაშინ, ჰაკიმმა დაიწყოს, რადგან ეს მისი ფლეი ოფი, მისი კარიერის საუკეთესო სეზონი იყო.

ჰ. ო: დიდი მადლობა. დევიდმა ჩემი საუკეთესო სეზონი გაიხსენა, მაგრამ მგონი ყველას მშვენივრად გვახსოვს, რომ იმ წელს, რეგულარულის MVP-დ სწორედ დევიდი დაასახელეს. არადა, სიმართლე გითხრათ, მისტერ რობინსონი ამ ჯილდოს მოგებას წინა სეზონში უფრო იმსახურებდა, თუმცა მაშინ პირველ ადგილზე მე გამიყვანეს, მეორე სეზონში კი დევიდს დამსახურებულად გადაეცა MVP-ს პრიზი. 1995 წლის ფლეი ოფში "ჰიუსტონისგან" ჩემპიონობის ზედიზედ მეორედ მოპოვებას თითქმის არავინ ელოდა. არაჩვეულებრივ კალათბურთს თამაშობდა "სან ანტონიო", დევიდი დაფრინავდა, დენის როდმანი იმ წლის საუკეთესო მომხსენელი და ალბათ, დამცველიც იყო, ხოლო ელიოტი კი ვარსკვლავად ჩამოყალიბდა. აღმოსავლეთში კი შაკის, პენი ჰარდევეის "მეჯიქი" ნამოიწია წინა პლანზე, უჯორდანო "ჩიკაგოც" კარგი იყო და საერთოდ, ჩემპიონობის მოპოვების შანსი 6-7 გუნდს ჰქონდა, თუმცა ყველას ფავორიტი "სპურსი" იყო. დევიდს ერთ რამეში ნამდვილად დავეთანხმები - ჩემს ხანგრძლივ კარიერაში "სპურსთან" საუკეთესო სერია ჩავატარე და ვამაყობ, რომ "როკეტსი" ზედიზედ მეორედ გახდა საუკეთესო.

დ. რ: თუ მე "ჰიუსტონთან" სერიაში საშუალოდ 22 ქულასა და 12 მოხსნას ვაგროვებდი, ჰაკიმმა ის სერია სადღაც 40 ქულისა და 15 მოხსნით, კიდევ ძალიან ბევრი ჩაჭრითა და დაფარებით დაასრულა. მისი შეჩერება შეუძლებელი იყო. მან ჯერ მე, მერე კი შაკსაც აჯობა. მაშინ, თქვენმა კოლეგებმა სერიის წაგება დენის როდმანს დააბრალეს, რომელსაც თითქოსდა დაცვაში თამაში ეზარებოდა და რობერტ ორის ხშირად უმეთვალყურეოდ ტოვებდა. ეს შეცდომა იყო, რადგან თუ "სპურსს" რაიმეს პრეტენზია გააჩნდა, პირველ რიგში არა ორი, არამედ ჰაკიმი უნდა გაეჩერებინა. ჩვენ ეს ვერ შევძელით. ისე, მართლაც არაჩვეულებრივი სერია გამოვიდა. პირველი ორი მატჩი საკუთარ მოედანზე წავაგეთ, მერე კი ზედიზედ ორჯერ ჰიუსტონში მოვიგეთ, თუმცა მეხუთე შევხედრაში ჰაკიმმა უშეცდომო კალათბურთი ათამაშა თავის გუნდს და ჯერ მეხუთე, მერე კი მეექვსე შეხვედრების წაგებით, მთლიანად სერიაც დავთმეთ.

- ტიმ დანკანის აღზევებას ყველაზე მეტად დევიდს უკავშირებენ, რაც სავსებით სწორია, თუმცა ყველაზე ხშირად ტიმს სწორედ ჰაკიმს ადარებდნენ და პრინციპში, ახლაც ასეა...

ჰ. ო: შეიძლება, ჯერ მე გიპასუხოთ? დანკანი უდიდეს მოთამაშედ ალბათ, სხვაგანაც იქცეოდა, მაგრამ მას უზომოდ გაუმართლა, რომ გვერდით დევიდ რობინსონი ჰყავდა. ტიმი რომ პირველ და მეორე სეზონს ატარებდა, დევიდი საუკეთესო ფორმაში იყო და თავისუფლად შეეძლო საშუალოდ ერთ მატჩში 20-22 ქულის გაკეთება, მაგრამ მან ლიდერობა დანკანს დაუთმო.

დ. რ: მე კი ვიტყვი, რომ ვერასოდეს გავხდებოდი ჩემპიონი, "სპურსს" დანკანი რომ არ აერჩია დრაფტზე.

- გულწრფელად მითხარით, კარიერის გახსენებისას გული რაიმეზე თუ გწყდებათ?

დ. რ: ბედნიერი ადამიანი ვარ, რომ ღმერთმა კალათბურთის თამაშის ნიჭით დამაჯილდოვა. ამ ქვეყნად ყველაფერი ღვთის წყალობით ხდება და მინდა ყველას გთხოვოთ, ყოველ დილას, როდესაც თვალებს გაახელთ და მზის შუქს დაინახავთ, ჯერ ღმერთს ყველაფრისთვის მადლობა გადაუხადეთ და ყოველდღიურ ცხოვრებას, სასიამოვნო დინებას მერეღა გაჰყევით. გული მხოლოდ იმაზე მწყდება, რომ "სპურსის" გულშემატკივრებს ბევრჯერ იმედი გავუცრუე, რისთვისაც ერთხელაც ბოდიშს ვუხდი ყველას.

ჰ. ო: დევიდს ყველაფერში ვეთანხმები. ჩვენ ღმერთმა განსაკუთრებული ნიჭი მოგვცა და იმედი მაქვს, არავინ იფიქრებს, რომ ამდენი წლის განმავლობაში მხოლოდ ამის ხარჯზე ვახერხებდით ასე თუ ისე ნორმალური კალათბურთის თამაშს. დევიდი, მე, სხვებიც ძალიან ბევრს ვმუშაობდით საკუთარ თავზე და დამიჯერეთ, ჩვენთვის არასოდეს ყოფილა თვითმიზანი სხვა ჩრდილში რომ მოგვექცია. კარიერაში ბევრს მივაღწიე და დევიდის თქმის არ იყოს, ბევრი წაგებისა და იმედგაცრუებისთვის, "როკეტსის", ბოლოს კი "ტორონტო რეპტორზის" ფანებს პატიებას ვთხოვ.

- დევიდ, მოკლედ დაახასიათეთ ჰაკიმი.

დ. რ: ჰაკიმს მოკლედ ვერ დავახასიათებ. ჰაკიმს ყველაზე უკეთ და საუკეთესოდ მისი ცხოვრება, მის კარიერა, მონდომება, სწორი პრინციპები, სიყვარული, დიდი გული, სიკეთე და მისი ადამიანობა ახასიათებს. იგი ჩემი საუკეთესო მეგობარია.

- ჰაკიმ, ვინ იყო დევიდ რობინსონი?

ჰ. ო: პიროვნება, რომელიც ყველასა და ყველაფერში მხოლოდ და მხოლოდ დადებითს ხედავდა. გული მწყდება, რომ ასეთი ხალხი დღეს სანთლით უნდა ეძებო. დევიდ რობინსონი ჩემთვის ყოველთვის სამაგალითო პიროვნება იყო და ბედნიერ ვიქნები, თუ ჩემი შვილები ცხოვრებაში იმის მეათედს მაინც მიაღწევენ, რაც დევიდ რობინსონმა შეძლო.

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲗᲐᲚᲐᲙᲕᲐᲫᲔ

სამთო თხილამურები

მოდე მილერი

მსოფლიო თასი

მილერმაც მოიგო

ავსტრიის ლინცსა და იტალიის ბორმიოში მიმდინარე სამთო სათხილამურო სეზონის მიმავალი წლის ბოლო სამი რბოლა ჩატარდა. ბორმიოში დაშვების რბოლა ამერიკელი **ბოდე მილერის** ტრიუმფით დასრულდა, ლინცში კი ქალების გიგანტურ სლალომსა და სლალომში გამარჯვება შესაბამისად, იტალიელმა **დენიზე კარბონმა** და მისმა თანამემამულე **კიარა კოსტაცამ** მოიპოვეს.

მილერისთვის ეს მიმდინარე სეზონში მოგებული პირველი რბოლაა. სტელვიოს ურთულეს ტრასაზე ის ყოველთვის კარგი შედეგებით გამოირჩევა ხოლმე და ამჯერადაც, თავისი ოსტატობა სრულად გამოავლინა. 30 წლის მოთხილამურეს, ვინც ამ სეზონში დამოუკიდებლად, აშშ-ის ნაკრების დახმარების გარეშე გამოდის, სწორედ სტელვიოს ტრასაზე მოიპოვა 2005 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე დაშვებისა და სუპერგიგანტის ოქროს მედლები.

"ძალიან ძნელი ტრასაა. მის ბოლო მონაკვეთზე მუხლებს ვეღარ ვგრძნობდი. სეზონის დასაწყისშივე დარწმუნებული ვიყავი, რომ რბოლების მოგება ჯერაც შემიძლია. დღეს ეს საკუთარ თავსაც დავუმტკიცე და სხვებსაც. თანაც, ეს იმ ტრასაზე მოვახერხე, სადაც ყველას უჭირს უშეცდომოდ გამოსვლა", - განაცხადა მილერმა, ვინც კარიერაში მსოფლიოს თასის 26-ე (დაშვებაში მეხუთე) ეტაპი მოიგო.

მილერს 0.45 წამით ჩამორჩა ავსტრიელი **ანდრეას ბუდერი**, ვისთვისაც ეს კარიერაში ნაჩვენები საუკეთესო შედეგია. მესამეზე გავიდა კანადელი **იან ჰუდეცი,** ვისაც ამ სეზონის პირველი დაშვება აქვს მოგებული. მეოთხე შედეგს დასჯერდა შვეიცარიელი **დიდიე კუშე,** ვინც ამ დისციპლინის კლასიფიკაციაში მეორე ადგილზეა და 26 ქულამდე შეამცირა ჩამორჩენა ავსტრიელ **მიხაელ ვალხჰოფერთან,** ვისაც წინა ორი დაშვება აქვს მოგებული, მაგრამ სტელვიოზე მე-19 ადგილს დასჯერდა.

ქალების გიგანტურ სლალომში, რომელსაც ჰოხშტაინის ფერდობმა უმასპინძლა, კვლავ შეუდარებელი იყო იტალიელი დენიზე კარბონი, ვისაც ამ დისციპლინაში წინა ორი ეტაპიც მოგებული აქვს და ამ რბოლის შემდეგ, კლასიფიკაციას ქულათა მაქსიმუმით ლიდერობს.

რბოლა შუაწელში ნახევარი საათით შეწყდა, რისი მიზეზიც ამერიკელი **რესი შტიგლერის** ტრავმა გახდა. შტიგლერი ტრასის შუაში დაეცა. მას მარცხენა მკლავის ძვლის მოტეხილობა აქვს. გარდა ამისა, მარჯვენა მუხლის მყესები დაუწყდა და სახეც გვარიანად დაულილავდა.

მხოლოდ მეოცე შედეგს დასჯერდა გიგანტური სლალომის შარშანდელი თასის მფლობელი, ავსტრიელი **ნიკოლ ჰოსპი,** ვისაც პირველ ცდაზე საშინელი დრო ჰქონდა და უკეთ არც მეორეზე უასპარეზია.

სლალომში კი შეუდარებელი იყო იტალიელი კიარა კოსტაცა, რომელმაც ორივე ცდაზე საუკეთესო დრო დააფიქსირა და საერთო ჯამში, ნახევარ წამზე მეტით აჯობა მეორეზე გასულ ჰოსპს. კოსტაცასთვის ეს მსოფლიო თასზე მოგებული პირველი ეტაპია. რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ბოლო ათ სეზონში, იტალიელმა ქალმა პირველად შეძლო სლალომის მოგება.

"სლალომში პირველ ცდაზე საუკეთესო შედეგი ადრეც მქონია, მაგრამ მაშინ მეორე ცდაზე ლიდერობის შენარჩუნება ვერ შევძელი. ამჯერად, მეორე ცდის წინ ნერვები მოვთოკე და ეს საკმარისი გამოდგა იმისათვის, რომ ლიდერობა შემენარჩუნებინა", - განაცხადა კოსტაცამ.

მერაბ ლორთქიფანიძე

ბორმიო (იტალია). კაცები. დაშვება

1. ბოდე მილერი (აშშ) 2:00.57; 2. ანდრეას ბუდერი (ავსტრია) 2:01.02; 3. იან ჰუდეცი (კანადა) 2:01.11; 4. დიდიე კუშე (შვეიცარია) 2:01.23; 5. ანდრეი იერმანი (სლოვენია) 2:01.28; 6. დიდიე დეფაგო (შვეიცარია) 2:01.42; 7. კლაუს კრეიული (ავსტრია) 2:01.47; 8. ერიკ გაი (კანადა) 2:01.59; 9. კრისტოფ ინერჰოფერი (იტალია) 2:01.91; 10. ჯონ კუჩერა (კანადა) 2:01.92...

აბსოლუტური კლასიფიკაცია

1. ბენიამინ რაიხი (ავსტრია) 524; 2. დიდიე კუშე (შვეიცარია) 503; 3. ბოდე მილერი (აშშ) 406; 4. დანიელ ალბრეხტი (შვეიცარია) 366; 5. ტედ ლიგეტი (აშშ) 335; 6. კალე პალანდერი (ფინეთი) 320; 7. მანფრედ მიოლეგი (იტალია) 313; 8. მიხაელ ვალხჰოფერი (ავსტრია) 298; 9. დიდიე დეფაგო (შვეიცარია) 277; 10. იან ჰუდეცი (კანადა) 264...

ლინცი (ავსტრია). ქალები. გიგანტური სლალომი

1. დენიზე კარბონი (იტალია) 2:02.73 (1:00.88, 1:01.85); 2. ჯულია მანკუზო (აშშ) 2:04.01 (1:01.50, 1:02.51); 3. ნიკოლ ჯუსი (იტალია) 2:04.35 (1:01.31, 1:03.04); 4. ელიზაბეთ გიორგლი (ავსტრია) 2:04.46 (1:01.97, 1:02.49); 5. კატრინ ცეტელი (გერმანია) 2:04.82 (1:01.24, 1:03.58); 6. ტანია პოუტიაინენი (ფინეთი) 2:05.08 (1:01.90, 1:03.18); 7. მანუელა მიოლეგი (იტალია) 2:05.11 (1:01.91, 1:03.20)...

ლინცი (ავსტრია). ქალები. სლალომი

1. კიარა კოსტაცა (იტალია) 1:54.97 (57.96, 57.01); 2. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) 1:55.65 (58.37, 57.28); 3. ტანია პოუტიაინენი (ფინეთი) 1:55.83 (58.46, 57.37); 4. მარია რიში (გერმანია) 1:56.18 (59.11, 57.07); 5. ანა იელუშინი (ხორვატია) 1:56.34 (58.71, 57.63); 6. სანდრინ ობერი (საფრანგეთი) 1:56.37 (58.35, 58.02); 7. მიხაელა კირხგაზერი (ავსტრია) 1:56.84 (58.87, 57.97)...

აბსოლუტური კლასიფიკაცია

1. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) 514; 2. ლინდსი ვონი (აშშ) 480; 3. მარია რიში (გერმანია) 450; 4. ჯულია მანკუზო (აშშ) 444; 5. ანია პერსონი (შვედეთი) 412; 6. მარლის შილდი (ავსტრია) 390; 7. დენიზე კარბონი (იტალია) 359; 8. ტანია პოუტიაინენი (ფინეთი) 323; 9. ელიზაბეთ გიორგლი (ავსტრია) 303; 10. ბრიტ იანიკი (კანადა) 279...

ჰოკეთბურთი — NBA. რეგულარული

ბიბლიოთეკა

28 დეკემბერი

სან ანტონიო-ტორონტო 73:83
16:19, 16:25, 24:15, 17:24

სან ანტონიო: ფინლი (20 ქ. 8 მ), დანკანი (16 ქ. 12 მ. 3 პ. 2 დ), ტ. პარკერი (15 ქ. 4 პ), ბონერი (10 ქ. 10 მ).

ტორონტო: ჯაბონი (15 ქ), კალდერონი (14 ქ. 7 მ. 5 პ), ჰამფრიზი (14 ქ. 11 მ), ბარნიანი (11 ქ. 3 მ. 3 დ), ბოში (10 ქ. 9 მ. 3 პ).

შარლოტი-ნიუ ორლეანი 85:99
14:28, 20:25, 28:28, 23:18

შარლოტი: ჯ. რიჩარდსონი (25 ქ), მოჰამედი (15 ქ. 14 მ. 3 რ), ჯ. უოლასი (14 ქ. 4 პ. 3 რ), ოკაფორი (10 ქ. 13 მ).

ნიუ ორლეანი: დევიდ უესტი (20 ქ. 10 მ. 4 პ. 4 დ), პოლი (17 ქ. 11 პ), ჩენდლერი (17 ქ. 17 მ), ბ. ჯეკსონი (11 ქ. 2 რ).

მაიამი-ორლანდო 114:121 ო.ტ.
26:28, 28:22, 21:28, 32:29, 7:14

მაიამი: უეიდი (48 ქ. 11 პ. 7 მ. 3 რ. 3 დ), რ. დევისი (17 ქ. 6 მ. 6 პ. 2 რ), პასლეი (17 ქ. 9 მ. 3 პ), დ. რაიტი (14 ქ. 6 მ. 3 რ. 3 დ), ჯუჯი (11 ქ).

ორლანდო: დ. პოკარდი (29 ქ. 21 მ), თურქოღლუ (22 ქ. 6 მ. 6 პ. 2 რ. 2 დ), რ. ლეუსი (17 ქ. 8 მ. 3 პ), ბოგანსი (13 ქ. 2 რ), აროიო (13 ქ. 7 მ. 5 პ), მ. ევანსი (10 ქ), დულინგი (10 ქ).

ნიუ ჯერსი-ვაშინგტონი 109:106
30:27, 23:32, 34:27, 22:20

ნიუ ჯერსი: რ. ჯეფერსონი (26 ქ. 5 მ), ჯ. კარტერი (24 ქ. 7 პ. 5 მ), კიდი (20 ქ. 12 პ. 8 მ. 2 რ), მ. უილიამსი (14 ქ. 10 მ. 5 დ), ნახბარი (12 ქ. 3 რ).

ვაშინგტონი: კ. ბატლერი (28 ქ. 6 მ. 6 პ. 2 რ), ჯეიმისონი (27 ქ. 13 მ), ნ. იანგი (15 ქ. 4 მ), ჰეიუუდი (13 ქ. 10 მ. 2 რ), რ. მეისონი (12 ქ).

დეტროიტი-ინდიანა 114:101
24:19, 35:33, 21:31, 24:19

დეტროიტი: რ. ჰამილტონი (23 ქ. 9 პ. 4 რ), პრინსი (15 ქ), ბილაპსი (14 ქ. 6 პ. 4 მ. 2 რ), ჯ. ჰეიესი (13 ქ), რ. უოლასი (10 ქ. 5 მ. 3 დ), სტაკი (10 ქ).

ინდიანა: ჯ. ონილი (25 ქ. 6 მ. 4 პ. 3 დ), მერფი (12 ქ. 5 მ), დენერი (11 ქ), კ. რაბი (10 ქ. 2 დ).

მემფისი-პიუსტონი 83:103
15:22, 28:28, 22:28, 18:25

მემფისი: გასოლი (23 ქ. 8 მ. 3 პ), მილიჩრი (12 ქ. 8 მ), მ. მილერი (11 ქ. 9 მ. 8 პ), სვიფტი (10 ქ. 7 მ. 3 დ), ლოური (10 ქ).

პიუსტონი: მინი (22 ქ. 12 მ. 5 დ. 3 პ), სკოლა (22 ქ. 5 მ. 2 რ), ბეტეე (18 ქ. 7 მ. 2 რ), ალსტონი (10 ქ. 6 პ), უელსი (10 ქ), ბროქსი (10 ქ. 7 პ. 3 მ).

ჩიკაგო-მილუოკი 103:99
28:25, 18:22, 24:29, 33:23

ჩიკაგო: გორდონი (31 ქ. 5 მ. 4 პ), დენგი (28 ქ. 10 მ. 4 პ), პაინრიხი (11 ქ. 9 პ. 4 მ. 2 რ), ნოჩიონი (11 ქ. 9 მ), გრეი (10 ქ. 6 მ), ბ. უოლასი (4 ქ. 10 მ. 4 დ. 3 პ. 2 რ).

მილუოკი: რედი (34 ქ. 6 პ. 4 მ), ვილიანოკა (15 ქ), ბოგუტი (15 ქ. 11 მ. 3 პ. 2 დ), მო უილიამსი (11 ქ. 15 პ. 5 მ. 3 რ), ქსანლიანი (10 ქ. 7 მ. 2 რ).

გოლდ. სტ-დენვერი 120:124
32:39, 32:32, 33:31, 23:22

გოლდენ სტეიტი: ს. ჯეკსონი (32 ქ. 5 მ. 4 პ), ბ. დევისი (29 ქ. 13 პ. 5 მ. 2 დ), ბიედრინსი (14 ქ. 12 მ. 2 დ), ე. პარინგტონი (13 ქ), მ. ელისი (12 ქ. 6 მ. 6 პ), ბარნსი (10 ქ. 2 რ).

დენვერი: აივერსონი (39 ქ. 6 პ), ენტონი (30 ქ. 8 მ), კემბი (15 ქ. 16 მ. 2 რ. 2 დ), კლეიზა (15 ქ. 5 მ).

ლეიკერსი-იუტა 123:109
38:23, 37:25, 31:26, 17:35

ლეიკერსი: ბრაიანტი (31 ქ. 7 პ. 4 მ. 4 რ), ოდომი (17 ქ. 8 მ. 7 პ. 2 დ), ფარმარი (14 ქ), არიზა (12 ქ. 5 მ. 4 პ), ბინუმი (10 ქ. 9 მ), ფიშერი (10 ქ. 8 პ. 3 მ).

იუტა: ბუზერი (20 ქ. 11 მ. 2 პ. 2 რ), რ. ბროიუერი (18 ქ. 5 მ), სი. ჯეი. მაილზი (18 ქ. 5 პ. 3 რ), რ. პრაისი (16 ქ. 3 პ. 3 რ), დ. უიიამსი (6 ქ. 6 პ).

საკრამენტო-ფილადელფია 80:92
25:26, 20:24, 18:13, 17:29

საკრამენტო: საალმონსი (22 ქ), უდრიხი (19 ქ. 6 პ. 5 მ), ბ. მილერი (10 ქ. 12 მ. 2 რ), დუბი (10 ქ).

ფილადელფია: დალემბერი (19 ქ. 11 მ. 4 დ), ა. მილერი (18 ქ. 4 მ. 3 პ), იგუოდალა (16 ქ. 5 პ. 3 რ), კორვერი (10 ქ).

ფინიქსი-კლიპერსი 94:88
27:19, 24:28, 15:18, 28:23

ფინიქსი: ა. სტაუდმაიერი (28 ქ. 10 მ. 3 დ), ჯ. ჰილი (22 ქ. 8 პ. 3 დ), მერიონი (18 ქ. 7 მ), ნეში (10 ქ. 10 პ. 6 მ).

კლიპერსი: კამანი (22 ქ. 20 მ. 3 დ), კასელი (21 ქ. 9 მ. 5 პ), მაგეტი (13 ქ. 6 მ. 4 პ. 3 რ), მობლი (13 ქ. 6 მ. 2 დ), ბ. ნაიტი (10 ქ. 3 პ).

პორტლენდი-მინესოტა 109:98
25:19, 30:27, 23:23, 31:29

პორტლენდი: როი (22 ქ. 6 მ. 5 პ.), ოლდრიჯი (21 ქ. 8 მ. 3 პ. 2 რ. 2 დ), ჯუკი (14 ქ. 5 პ. 4 მ), ფრი (13 ქ. 7 მ), ჯეიმს ფოუნსი (12 ქ), ბლეკი (12 ქ. 4 პ).

მინესოტა: ე. ჯეფერსონი (22 ქ. 7 მ), მაკკენტი (21 ქ. 4 პ), გომესი (16 ქ. 7 მ), ა. უოკერი (10 ქ. 5 მ), ტილეფერი (4 ქ. 11 პ).

29 დეკემბერი

იუტა-ბოსტონი 98:104
29:28, 27:21, 22:27, 20:28

იუტა: დ. უილიამსი (22 ქ. 11 პ), ბუზერი (19 ქ. 11 მ), ოტური (14 ქ. 5 მ. 4 პ. 2 დ), სი. ჯეი. მაილზი (11 ქ. 2 რ), პარკინგი (11 ქ. 2 დ), მილსეპი (10 ქ. 5 მ. 2 დ).

ბოსტონი: პირსი (24 ქ. 6 მ. 4 პ. 2 რ), რ. ალენი (23 ქ. 4 მ. 3 პ), გარნეტი (15 ქ. 9 მ. 3 პ), პერკინსი (11 ქ. 9 მ), ტ. ალენი (10 ქ. 3 რ).

დალასი-ატლანტა 97:84
34:21, 20:14, 21:25, 22:24

დალასი: ნოვიცკი (22 ქ. 9 მ. 5 პ. 2 რ. 2 დ), დ. პარისი (19 ქ. 4 პ. 3 რ), ჯოშ პოპარდი (19 ქ. 6 მ), ტერი (14 ქ. 2 რ), დემპიე (12 ქ. 10 მ. 3 დ).

ატლანტა: მერეინი უილიამსი (18 ქ. 6 მ), ჯო ჯონსონი (17 ქ. 5 პ), ჯოშ სმიდი (13 ქ. 8 მ. 6 დ. 3 პ. 3 რ), ლი (13 ქ. 3 რ), პორფორდი (11 ქ. 10 მ. 2 რ), **ზაზა პაჩულია (აძულოდ, 1 მ).**

ინდიანა-დეტროიტი 92:98
25:25, 26:27, 19:24, 22:22

ინდიანა: ჯ. ონილი (20 ქ. 11 მ. 5 პ. 2 დ), ბ. დანლეკერ-უესტროსი (18 ქ. 5 მ), გრეინჯერი (15 ქ. 8 მ), [illegible] ბოლი (10 ქ).

დეტროიტი: რ. ჰამილტონი (24 ქ), ბილაპსი (17 ქ. 7 პ. 3 რ), მაკსიელი (12 ქ), რ. უოლასი (10 ქ. 10 მ. 2 რ. 2 დ), პრინსი (10 ქ. 6 მ).

ორლანდო-შარლოტი 104:95
28:29, 24:22, 25:21, 27:23

ორლანდო: თურქოღლუ (28 ქ. 7 მ. 3 რ), რ. ლეუისი (18 ქ), აროიო (16 ქ. 6 პ. 4 მ), დ. პოკარდი (15 ქ. 21 მ. 4 დ. 2 რ), ბოგანსი (12 ქ).

შარლოტი: ჯ. რიჩარდსონი (34 ქ. 8 მ. 3 პ. 2 რ), ჯ. უოლასი (23 ქ. 7 მ. 7 პ), ფელტონი (13 ქ. 6 პ), ეროული (10 ქ).

ვაშინგტონი-მაიამი 96:74
26:18, 32:21, 24:16, 14:19

ვაშინგტონი: ბლატჩე (18 ქ. 7 მ. 3 დ), კ. ბატლერი (16 ქ. 6 მ. 5 პ), ჯეიმისონი (15 ქ. 9 მ), რ. მეისონი (12 ქ. 5 პ. 4 რ), სონგაილა (11 ქ).

მაიამი: რ. დევისი (22 ქ. 4 მ), ლ. ჯეკოსნი (14 ქ), უეიდი (12 ქ. 6 პ. 2 რ), ჯუჯი (9 ქ. 8 მ).

ნიუ ორლეანი-კლიფლენდი 86:76
26:18, 20:24, 25:15, 15:19

ნიუ ორლეანი: დევიდ უესტი (27 ქ. 15 მ), პოლი (20 ქ. 9 პ. 7 რ. 6 მ), ჩენდლერი (11 ქ. 12 მ. 2 დ), სტოიაკოვიჩი (10 ქ. 2 რ).

კლიფლენდი: ლ. ჯეკსონი (21 ქ. 6 პ. 5 მ), ილგაუსკასი (14 ქ. 12 მ), გიბსონი (14 ქ), გუდენი (10 ქ. 10 მ. 2 დ).

მილუოკი-ნიუ ჯერსი 95:97
25:19, 18:24, 20:22, 32:32

მილუოკი: რედი (35 ქ. 5 მ. 3 პ. 2 რ), მო უილიამსი (24 ქ. 6 პ. 5 მ. 2 რ), ქსიანლიანი (12 ქ. 8 მ. 2 დ).

ნიუ ჯერსი: ვ. კარტერი (23 ქ. 7 პ. 4 მ), რ. ჯეფერსონი (19 ქ. 2 დ), კიდი (17 ქ. 15 პ. 5 მ), მ. უილიამსი (6 ქ. 10 მ. 3 პ. 2 დ).

პიუსტონი-ტორონტო 91:79
19:19, 21:21, 28:24, 23:15

პიუსტონი: მინი (25 ქ. 11 მ. 3 პ. 2 დ), ალსტონი (18 ქ. 5 პ), უელსი (13 ქ. 10 მ. 5 პ. 3 რ), ჰეიდი (13 ქ. 4 პ), ბეტეე (10 ქ. 8 მ. 3 პ).

ტორონტო: ბოში (19 ქ. 12 მ. 3 რ), კალდერონი (11 ქ. 10 პ. 4 მ. 2 რ), მუნი (11 ქ).

სიეტლი-მინესოტა 109:90
21:30, 36:16, 27:13, 25:31

სიეტლი: ზერკბიაკი (18 ქ. 4 მ. 3 პ), ჯ. ბრინი (18 ქ. 5 მ. 3 დ), უილკოქსი (14 ქ. 11 მ), უილკინსი (12 ქ), დელონტე უესტი (10 ქ. 7 პ. 4 მ). უოტსონი (10 ქ. 6 პ), კურტ ტომასი (2 ქ. 15 მ. 2 რ).

მინესოტა: ე. ჯეფერსონი (17 ქ. 8 მ), ტილეფერი (12 ქ. 6 პ), რ. სმიტი (12 ქ. 4 მ), გომესი (10 ქ), ა. უოკერი (10 ქ. 5 მ).

ჰოკეი — NHL. რეგულარული

28 დეკემბერი

ნიუ ჯერსი-ბაფალო 2:1 (ბ)
0:0, 0:1, 1:0, 0:0

გოლები: 0:1 კოტალიკი-12 (გოსტადი-13, პეი-10), 1:1 მოტო-2 (კ. უაიტი-1, ბრილინნი-5).

ბულეტები გაიტანეს: პარიზე (ნიუ ჯერსი).

კაროლინა-ბოსტონი 4:3
2:1, 1:0, 1:2

გოლები: 1:0 ბრნნდამორი-15 (ვალინი-4, სტიღმანი-21), 1:1 კობუსიუ-14 (სავარი-32), 2:1 კომოდორი-1 (ე. სტაალი-15), 3:1 ლაროუზი-5 (ბულიტი), 3:2 აქსელსონი-7 (სავარი-33), 4:2 კ. სტაალი-19 (ლედი-2, რეი უიტნი-20), 4:3 კესელი-10 (ლუჩარი-5).

ფლორიდა-მონრეალი 1:5
0:3, 0:1, 1:1

გოლები: 0:1 ლატენდრეკი-11 (ჰამრლიკი-14, ს. კოიუუ-23), 0:2 რაიდერი-4 (ჰიგინსი-12, გორჯუსი-2), 0:3 ჰიგინსი-14 (ლაპერი-3), 0:4 კოსტოპულოსი-3 (მტრანტი-16), 1:4 ო. ოიკინენი-20 (ა. სტეუარტი-1, დეკოსკი-6), 1:5 მტრანტი-6 (ჰიგინსი-13, ა. მარკოვი-16).

სენტ ლუისი-სან ხოსე 0:1
0:0, 0:0, 0:1

გოლი: 0:1 მ. მიხაელეა-13 (ბერნეი-4, ჯ. ტორნტონი-29).

29 დეკემბერი

ტამპა ბეი-ფილადელფია 2:4
1:1, 0:1, 1:2

გოლები: 0:1 ლუპული-16 (ბულიტი), 1:1 ლეკავალია-26 (სენტ ლუისი-30, ბ. რიჩარდსი-23), 1:2 ნუბლი-11 (ჯ. კარტერი-8, ლუპული-18), 1:3 პარტნელი-6 (ეობუნი-12, ლუპული-19), 1:4 კ. ტიმონენი-5 (ბრიერი-23, უმბერგერი-19), 2:4 პროსპალი-17 (ანიკი-2, სენტ ლუისი-31).

კოლორადო-ლოს ანჯელესი 1:3
1:0, 0:0, 0:3

გოლები: 1:0 ლეოპოლდი-2 (ვოლსკი-12, ჰენანი-11), 1:1 დ. არმსტრონგი-3 (ფრილეგი-19, ნადი-12), 1:2 ს. ტორნტონი-3 (ჯუნიპრო-1, ჯ. ჯონსონი-5), 1:3 კოპიტარი-16 (დ. ბრაუნი-14, ო'სალივანი-10).

ბოლ. სტ-ვანკუვერი 1:6
0:2, 0:3, 1:1

გოლები: 0:1 ბეტსონ-2 (ორი-1, მარა-6), 0:2 იაგრი-10 (როდსიეალი-14, დუბინსკი-7), 0:3 პრუხა-3 (ეიფერი-8, სტრაკა-9), 0:4 შენეპპინი-13 (იაგრი-21, გომესი-25), 0:5 სტრაკა-7 (იაგრი-22, დუბინსკი-8), 0:6 პრუხა-4 (დუბინსკი-9, იაგრი-23), 1:6 ტაკერი-4 (ბელი-5, ო. უაიტი-8).

ოტავა-ვაშინგტონი 6:8
1:2, 1:3, 4:3

გოლები: 0:1 სიმონინ-6, 0:2 ოვეჩკინი-27 (მ. ბრინი-9, სიმონინ-5), 1:2 ალფრედსონი-23 (რედფერნ-17, ჰიტლი-28), 1:3 ოვეჩკინი-28 (ჰოტი-12, ბეეტსტრიმი-20), 1:4 ნოულანდერი-8 (ბეეტსტრიმი-21, მ. ბრინი-10), 2:4 ალფრედსონი-24 (ბულიტი), 2:5 ბეეტსტრიმი-7 (ეიტ. კოზლოვი-20, ოვეჩკინი-18), 3:5 სუეკა-14, 4:5 ფიშერი-12 (ალფრედსონი-27, კ. ფილიპსი-8), 4:6 ნოულანდერი-9 (სიმონინ-6, ფლიმმინ-7), 5:6 ფიშერი-13 (რედფერნ-18, ჰიტლი-29), 5:7 ოვეჩკინი-29 (ბულტეი-2), 6:7 ფიშერი-14 (ეორეო-15, რედფერნ-19), 6:8 ოვეჩკინი-30.

ანაჰეიმი-ნიუ ჯერსი 5:2
1:0, 1:1, 3:1

გოლები: 1:0 კამპოლი-4 (პარკი-10, ფედოტენკო-11), 2:0 მ. ბერტერონი-4 (კამპოლი-14, პარკი-11), 2:1 პარიზე-16 (ჯონტა-16, მოტო-6), 2:2 მადენი-12 (ბროკბანკი-4, პარიზე-21), 3:2 სატონი-1 (სილინჯერი-8, ჰანტერი-10), 4:2 ბერგენსპიმი-2 (მატანი-13, სატონი-5), 5:2 კიმონი-12 (სილინჯერი-9, ჰანტერი-11)

აბლანტა-ბოსტონი 5:0
3:0, 2:0, 0:0

გოლები: 1:0 ეიარ. კოზლოვი-11 (პერნენ-16), 2:0 ჰოლეიკი-4 (დუპუი-4), 3:0 დუპუი-6 (კ. სტეუარტი-1, ჰოლეიკი-11), 4:0 კოვალჩუკი-32 (ერტნეკი-4, ტ. უაიტი-13), 5:0 ფიტნეკი-1 (ტეკი-11, კოვალჩუკი-20).

კოლამბუსი-კაროლინა 4:1
0:0, 3:0, 1:1

გოლები: 1:0 ფერდიოვი-14, 2:0 კლესლა-4 (პეინსი-17, ფერდიოვი-15), 3:0 ფერდიოვი-15 (ნეში-14), 3:1 ე. სტაალი-20 (რეი უიტნი-21), 4:1 ბიჩი-5 (ფერდიოვი-16, ფუტი-5).

პიტსბურგი-ბაფალო 2:0
0:0, 1:0, 1:0

გოლები: 1:0 კ. არმსტრონგი-5 (კოსტი-35, სიდორო-4), 2:0 მალკინი-15 (კოსტი-36, კ. არმსტრონგი-12).

ნეშვილი-სან ხოსე 2:5
0:1, 2:1, 0:3

გოლები: 0:1 ბოკა-2 (მარლო-11, ბერნეი-5), 1:1 დუმონი-11 (რადულეი-15, ბონკი-7), 2:1 რადულეი-10 (კლეინი-2, ზენონი-3), 2:2 რეეე-2 (მ. მიხალეკი-7, ჯ. ტორნტონი-30), 2:3 მ. კარლი-2 (მ. მიხალეკი-8, ბერნეე-6), 2:4 ტ. მიტჩელი-7 (რისმილერი-5), 2:5 ბერნეე-9 (მ. კარლი-6, ჯ. ტორნტონი-31).

მინესოტა-ედმონტონი 5:4 (ო)
1:2, 1:2, 2:0, 1:0

გოლები: 0:1 პატკანენი-6 (რისნერი-7, ბრეიკეი-7), 0:2 კოლიანი-7 (მორო-1, პიზანი-2), 1:2 კ. იოსსონი-2 (ბეკანეე-16, ბუმარი-24), 1:3 პიზანი-3 (პენერი-12, სურეი-4), 1:4 სტილი-4 (ბრეიკეი-8), 2:4 როსტონი-14 (დემიტრა-13, ჰოლი-2), 3:4 გაბორეკი-19 (პერნი-7, ნუმელინი-5), 4:4 ბერნსი-8 (ბუმარი-25), 5:4 ნუმელინი-1 (ბუმარი-26, როსტონი-15).

ფინიქსი-დეტროიტი 2:4
0:1, 2:1, 0:2

გოლები: 0:1 სამუელსონი-6 (ჰუდერი-17, ლიდსტრიომი-31), 1:1 ჯოვანოვსკი-3 (ერბატა-12, ზ. მიხალეკი-6), 2:1 ერბატა-14 (ბულიტი), 2:2 რეფალსკი-6 (დაციუკი-33, ლიდსტრიომი-32), 2:3 დაციუკი-15 (კრონვალი-17), 2:4 დრეიპერი-7 (დაციუკი-34, ფილუელა-8).

დალასი-სენტ ლუისი 5:4 (ბ)
2:1, 0:0, 2:3, 0:0

გოლები: 1:0 პაკმანი-14 (ი. იოკინენი-9, ჰალპერნნ-6), 2:0 ბარნსი-4 (ზუბოვი-30, ბერნი-1), 2:1 პერონი-7 (ტკაჩუკი-21, სტემმნიკი-15), 3:1 მოდანო-12 (ჰალპერნნ-7), 3:2 კარიბ-9, 3:3 კარიბ-10 (ბოიესი-10, ტკაჩუკი-22), 4:3 რობერო-21 (მოროუ-24, რობიდასი-7), 4:4 კარიბ-11 (სტემმნიკი-16).

ბულეტები გაიტანეს: მოდანო (დალასი).

კალგარი-ანაჰაიმი 5:3
1:2, 2:1, 2:0

გოლები: 1:0 ბოიდი-3 (ნისტრიომი-4, ლომბარდი-12), 1:1 ბერტუკეი-6 (გეტცლაფი-26, ჰერნ-11), 1:2 პარისი-1 (რიანნი-2, დ. მილერი-3), 1:3 ს. ნიდერმაიერი-1 (უეტი-9, ბოშემენი-12), 2:3 ოგინლეა-26 (კონროი-11, ნოლანი-5), 3:3 ჰუსელუესი-15, 4:3 ოგინლეა-27 (ჰუსელუესი-22, კონროი-12), 5:3 ჰუსელუესი-16 (ოგინლეა-26, კონროი-13).

ცხელი ხაფი

ფეხბურთი

პოლანდია

სპარგა-გრონინგენი	1:3
ეინდჰოვენი-ბრედა	2:0
ვილემი-ნიმეგენი	3:0
ექსელსიორი-როდა	1:2
ვ�სი-ზეკენბი	2:2
ვენლო-აიაქსი	2:2
ალმაარი-პეროაელსი	1:0
გრონინგენ-გრაუფსხაპი	2:0
პერეინეენი-ფეიენოორდი	1:1

სპბერძნეთი

ერგოტელისი-ლარისა	0:0
ოლიმპიაკოსი-ესანი	2:1
აბორეიმოსი-ვერია	1:0
ლეკელია-ასპერასი	0:0
პანიონიოსი-ოფი	1:1
პანიონიოსი-ოფი	1:3
აეკ-პაოკ	2:0
არისი-პანათინაიკოსი	0:1

შოტლანდია

სელტიკი-ბრეგნა	3:0
ფალკირკი-პარტიკი	2:1
პიტერჰიანი-რეინჯერსი	1:2
ინვერნესი-კილმარნოკი	3:1
მოზეველი-დენდი იუნ	5:3
სტ. მირენი-აბერდინი	0:1

I დივიზიონი

ლაიდი-სტ. ჯონსტონი	1:3
დანდი-პარტიკი	1:0
დანფერმლინი-სტირლინგი	2:1
მორტონი-პაიფსტონი	1:3
ქეინი-ლივინგსტონი	1:0

II დივიზიონი

ბრეიჰი-ეირდრი	2:4
ბრეჰინი-ეირი	5:1
პიტერჰედი-აოუდენმოთ	1:0
ქეინზ პარკი-როსი	0:1
რეიმთ-ალია	3:2

III დივიზიონი

ალბიონი-ისტ ფაიფ	1:4
ისტ სტირლინგი-მონროუზი	0:3
ელგინი-სტენაკუზმეერ	2:0
ფორფარი-დამბარტონი	3:1

კალათბურთი

ესპანეთი

უნიკაჯა-გრან კანარია	101:86
ბილბაო-ესტუდიანტესი	73:67
გრანადა-ხიმონა	98:90
მენორკა-ბარსელონა	85:68
მურსია-ფუენლაბრადა	72:73
ვალენსია-კასტელონ	88:79
რეალი-მადრესა	94:70
ტაუგრესი-ხეუენტეუელ	80:73

იტალია

კლიმამიო-მილანი	66:72
ლორანდო-მონტეკასკი	70:92
აველინო-ავეზენელი	90:63
ბიელა-ნაპოლი	97:87
კანტუ-რიეტი	84:75
სასუოლი-ვარეზე	93:67
სნაილერო-მონტეგრანარო	77:82
ტერაგო-ბენეტონი	92:76
რომა-ბერგამო	93:72

პოლეი

გერმანია

შტრაუბინგი-ფრანკფურტი	3:3
კრეფელდი-იზერლონი	4:2
ბამბერგი-ნიურნბერგი	2:2
ინგოლშტადტი-ბაიერნი	1:1
აუგსბურგი-დიუსელდორფი	3:0
ვოლფსბურგი-ლუიზბურგი	3:6

ჩეხეთი

ელინი-სლავია	0:2
ლიბერეცი-ლიბერეცი	2:1
ვიტკოვიცე-ბრნინეცი	2:4
სლოვანი-კარლოვი ვარი	2:1
კლადნო-ზლინიო	1:1
სპარტა-ბუდეიოვიცე	3:0

შვეიცარია

ფრიბოლუნდა-ლენგნაუინგი	2:2
ოურგენლენი-ცელეფუტე	3:2
მოლო-ბრეუნან

ᲧᲕᲔᲚᲐ ᲓᲠᲝᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲓᲐᲛᲠᲩᲣᲛᲔᲚᲔᲑᲘ

ᲙᲠᲘᲕᲘᲡ მოყვარულები ხშირად სვამენ კითხვას, რატომ ითვლება ზემძიმე წონა მაშინაც ყველაზე პრესტიჟულად, როცა დაბალ წონებში ხშირად უფრო კაშკაშა ვარსკვლავები გაცილებით საინტერესო ბრძოლებს მართავენ? პასუხი ერთმნიშვნელოვანია – დაბალ წონებში ხშირად ბრძოლების გამარჯვებულებს ქულები არკვევს, ზემძიმეში კი ნერტილი ხშირად ნოკაუტით ისმება. ეს კი იმის ბრალია, რომ ამ წონის მოკრივეები უძლიერესი დარტყმით გამოირჩევიან.

ტელეკომპანია "იესპიენის" საინტერნეტო რედაქციამ გამოაქვეყნა იმ ათი ზემძიმეწონოსანი მოკრივის სია, რომლებიც ყველა დროის ყველაზე მძიმე დარტყმით გამოირჩეოდნენ.

1. ᲛᲐᲘᲙ ᲢᲐᲘᲡᲝᲜᲘ

"რკინის მაიკი" ხშირად მეტოქეებს პირველ ორ რაუნდში უთავებდა ხელს. ხშირად ამბობდნენ, რომ ის ექვსი რაუნდის მოკრივე იყო. მერე კი რადიკალურად იცვლებოდა და აგრესიაც აკლდებოდა. თუმცა, ასე ძალიან იშვიათად ხდებოდა, რადგან მისი მეტოქეები გაცილებით ადრე ეცემოდნენ რინგზე და რეფერის ათის დათვლამდე წამოდგომას ვერ ახერხებდნენ. ფორმის პიკში მყოფი ტაისონი უსწრაფესიც იყო და მძლავრადაც ურტყამდა.

ბევრი ამბობს, რომ ტაისონის მეტოქეები ხშირად მანამ ეცემოდნენ, სანამ მუშტი მოხვდებოდათ. ისინი რინგზე ფსიქოლოგიურად გატეხილნი გადიოდნენ. ასე მოუვიდათ **მაიკლ სპინქსს**, **ალექს სტიუარტს** და **ბრიუს სელდონს**. ალბათ **მერვის ფრეიზერსაც**, ვინც მაიკმა ბრძოლის დაწყებიდან 30 წამში გაისტუმრა ნოკაუტში. 1988 წელს ტაისონი სპინქსს 91 წამში გაუსწორდა, რის შემდეგაც ლეგენდარულმა **შუგარ რეი ლეონარდმა** განაცხადა, ის ისეთი გამანადგურებელია, ჯობდა, რინგზე გასვლამდე მისთვის ხელებზე ბოქლომი დაგვედო.

2. ᲡᲝᲜᲘ ᲚᲘᲡᲢᲝᲜᲘ

ტაისონამდე გამანადგურებლის იმიჯით **სონი ლისტონი** იყო ცნობილი. **მუჰამედ ალისთან** წაგებული ბრძოლების გამო, ბევრი ლისტონს სათანადოდ არ აფასებს. მაგრამ სანამ ალის დაუპირისპირდებოდა, ლისტონმა რამდენიმე ბრძოლა მოკლე დროში, ნოკაუტით დაასრულა. სპეციალისტები განსაკუთრებით გამოჰყოფენ მისი კარიერის ორ ადრეულ გამარჯვებას **კლივლენდ "დიდ კატა" უილიამსთან** და **ძორა ფოლისთან**. სონიმ ორჯერ დაამარცხა სახელოვანი **ფლოიდ პატერსონი** და ორივე შემთხვევაში, მას ნოკაუტი პირველივე რაუნდში აგემა. პირველი ბრძოლის წინ, სანამ რინგზე ავიდოდა, მან განაცხადა: ჩემი გეგმა ასეთია – სასტარტო გონგზევე იმას ავიღებ, რაც მეკუთვნის და ფლოიდი იმას მიიღებს, რაც მას ეკუთვნისო. ასეც მოხდა, მერე კი იგივე კიდევ ერთხელ გაიმეორა.

3. ᲯᲝ ᲚᲣᲘᲡᲘ

როგორც ამბობენ, ლუისი ერთი დარტყმით ბრძოლებს ხშირად არ იგებდა. მაგალითად, **ბილი კონი** მან მე-13 რაუნდში ძლივს მოცელა უამრავი დარტყმის შემდეგ. მაგრამ როცა საუკეთესო ფორმაში იყო, ყველას მიწასთან ასწორებდა. თუ მეტოქეს ერთხელ ტკივილს მიაყენებდა, მერე ის განწირული იყო. როგორც კრივის ძველი გურმანები ამბობენ, ის დიდი "ხელის მომთავებელი" ყოფილა. ტაისონისა და ლისტონის დარად, ისიც რინგზე ასვლამდე, მორალურად სპობდა მეტოქეებს, რომლებიც დარტყმის მიღებამდე ეცემოდნენ. 1942 წელს მან ბადი ბაერი პირველსავე რაუნდში დააგდო, რის შემდეგაც კომენტატორმა განაცხადა, რომ ლუისი არის ყველაზე სრულყოფილი საბრძოლო მანქანა, რაც კი ოდესმე ადამიანს უშვიაო.

4. ᲯᲝᲠᲯ ᲤᲝᲠᲛᲔᲜᲘ

"დიდი ჯორჯი" ნოკაუტის ოსტატი იყო და შესაძლოა, ტაისონის, ლისტონის და ლუისის მსგავსი დარტყმა არ ჰქონდა, მაგრამ ხანდახან ისე იბრძოდა, ვერც წარმოიდგენდი, თუ მის შეტევებს ვინმე გაუძლებდა. ის უმძლავრესი კომბინაციებით გამოირჩეოდა. ერთ დარტყმას რამდენიმე მძლავრი დარტყმა ენაცვლებოდა და სანამ მეტოქე გონს მოვიდოდა, ის უკვე რინგზე ეგდო.

ჯო ფრეზერთან კინგსტონის (იამაიკა) ცნობილი ბრძოლის წინ, ბევრი თვლიდა, რომ გამარჯვებას ფრეზერი მოიპოვებდა. "ივნინგ სტანდარდის" რეპორტიორი **უოლტერ ბერტლეინი** იშვიათი გამონაკლისი იყო, ვინც ფრეზერის წაგება იწინასწარმეტყველა. მას უთქვამს, რომ თავისი სწორხაზოვანი შეტევებით, ფრეზერი ვერაფერს გაანყობდა ფორმენის წინააღმდეგ. ასეც მოხდა, კინგსტონში ფორმენი ზემძიმე წონის ნამდვილ აღმოჩენად იქცა.

5. ᲠᲝᲙᲘ ᲛᲐᲠᲩᲘᲐᲜᲝ

ამ ლეგენდარულმა კაცმა პროფესიულ რინგზე ზედიზედ 49 გამარჯვება მოიპოვა, რომელთაგან 43-ში მეტოქეებს ნოკაუტი აგემა. ამ მონაცემებით, მას თავისუფლად შეეძლო ამ ათეულის მოწინავეობა. მის გამარჯვებათაგან უდაოდ ყველაზე გამორჩეული ის იყო, რომელშიც ქულებით აგებდა **ჯერსი ჯო უოლკოტთან**, მაგრამ ერთი დარტყმით მოცელა იგი და ბრძოლაც თავად მოიგო. კრივის სპეციალისტების აზრით, ეს კრივის ისტორიაში, ერთი დარტყმით მოპოვებული ყველაზე გამორჩეული გამარჯვება იყო.

მაგრამ უფრო ხშირად, მარჩიანო ბრძოლებს ისე იგებდა, რომ სანამ მეტოქეს დააგდებდა, მას უამრავი დარტყმით "არბილებდა". და მაინც, უოლკოტთან მოპოვებული გამარჯვება აშკარა მტკიცებულება იყო იმისა, რომ მარჩიანო უმძლავრესი მუშტის პატრონი იყო.

"ესოშიეიტიდ პრესის" რეპორტიორმა **ჯეკ ჰენდმა** როკის მარჯვენა ასე დაახასიათა – ამ ხელს ღამის განათება შეუძლიაო.

კრივის ისტორიაში ყველაზე ძლიერ დარტყმა უდაოდ მაიკ ტაისონს ჰქონდა



ლისტონი (მარჯვნივ) მეტოქეებს ბრძოლის დაწყებამდეც, მორალურად ანადგურებდა



ფორმენს (მარჯვნივ) ასეთ დღეში არაერთი მეტოქე ჩაუგდია



დემპსი (მდგომარე) ნოკაუტით გაუსწორდა ფირპოს



ლენოქს ლუისს ნებისმიერ მომენტში შეეძლო ნებისმიერი მეტოქის ნოკაუტში გაგზავნა

6. ᲔᲠᲜᲘ ᲨᲔᲘᲕᲔᲠᲡᲘ

ამასაც ბევრი ბრძოლა ერთი დარტყმით მოუგია და იქნებ, ათეულში უფრო მაღალ ადგილსაც იმსახურებდა, მაგრამ თავისი კარიერის ყველაზე დიდ ბრძოლებში, რომლებშიც მის პირდაპირ მუჭამედ ალი და **ლარი ჰოლმსი** დადგნენ, მან ეს დარტყმა ვერ განახორციელა. მართალია, მარჯვენათი ჰოლმსი დასცა და ალბათ, ბევრი ზემძიმეწონოსანი იმ დარტყმის შემდეგ ვერც ადგებოდა, მაგრამ ჰოლმსი ადგა და ბრძოლაც მოიგო.

შეიერსი განსაკუთრებით სახიფათო ადრეულ რაუნდებში იყო. მაგალითად, ის ორ წუთში გაუსწორდა **კენ ნორტონს**, ვინც რინგზე ასვლამდე ამბობდა: *"შეიერსი პრიმიტიული მოკრივეა, მისი ტაქტიკის გამოცნობა იოლია. მან იცის, რომ მოგების ერთადერთი შანსი მაშინ ექნება, თუ ბრძოლის დაწყებისთანავე დამბომბავს, მაგრამ მე ამის ნებას არ მივცემ"*. ნორტონისთვის სამწუხაროდ, შეიერსმა თავისას იოლად მიაღწია.

7. ᲯᲔᲙ ᲓᲔᲛᲞᲡᲘ

დემპსის ხშირად უწევდა ბრძოლა მასზე გაცილებით მძიმე მეტოქეებთან, მაგრამ თავისი მუშტის წყალობით, გამარჯვებას აღწევდა. მაგალითად, სასტიკად სცემა **ჯეს უილარდს**, ვისაც შვიდი ნოკდაუნი აგემა და ბოლოსდაბოლოს, ნოკაუტით მოუგო. **ლუის ფირპოსგან** კი ბრძოლის დასაწყისშივე იგემა ნოკდაუნი, მაგრამ მალევე წამოდგა, ბრძოლაც გააგრძელა და მეორე რაუნდში ნოკაუტი აგემა.

როგორც ამბობენ, თავისი სტილით ის ტაისონს ჰგავდა. ოღონდ, იმ დროის ზემძიმეწონოსნებთან შედარებით, სწრაფი ხელები ჰქონდა და ამით აღწევდა უპირატესობას. გამარჯვება კი მისთვის უმძიმეს მუშტებს მოჰქონდა. მას სულ რაღაც 18 წამი ეყო ორმეტრიანი **ფრედ ფულტონის** დასაგდებად.

ფირპო რომ დაანოკაუტა, იმ გამარჯვებას "ნიუ იორკ ტაიმსმა" შემდეგი სიტყვები უძღვნა: *"დემპსი ნამდვილი კაცის მკვლელია. თავის მეტოქეებს ის უმასპინძლდება დარტყმით, რომლის შესახებაც ყველაზე კარგად ის ხალხი მოგითხრობთ, რომლებსაც ეს დარტყმები უგემნიათ"*.

8. ᲯᲝ ᲤᲠᲔᲖᲔᲠᲘ

"სმოკინ ჯოს" ზემძიმეწონოსნებს შორის ყველა დროის საუკეთესო ცაცია ჰუკი ჰქონდა. ხანდახან მას რამდენიმე დარტყმა სჭირდებოდა გასამარჯვებლად. თუმცა, იმავე ჰუკს ერთი დარტყმით მოუცელავს ქვემძიმე წონის ჩემპიონი **ბობ ფოსტერი** და **ჯიმი ელისი**. თუ ფრეზერი მეტოქეს ერთი დარტყმით ვერ აგდებდა, მაშინ ის მიზანს დარტყმების სერიით მაინც აღწევდა.

"ფრეზერი თითქმის ყოველთვის სწორხაზოვნად მუშაობს, მაგრამ ყოველთვის აღწევს მიზანს. ის უძლებს მეტოქეთა ეფექტურ დარტყმებს და თანაც იცინის. მერე კი, როცა მეტოქეს ძალა ელეება, ჯოს ჰუკი თავის საქმეს აკეთებს", - ფრეზერისა და ალის ბრძოლამდე, ასე დაახასიათა ფრეზერის საბრძოლო სტილი კრივის მიმომხილველმა **რობერტ ლიპსაიტმა**.

სწორედ "ცაცია ჯოჯოხეთიდან" (ან ჯოჯოხეთური ცაციცაცია) იყო ის ძირითადი ფაქტორი, რომლის წყალობითაც, ფრეზერმა ალი რინგზე დასცა.

9. ᲚᲔᲜᲝᲥᲡ ᲚᲣᲘᲡᲘ

როგორც ამბობენ, **ლენოქს ლუისი** ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო მემარჯვენე დამრტყმელი იყო. თუმცა, ის ბრძოლებს ნოკაუტით ხშირად არ იგებდა. კრივის მოყვარულს არასოდეს დაავიწყდება ის ორი ბრძოლა, რომლებშიც ლენოქსმა ძნელ გამარჯვებას მიაღწია ბომბგამძლე **ევანდერ ჰოლიფილდთან**. თუმცა, მის კარიერას აშკარად ამახინჯებს ორი მოულოდნელი წაგება **ოლივერ მაკქოლთან** და **ჰასიმ რაჰმანთან**.

და მაინც, ბრიტანელს არაერთი გამარჯვება ნოკაუტით აქვს მოპოვებული. მის მუშტებს მოცელილი ჰყავს ისეთი ძლიერი მოკრივეები, როგორებიც არიან **რეიზორ რადოკი**, **ენდრიუ გოლოტა**, **ფრანსუა ბოტა** და იგივე რაჰმანი, რომელსაც რემატჩი მოუგო. ხანდახან ლენოქსი უგერგილოდაც ირჯებოდა, მაგრამ თუ თავის მარჯვენას ნებაზე მიუშვებდა, მაშინ მის მეტოქეებს განსაცდელი ელოდათ.

ლენოქსმა რადოკს მეორე რაუნდში მოუთავა ხელი. პირველ რაუნდში მან მეტოქეს ნოკდაუნი აგემა და პრაქტიკულად, იმ დარტყმით მოიგო ბრძოლა, რის შემდეგაც, ცნობილმა ბრიტანელმა საკრივო მიმომხილველმა **კოლინ ჰარტმა** მის დარტყმაზე განაცხადა, რომ *"სისწრაფისა და ძალის საშინელი განსახიერებაა"*.

10. ᲛᲐᲥᲡ ᲑᲐᲔᲠᲘ

ბევრი მიმომხილველი, როცა **მაქს ბაერზე** ლაპარაკობს, **ჯეიმს ბრედოკთან** წაგებასა და **პრიმო კარნერასთან** გამარჯვებას იხსენებს. ყველას როდი ახსენდება, რომ 1930 წელს მისმა მუშტებმა შეიწირა **ფრენკი კემპბელის** სიცოცხლე, რომელმაც ბაერის დაუნდობელი მუშტებისგან ტვინზე სასიკვდილო ტრავმები მიიღო.

ორი წლის შემდეგ, ბაერმა სასტიკი მარცხი აგემა **ერნი შაფს**, რომელიც ნოკაუტისგან საფინალო გონგმა იხსნა. ბევრი თვლის, რომ სწორედ იმ ბრძოლაში მიღებული ტრავმები იყო იმის მიზეზი, რომ 1933 წელს, კარნერასთან ნოკაუტით წაგების შემდეგ, შაფი გარდაიცვალა. 1933 წელსვე, ის სასტიკად გაუსწორდა ლეგენდარულ **მაქს შმელინგს**. მეათე რაუნდში გერმანელი იმდენად გასაცოდავდა, რომ ბაერმა რეფერი **არტურ დონოვანს** ბრძოლის შეწყვეტა თავად მოსთხოვა. კარიერის მიწურულს, ბაერმა შეძლო ის, რაც არ გამოუვიდა ჯო ლუისს – "მედისონ სკვერ გარდენის" რინგზე, ნოკაუტით მოუგო **ტომი ფარს**.

მერაბ ლორთქიფანიძე

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲒᲐᲩᲔᲩᲘᲚᲐᲫᲔ

ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ
ᲞᲐᲐᲢᲐ ᲒᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ
ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲩᲘᲮᲚᲐᲫᲔ
ᲒᲘᲐ ᲗᲕᲐᲚᲐᲑᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲘ
ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲜᲔᲤᲪᲐᲠᲘᲫᲔ
ᲞᲐᲐᲢᲐ ᲗᲝᲗᲐᲫᲔ
ᲛᲔᲠᲐᲑ ᲛᲐᲛᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲓᲐᲕᲘᲗ ᲪᲐᲑᲐᲫᲔ
ᲚᲔᲕᲐᲜ ᲯᲐᲜᲔᲖᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲒᲘᲐ ᲢᲣᲮᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲓᲐᲕᲘᲗ ᲗᲐᲕᲐᲠᲗᲭᲘᲚᲐᲫᲔ
ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲗᲐᲕᲐᲫᲔ
ᲕᲐᲟᲐ ᲡᲘᲛᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ
ᲖᲕᲘᲐᲓ ᲨᲐᲗᲘᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ
ᲙᲝᲑᲐ ᲮᲐᲢᲘᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲑᲔᲡᲘᲙ ᲯᲐᲜᲒᲐᲕᲐᲫᲔ

ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲘ
ᲨᲐᲚᲕᲐ ᲒᲘᲒᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲒᲝᲗᲤᲠᲘᲓ ᲚᲔᲜᲪᲘ
ᲘᲚᲘᲐ ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ
ᲛᲔᲠᲐᲑ ᲚᲝᲠᲗᲙᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔ
ᲓᲐᲕᲘᲗ ᲩᲮᲣᲑᲘᲜᲘᲫᲔ
ᲨᲣᲠᲐᲑ ᲗᲐᲚᲐᲕᲘᲫᲔ

ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲣᲚᲘ ᲙᲝᲠᲔᲡ�პᲝᲜᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ:
ᲓᲐᲕᲘᲗ ᲙᲝᲖᲠᲔᲘᲫᲔ, ᲕᲐᲡᲘᲚ ᲑᲐᲚᲐᲮᲐᲫᲔ, ᲛᲔᲠᲐᲑ ᲒᲠᲩᲔᲚᲘᲫᲔ, ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲥᲐᲜᲗᲐᲠᲘᲐ, ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲓᲐᲠᲪᲛᲔᲚᲘᲫᲔ, ᲜᲘᲙᲝ ᲕᲐᲧᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲤᲝᲢᲝ
ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲙᲝᲢᲝᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲜᲣᲒᲖᲐᲠ ᲡᲣᲐᲠᲘᲫᲔ

ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲯᲐᲨᲘ

ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ:
ᲛᲐᲜᲐᲜᲐ ᲐᲙᲘᲛᲝᲕᲐ, ᲛᲖᲘᲐ ᲔᲚᲘᲖᲑᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲮᲐᲗᲣᲜᲐ ᲡᲐᲛᲮᲐᲠᲐᲫᲔ, ᲓᲐᲕᲘᲗ ᲒᲔᲓᲔᲭᲙᲝᲠᲘ, ᲓᲐᲕᲘᲗ ᲨᲐᲚᲣᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲙᲝᲑᲐ ᲒᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲙᲝᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ
ᲚᲔᲚᲐ ᲮᲝᲛᲐᲡᲣᲠᲘᲫᲔ
ᲚᲔᲕᲐᲜ ᲒᲘᲒᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ:
ᲓᲐᲕᲘᲗ ᲛᲐᲘᲡᲣᲠᲐᲫᲔ (ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔ), ᲒᲘᲕᲘ ᲕᲔᲨᲐᲐᲫᲔ, ᲥᲔᲗᲔᲕᲐᲜ ᲓᲘᲓᲒᲐᲠᲘᲫᲔ

ᲛᲐᲠᲙᲔᲢᲘᲜᲒᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ
ᲗᲐᲛᲐᲠ ᲯᲘᲨᲙᲐᲠᲘᲐᲜᲘ (ტ: 46 34 48)
ᲑᲐᲥᲐᲠ ᲒᲐᲩᲔᲩᲘᲚᲐᲫᲔ (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

ᲡᲞᲝᲠᲢᲘ

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ᲚᲔᲚᲝᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ:
ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲙᲐᲙᲐᲑᲐᲫᲔ (1949-52, 64-76)
ᲔᲠᲔᲛᲝ ᲛᲐᲮᲐᲗᲐᲫᲔ (1952-53)
ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲣᲒᲣᲚᲐᲕᲐ (1953-64)
ᲐᲜᲖᲝᲠ ᲑᲐᲡᲘᲚᲐᲘᲐ (1976-83)
ᲐᲠᲩᲘᲚ ᲒᲝᲒᲔᲚᲘᲐ (1984-85)
ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲒᲐᲩᲔᲩᲘᲚᲐᲫᲔ (1985-დან)

ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲚᲔᲑᲘ: **ᲨᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲚᲔᲚᲝ, ᲨᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲛᲔᲓᲘᲐ**

ᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲘ:
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲝᲚᲘᲛ�პᲘᲣᲠᲘ ᲤᲝᲜᲓᲘ

ᲐᲮᲛᲔᲢᲔᲚᲘᲡ 10Ა,
0159 **ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ**
(ᲓᲘᲚᲝᲛᲘ, ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲝᲜᲘᲡᲢᲣᲓᲘᲐ, ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘ);

ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ: 46 30 98
46 30 56, 46 32 62
899 55 48 97 (ᲗᲗ. ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ)
53 39 11

ᲤᲐᲥᲡᲘ +995. 32 46 30 97

e-mail: sporti@sporti.ge
ᲘᲜᲓᲔᲥᲡᲘ 66435 INDEX

ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔ, ᲒᲐᲠᲓᲐ ᲙᲕᲘᲠᲘᲡᲐ